

საგადასახდო ადმინისტრაციის დიაგნოსტიკური  
შეფასების ინსტრუმენტი

## საქართველო

### საგადასახდო სისტემის შეფასების ანგარიში

კორსტიან კული, ჰიმენა ასედო, ფრენკ ვან ბრუნშოტი, ფილიპ  
მაკკაჩენი და მაიკლ ჰიუტსონი



ფისკალურ საქმეთა დეპარტამენტი  
იანვარი, 2021 წ.

**TADAT Partners:**



## სარჩევი

|  |    |
|--|----|
| აბრევიატურები და აკრონიმები .....                                      | 4  |
| I. წინასიტყვაობა.....  | 6  |
| II. შესავალი.....  | 16 |
| III. ზოგადი ინფორმაცია ქვეყნის შესახებ.....                            | 18 |
| A. ქვეყნის პროფილი .....   | 18 |
| B. მონაცემთა ცხრილები .....  | 18 |
| C. ეკონომიკური მდგომარეობა .....                                       | 19 |
| D. ძირითადი გადასახადები.....  | 19 |
| E. ინსტიტუციური სტრუქტურა.....   | 20 |
| F. გადასახადების ადმინისტრირების რეფორმის ამჟამინდელი სტატუსი .....    | 20 |
| G. ინფორმაციის საერთაშორისო ურთიერთგაცვლა .....                        | 21 |
| IV. ფუნქციონირების სფეროების შეფასება.....                             | 22 |
| A. POA 1: რეგისტრირებულ გადამხდელთა მონაცემთა ბაზის სრულყოფილება ..... | 22 |
| B. POA 2: რისკის ეფექტური მართვა.....                                  | 25 |
| C. POA 3: კანონთან ნებაყოფლობითი შესაბამისობის ხელშეწყობა.....         | 35 |
| D. POA 4: დროული დეკლარირება.....                                      | 41 |
| E. POA 5: გადასახადების დროული გადახდა.....                            | 46 |
| F. POA 6: დეკლარაციებში მითითებული ინფორმაციის სიზუსტე .....           | 51 |
| G. POA 7: საგადასახადო დავების გადაწყვეტის ეფექტიანობა.....            | 58 |
| H. POA 8: შემოსავლებს ეფექტიანი მართვა.....                            | 63 |
| I. POA 9: ანგარიშვალდებულება და გამჭირვალობა .....                     | 67 |

## ცხრილები

|  |    |
|--|----|
| 1. საქართველო: საგადასახადო ადმინისტრაციის დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტით საქართველოს საგადასახადო სისტემის შეფასების ანგარიშის მოკლე ანოტაცია ..... | 9  |
| 2. P1-1 შეფასება.....  | 22 |
| 3. P1-2 შეფასება.....  | 25 |
| 4. P2-3 შეფასება.....  | 27 |
| 5. P2-4 შეფასება.....  | 29 |
| 6. P2-5 შეფასება.....  | 30 |
| 7. P2-6 შეფასება.....  | 31 |
| 8. P2-7 შეფასება.....  | 33 |
| 9. P2-8 შეფასება.....  | 36 |

|                         |    |
|-------------------------|----|
| 10. P3-9 შეფასება.....  | 38 |
| 11. P3-10 შეფასება..... | 39 |
| 12. P3-11 შეფასება..... | 40 |
| 13. P4-12 შეფასება..... | 42 |
| 14. P4-13 შეფასება..... | 44 |
| 15. P4-14 შეფასება..... | 45 |
| 16. P5-15 შეფასება..... | 47 |
| 17. P5-16 შეფასება..... | 48 |
| 18. P5-17 შეფასება..... | 49 |
| 19. P5-18 შეფასება..... | 50 |
| 20. P6-19 შეფასება..... | 53 |
| 21. P6-20 შეფასება..... | 56 |
| 22. P6-21 შეფასება..... | 57 |
| 23. P6-22 შეფასება..... | 58 |
| 24. P7-23 შეფასება..... | 59 |
| 25. P7-24 შეფასება..... | 61 |
| 26. P7-25 შეფასება..... | 62 |
| 27. P8-26 შეფასება..... | 64 |
| 28. P8-27 შეფასება..... | 65 |
| 29. P8-28 შეფასება..... | 66 |
| 30. P9-29 შეფასება..... | 68 |
| 31. P9-30 შეფასება..... | 70 |
| 32. P9-31 შეფასება..... | 72 |
| 33. P9-32 შეფასება..... | 73 |

### **დიაგრამა**

|   |    |
|---|----|
| 1. საქართველო: დიაგნოსტიკური შეფასებით მინიჭებული ქულების განაწილება..... | 15 |
|---|----|

### **დანართები**

|  |    |
|--|----|
| I. საგადასახადო ადმინისტრაციის დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტის სტრუქტურა..... | 75 |
| II. საქართველო: ქვეყნის მოკლე მიმოხილვა.....                                       | 78 |
| III. მონაცემთა ცხრილები.....   | 80 |
| IV. ორგანიზაციული სტრუქტურა .....  | 96 |
| V. მტკიცებულების წყაროები .....  | 97 |

## აბრევიატურები და აკრონიმები

|          |   |
|----------|---|
| AD       | ანალიტიკის დეპარტამენტი (საქართველოს შემოსავლების სამსახურში)                       |
| BCP      | ბიზნესის უწყვეტობის გეგმა   |
| BEPS-MLI | დასაბეგრი ბაზის შემცირება და მოგების გადატანა – მრავალმხრივი საგადასახადო კონვენცია |
| CIP      | კანონთან შესაბამისობის გაუმჯობესების გეგმა  |
| CRM      | კანონთან შესაბამისობის სფეროში არსებული რისკების მართვა                             |
| CIT      | მოგების გადასახადი  |
| DG       | საქართველოს შემოსავლების სამსახურის უფროსი  |
| DPCT     | კომპანიის განაწილებული მოგების გადასახადი   |
| ERM      | ორგანიზაციის რისკების მართვა  |
| FAS      | საფინანსო და ანალიტიკური სამსახური (ფინანსთა სამინისტროში)                          |
| G4G      | USAID, „მმართველობა განვითარებისთვის“   |
| GEL      | ქართული ლარი  |
| GRS      | საქართველოს შემოსავლების სამსახური  |
| HCR      | ადამიანური კაპიტალის რისკი  |
| HQ       | სათაო ოფისი   |
| HR       | ადამიანური რესურსები  |
| HRD      | ადამიანური რესურსების დეპარტამენტი  |
| IAD      | შიდა აუდიტის დეპარტამენტი   |
| ISO      | სტანდარტიზაციის შიდა ორგანიზაცია  |
| IT       | საინფორმაციო ტექნოლოგია   |
| MD       | მეთოდოლოგიის დეპარტამენტი ((საქართველოს შემოსავლების სამსახურში)                    |
| MEPA     | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო                         |
| MoF      | ფინანსთა სამინისტრო   |
| NAPR     | საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო   |
| PAYE     | წყაროსთან დაკავებული საშემოსავლო გადასახადი   |
| RMC      | რისკების მართვის კომიტეტი   |

|       |  |
|-------|--|
| RPO   | დავალიანების ამოღების სამიზნე დონე   |
| RTO   | დავალიანების ამოღების სამიზნე დრო  |
| PIT   | ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი   |
| POA   | შეფასების სფერო  |
| SAO   | სახელმწიფო აუდიტის სამსახური   |
| SLA   | ხელშეკრულება მომსახურების დონის შესახებ  |
| SMD   | პროფესიული ეთიკისა და თანამშრომელთა მონიტორინგის<br>დეპარტამენტი (საქართველოს შემოსავლების სამსახურში) |
| TADAT | საგადასახადო ადმინისტრაციის დიაგნოსტიკური შეფასების<br>ინსტრუმენტი                                     |
| USAID | აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო   |
| VAT   | დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ)  |
| WHT   | წყაროსთან დაკავებული გადასახადი  |

## I. წინასიტყვაობა

პერიოდში საქართველოს საგადასახადო სისტემის შეფასება ჩატარდა 2020 წლის 29 სექტემბრიდან 27 ოქტომბრამდე პერიოდში, „საგადასახადო ადმინისტრაციის დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტის“ (TADAT-ის) გამოყენებით. ეს ინსტრუმენტი აფასებს საგადასახადო ადმინისტრაციის საქმიანობის ეფექტიანობის დონეს, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნას რეფორმის პრიორიტეტული მიმართულებების განსასაზღვრად, ხოლო განმეორებითი შეფასების შემდეგ, მიღწეული წინსვლის დასადგენად. COVID-19 პანდემიის პირობებში მგზავრობის შეზღუდვის გამო, ეს მისია განხორციელდა დისტანციურად. ადგილზე მისიის მუშაობას დახმარებას უწევდა თბილისში ფინანსურ საქმთა დეპარტამენტის რეზიდენტი მრჩეველი.

შეფასება ჩატარა საერთაშორისო სავალუტო ფონდის გუნდმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბ-ნი კორსტიან კული, ფინანსურ საქმთა დეპარტამენტიდან (FAD). გუნდის შემადგენლობაში შედიოდნენ: ქ-ნი ჰიმენა ასედო (TADAT-ის სამდივნოდან) და ბ-ნი ფრენკ ვან ბრუნშოტი (ფისკალურ საქმთა დეპარტამენტიდან), ბ-ნი ფილიპ მაკკაჩენი (ფინანსურ საქმთა დეპარტამენტის რეზიდენტი მრჩეველი საქართველოში) და ბ-ნი მაიკლ ჰიუტსონი (ფინანსურ საქმთა დეპარტამენტის მოწვეული ექსპერტი). შეფასების პროცესის მხარდასაჭერად გუნდში აგრეთვე შედიოდნენ ქალბატონები სოფიო არჯევანიძე, ქეთევან მაკარაძე, მარიამ მარგიანი და ბ-ნი ლაშა კობერიძე (საქართველოს შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები), რომლებმაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს მისიის წარმატებაში.

გუნდმა შეხვედრები გამართა საქართველოს ფინანსთა მინისტრთან ბ-ნ ივანე მაჭავარიანთან, ფინანსთა მინისტრის მოადგილესთან ბ-ნ ლაშა ხუციშვილთან, საქართველოს შემოსავლების სამსახურის უფროსთან ბ-ნ ლევან კანკავასთან, მის მოადგილეებთან, დეპარტამენტების უფროსებთან და მათ თანამშრომლებთან.

გუნდი მადლობას უხდის საქართველოს შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებს შეფასების პროცესში მათი ღია, გულწრფელი და აქტიური მონაწილეობისთვის.

შეფასების ბოლოს შემოსავლების სამსახურს მიეწოდა „საგადასახადო სისტემის შეფასების ანგარიშის“ პროექტი. შემფასებელმა გუნდმა მიიღო შემოსავლების სამსახურის წერილობითი კომენტარები აღნიშნული დოკუმენტის შესახებ, განიხილა ისინი და ასახა ანგარიშის საბოლოო ვერსიაში. ანგარიშის საბოლოო ვერსია დამტკიცდა ფინანსურ საქმთა დეპარტამენტის მიერ და გარედაქტირდა TADAT-ის სამდივნოს მიერ.

## მოკლე ანოტაცია

ქვემოთ მოცემულია საქართველოში საგადასახადო ადმინისტრაციის დიაგნოსტიკური შეფასების შედეგები, ძირითადი ძლიერი და სუსტი მხარეების ჩათვლით.

| ძლიერი მხარეები   | სუსტი მხარეები  |
|---|---|
| <ul style="list-style-type: none"> <li>■ შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელობისა და თანამშრომლების მტკიცე ნება განაგრძონ შემოსავლების ადმინისტრირების მოდერნიზაცია.</li> <li>■ გადასახადის გადამხდელთა ახალი რეესტრი მყარ საფუძველს ქმნის დეკლარირების მაჩვენებლის და დავალიანების მართვის გასაუმჯობესებლად.</li> <li>■ კანონშესაბამისობის რისკების იდენტიფიცირებისა და შეფასების ძლიერი ანალიტიკური უნარი.</li> <li>■ მესამე მხარეთა მონაცემების კარგი გამოყენება კანონშესაბამისობის რისკების იდენტიფიცირების მიზნით.</li> <li>■ ელექტრონულ სერვისებზე და გადამხდელთა ინფორმირებაზე კონცენტრირებული მომსახურების არხების ფართო სპექტრი.</li> <li>■ გადასახადის წყაროსთან დაკავების და წინსწრებით გადახდის ქმედითი სისტემა.</li> <li>■ აუდიტის დაბალანსებული პროგრამა, რომელიც რისკების საფუძველზე საქმეების ცენტრალურად შერჩევს, ხარისხის უზრუნველყოფის მკაცრ მექანიზმებს და საქმეების ქმედით მართვას ეფუძნება.</li> <li>■ დავების გადაწყვეტის ხელმისაწვდომი და დამოუკიდებელი მექანიზმი.</li> <li>■ გასულ წელს დაიწყო დღგ-ს ზედმეტობების დაბრუნების კარგი პრაქტიკა და თანხების ავტომატური გადახდა მალე დაინერგება.</li> </ul> | <ul style="list-style-type: none"> <li>■ ფინანსურ ინსტიტუტებთან ინფორმაციის გაცვლის მასშტაბური ავტომატიზებული სისტემის არ არსებობა.</li> <li>■ კანონშესაბამისობის გაუმჯობესების გეგმები უფრო მეტად უნდა განვითარდეს და საფუძველად დაედოს ყველა საოპერაციო საქმიანობას.</li> <li>■ კანონშესაბამისობის რისკების შერბილების სტრატეგიების მონიტორინგი და შეფასება სისტემურად არ ხორციელდება.</li> <li>■ ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული ბიზნეს უწყვეტობის გეგმა (BCP), ბიზნეს ოპერაციების მხარდასაჭერად.</li> <li>■ დეკლარირების ვალდებულების დარღვევებზე შემდგომი რეაგირების პროგრამის არარსებობა.</li> <li>■ დიდია საგადასახადო დავალიანებების დიდი და მზარდი ოდენობა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი 12 თვეზე უფრო ხანდაზმულია.</li> <li>■ შიდა აუდიტის ახლად შექმნილი ფუნქცია ჯერ კიდევ განვითარების ადრეულ სტადიაზეა.</li> <li>■ შეზღუდული საჯარო ანგარიშგება ფინანსური და ოპერატიული საქმიანობისა და სტრატეგიული და ოპერატიული დაგეგმვის შესახებ.</li> </ul> |

საგადასახადო ადმინისტრაციის დიაგნოსტიკური შეფასების ეს ანგარიში ეყრდნობა წინა შეფასების ანგარიშს, რომელიც 2016 წელს განხორციელდა.<sup>1</sup> 2016 წლის შეფასების შედეგებთან შედარებით საქართველომ შესამჩნევ პროგრესს მიაღწია, გადასახადების ადმინისტრირების ძირითად სფეროებში. 2020 წლის თებერვალში ამოქმედდა გადასახადის გადამხდელთა ახალი რეესტრი, რომელიც მნიშვნელოვან საყრდენ ინფორმაციას იძლევა ძირითადი ფუნქციების განხორციელებისათვის, განსაკუთრებით დროული დეკლარირების უზრუნველყოფის, კანონთან შესაბამისობის რისკების მართვის, გადასახადის გადამხდელთა მომსახურებისა და საგადასახადო დავალიანების მართვისთვის. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი გაუმჯობესებები განხორციელდა კანონშესაბამისობის რისკის მართვის სფეროში. ინფორმაციის ხელმისაწვდომი გარე და შიდა წყაროები რისკის იდენტიფიკაციისა და შეფასების თანამედროვე პროცესის საფუძველს ქმნიან, ხოლო საქართველოს შემოსავლების სამსახურმა კანონშესაბამისობის გაუმჯობესების გეგმის შემუშავება დაიწყო. ახლა საჭიროა გადაიდგას შემდგომი ნაბიჯები, რომ კანონშესაბამისობის რისკის მართვა უკეთ დაგუკავშიროთ სტრატეგიულ დაგეგმვასა და საოპერაციო ღონისძიებებს მთელი სამსახურის მასშტაბით, მიღწეული პროგრესისა და შედეგების მონიტორინგისა და შეფასების მიზნით.

დღგ-ს ზედმეტობების დაბრუნების მართვის ახალი პროცესი კარგ საერთაშორისო პრაქტიკას ასახავს, თუმცა თანხების ავტომატური გადახდა ჯერ კიდევ განსახორციელებელია.

სხვა ძირითადი პროცესების შემუშავება, როგორცაა მაგალითად ოპერაციული რისკების მართვა და შიდა აუდიტის ფუნქციის ჩამოყალიბება, ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა. თუმცა შემოსავლების სამსახურმა ამ საკითხების ინიცირება მიახდინა და მათ განვითარებაზე აქტიური მუშაობა დაიწყო.

მოცემულ შეფასებაში გამოვლენილი ბევრი სისუსტის გამოსწორება შედარებით მოკლე დროშია შესაძლებელი. მაგალითად ასეთია რისკების მართვისთვის ანგარიშგების პროცესის განხორციელება და დეკლარირების ვალდებულების დარღვევაზე შემდგომი რეაგირების პროცესის შემუშავება. თუმცა, ზოგიერთი სხვა სუსტი მხარეების დასაძლევად შემოსავლების სამსახურის მიერ გადასახადების ადმინისტრირების რეფორმის გაგრძელების მტკიცე ნებაა საჭირო. 2016-2020 წლებში განხორციელებული რეფორმების შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შემოსავლების სამსახურს მნიშვნელოვანი წინსვლის მიღწევა შეუძლია.

პირველ ცხრილში წარმოდგენილია დიაგნოსტიკური ანალიზის შედეგად ცალკეული მიმართულებებისთვის მინიჭებული ქულები, ხოლო დიაგრამა #1 გრაფიკულად ასახავს ქულების განაწილებას. ქულები ეფუძნება საგადასახადო სისტემის დიაგნოსტიკური კვლევის 9 სხვადასხვა სფეროში მიღწეულ შედეგებს და 32 გამსხვილებულ კრიტერიუმს, რომლებსაც კრიტიკული მნიშვნელობა აქვთ საგადასახადო ადმინისტრაციის მუშაობაში. თითოეული

---

<sup>1</sup>მაკლაფლინი და სხვები. „საქართველო: საგადასახადო ადმინისტრაციის დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტით საქართველოს საგადასახადო სისტემის შეფასების ანგარიში“, ივლისი, 2016 წ.



კრიტერიუმისათვის ქულის მისანიჭებლად გამოყენებულია ოთხქულიანი სისტემა ABCD შკალით, საიდანაც A უმაღლესი შეფასებაა, ხოლო D - უმდაბლესი.

**ცხრილი 1. საქართველო: საგადასახადო ადმინისტრაციის დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტის საფუძველზე საკმარისობის შეფასების მოკლე მიმოხილვა**

| კრიტერიუმი  | 2016 წლის ქულა | 2020 წლის ქულა | შეფასების მოკლე განმარტება  |
|---|----------------|----------------|---|
| <b>POA 1: რეგისტრირებულ გადამხდელთა მონაცემთა ბაზის სრულყოფილება</b>                                |                |                |   |
| P1-1. ზუსტი და სანდო ინფორმაცია გადამხდელთა შესახებ.  | <b>D</b>       | <b>B</b>       | საქართველოს შემოსავლების სამსახურის გადასახადების გადამხდელთა ახალი მონაცემთა ბაზა, რომელიც 2020 წლის თებერვალში შეიქმნა, მოიცავს გადასახადის გადამხდელის შესახებ ყველა მნიშვნელოვან ინფორმაციას და შეესაბამება საერთაშორისო კარგი პრაქტიკის ნორმებს. არსებობს წერილობითი პროცედურები რეგისტრირებულ გადამხდელთა მონაცემთა ბაზაში ინფორმაციის სიზუსტის გაუმჯობესების შესახებ.  |
| P1-2. ცოდნა პოტენციურ გადამხდელთა ბაზის შესახებ.  | <b>C</b>       | <b>A</b>       | არარეგისტრირებულ სუბიექტთა გამოვლენის ინიციატივები მოიცავს მესამე მხარის ინფორმაციის სისტემატურ გამოყენებას და საწარმოს ნაგებობების შემოწმებას.   |
| <b>POA 2: რისკის ეფექტური მართვა</b>  |                |                |   |
| P2-3. კანონთან შესაბამისობის რისკების გამოვლენა, შეფასება, დიფერენციაცია და რაოდენობრივი განსაზღვრა | <b>C</b>       | <b>B</b>       | არსებობს სტრუქტურირებული პროცესი კანონთან შესაბამისობის რისკების შესაფასებლად და პრიორიტეტულობის განსაზღვრად, რომელიც საქართველოს შემოსავლების სამსახურის მრავალწლიან სტრატეგიული პრიორიტეტებს შესაბამეა. საქართველოს შემოსავლების სამსახური იყენებს შიდა და გარე მონაცემების ფართო სპექტრს საგადასახადო კანონშესაბამისობის რისკების ანალიზისთვის, თუმცა კვლავ არ აქვს ავტომატური წვდომა ფინანსური ინსტიტუტების ინფორმაციაზე ანალიზის მიზნით. |
| P2-4. რისკების შემცირება კანონთან შესაბამისობის გაუმჯობესების გეგმის საშუალებით.                    | <b>C</b>       | <b>C</b>       | საქართველოს შემოსავლების სამსახური ამცირებს საგადასახადო სისტემის შეფასებულ რისკებს კანონთან შესაბამისობის დონის გაუმჯობესების გეგმით, თუმცა ჯერ არ აქვს ჩამოყალიბებული ოფიციალური უწყვეტი პროცესი კანონთან შესაბამისობის დონის გაუმჯობესების გეგმის საფუძველზე რისკის შემცირების ღონისძიებების განხორციელების თვალყურის სადევნებლად.   |

| კრიტერიუმი   | 2016 წლის ქულა | 2020 წლის ქულა | შეფასების მოკლე განმარტება  |
|--|----------------|----------------|---|
| P2-5. კანონთან შესაბამისობის რისკის შემცირების ღონისძიებების მონიტორინგი და შეფასება                     | D              | D              | რისკების მართვის კომიტეტი უზრუნველყოფს კანონთან შესაბამისობის რისკის ზედამხედველობას და ამტკიცებს რისკის შემცირების ღონისძიებებს. საქართველოს შემოსავლების სამსახურს რისკის სტრატეგიების ეფექტიანობა ჯერ არ შეუფასებია.   |
| P2-6. ოპერაციული რისკების მართვა.  | D              | D              | საწარმოს რისკების მართვის ძირითადი კომპონენტები არ არსებობს, მაგრამ საქართველოს შემოსავლების სამსახურში მიმდინარეობს მუშაობა საწარმოს რისკების მართვის ჩარჩოსა და ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმის შემუშავების მიზნით.  |
| P2-7. ადამიანური კაპიტალის რისკების მართვა.  | NA             | D              | ადამიანური რესურსების პრიორიტეტები განისაზღვრება საქართველოს შემოსავლების სამსახურის სტრატეგიის შემუშავების პროცესის ფარგლებში, მაგრამ ადამიანური კაპიტალის რისკის გამოსავლენად და შესამცირებლად ოფიციალური პროცესები არ არსებობს.  |
| <b>POA 3: კანონთან ნებაყოფლობითი შესაბამისობის ხელშეწყობა</b>  |                |                |   |
| P3-8. ინფორმაციის მასშტაბი, სიახლე და ხელმისაწვდომობა.   | B              | A              | საქართველოს შემოსავლების სამსახური გადასახადების გადამხდელთა შესაბამის ჯგუფებს სთავაზობს ინფორმაციის ფართო სპექტრს ადვილად ხელმისაწვდომი არხების საშუალებით; უზრუნველყოფს სპეციალურ პირობებს მოწყვლადი ჯგუფებისთვის და უმცირესობებისთვის.   |
| P3-9. ინფორმაციის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საჭირო დრო.  | B              | A              | შემოსავლების სამსახურს განსაზღვრული აქვს გადასახადების გადამხდელისთვის მომსახურების გაწევის დონეები. ხორციელდება ამ მომსახურების, მონიტორინგი და ანგარიშგება. ეს მოიცავს კომუნიკაციას მიმოწერის, სატელეფონო ზარების და ელ. ფოსტის საშუალებით.   |
| P3-10. გადამხდელის კანონთან შესაბამისობის ხარჯების შესამცირებლად განხორციელებული ინიციატივების მოცულობა. | B              | B              | საქართველოს შემოსავლების სამსახურს გადასახადების გადამხდელის კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფის ხარჯების შემცირების მთელი რიგი ინიციატივები აქვს, მათ შორის გამარტივებული ანგარიშგება მცირე და მიკრო-ბიზნესის წარმომადგენელი გადასახადების გადამხდელისთვის. გადასახადების გადამხდელთა უსაფრთხო პორტალი ყველა ძირითადი გადასახადის „ონლაინ“ რეჟიმში დეკლარირებისა და გადახდის შესაძლებლობას უზრუნველყოფს. შემოსავლების |

| კრიტერიუმი   | 2016 წლის ქულა | 2020 წლის ქულა | შეფასების მოკლე განმარტება  |
|--|----------------|----------------|---|
|  |                |                | სამსახური დეკლარაციების წინასწარი შევსების პრაქტიკას არ იყენებს.  |
| P3-11. გადასახადების გადამხდელისგან უკუკავშირის მიღება საგადასახადო ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების შესახებ. | C              | A              | საქართველოს შემოსავლების სამსახური რეგულარულად იღებს ინფორმაციას მის მიერ გაზეულ მომსახურებაზე გადასახადების გადამხდელთა აზრის შესახებ, გამოკითხვების, ვებგვერდისა და ზარების მონიტორინგის, ასევე დაინტერესებულ პირებთან ურთიერთობის საშუალებით.                    |
| <b>POA 4: დროული დეკლარირება</b>   |                |                |   |
| P4-12. დროული დეკლარირების მაჩვენებელი.  | C              | C              | დროული დეკლარირების მაჩვენებელი დაბალია ყველა სახის გადასახადისთვის, დღგ-ს გარდა.   |
| P4-13. დეკლარაციების წარდგენის ვალდებულების დამრღვევ პირთა მართვა  | NA             | D              | დეკლარაციების არ წარმდგენი სუბიექტების მიმართ გატარებული ღონისძიებები არ არის ადეკვატური.   |
| P4-14. დეკლარირების ელექტრონული საშუალებების გამოყენება.   | A              | A              | დეკლარაციების ელექტრონულად წარდგენა ყველა სახის გადასახადისთვის უპირატეს ვარიანტს წარმოადგენს და ფართოდ გამოიყენება გადასახადების გადამხდელის მიერ.   |
| <b>POA 5: გადასახადების დროული გადახდა</b>   |                |                |   |
| P5-15. გადასახადების გადახდის ელექტრონული მეთოდის გამოყენება.  | A              | B              | გადასახადების ელექტრონულად გადახდა სავალდებულოა, თუმცა გადახდა შეიძლება ბანკის თანაშრომელთა დახმარებით განხორციელდეს. <sup>2</sup>  |
| P5-16. გადასახადების მობილიზაციის ქმედითი სისტემის გამოყენება.   | B              | B              | წყაროსთან გადასახადის დაკავების და წინსწრებით გადასახადების სისტემა ეფექტურად გამოიყენება, მაგრამ კანონი არ მოითხოვს კომერციული ბანკების მიერ დარიცხულ პროცენტზე გადასახადის დაკავებას და ფინანსური ინსტიტუტების მიერ ინფორმაციის შესახებ სავალდებულო ანგარიშგებას. |
| P5-17. დროული გადახდა  | B              | B              | კანონით დადგენილ ვადაში დღგ-ს გადახდის მაჩვენებელი მაღალია. თუმცა, ყველა მსხვილი გადამხდელი მას დროულად არ იხდის.   |

<sup>2</sup> საგადასახადო ადმინისტრაციის დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტის (TADAT) 2019 წლის მეთოდოლოგიის შესაბამისად, საბანკო პერსონალის მეშვეობით განხორციელებული გადახდები ელექტრონულ გადახდად არ მიიჩნევა.


| კრიტერიუმი   | 2016 წლის ქულა | 2020 წლის ქულა | შეფასების მოკლე განმარტება  |
|--|----------------|----------------|---|
|  |                |                | გადასახადების გადახდა ერთიანი სახაზინო ანგარიშის გამოყენებით აღირიცხება.  |
| P5-18. საგადასახადო დავალიანებების ოდენობა და დინამიკა.  | D+             | C              | ისტორიული დავალიანებების ოდენობის მაჩვენებელი მაღალია და ძირითადად ძველი ვალებისგან შედგება. ამოღებადი დავალიანებების მაჩვენებელი დაბალია, თუმცა შეინიშნება ზრდის ტენდენცია.  |
| <b>POA 6: დეკლარირებული ინფორმაციის სისწორე</b>  |                |                |   |
| P6-19. დეკლარაციებში უზუსტობების გამოვლენისა და შემცირების მიზნით მონაცემების გადამოწმების ღონისძიებების მოცულობა. | C              | C <sup>3</sup> | საქართველოს შემოსავლების სამსახურს აქვს სექტორული აუდიტის პროგრამა, რომელიც ყველა ძირითად გადასახადს მოიცავს. არსებობს აუდიტის სახელმძღვანელო და მეთოდოლოგიური მითითებები, თუმცა ეკონომიკის ძირითადი სფეროების შესახებ კონკრეტული მითითებები არ არის უზრუნველყოფილი. საქმის შერჩევა ხდება ცენტრალიზებულად, რისკის საფუძველზე. აუდიტის ხარისხის დამოუკიდებელი ანალიზი ხორციელდება და აუდიტის შედეგები ანალიზდება. შემოსავლების სამსახური არ ახორციელებს გადასახადის გადაშდელების კანონთან შესაბამისობაზე აუდიტის ზემოქმედების შეფასებას. |
| P6-20. მონაცემთა შედარების მასშტაბური სისტემების გამოყენება არაზუსტი ანგარიშების გამოსავლენად                      | C              | C              | შემოსავლების სამსახურს აქვს მონაცემთა შიდა და გარე წყაროების გამოყენებით მონაცემთა გადამოწმების მასშტაბური, ავტომატიზებული სისტემა. ბანკებიდან ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში.   |
| P6-21. სწორი ინფორმაციის წარმოდგენის წასახალისებლად განხორციელებული ინიციატივები                                   | B              | B              | შემოსავლების სამსახურს აქვს საჯარო და კერძო გადაწყვეტილებების სავალდებულო სისტემა, თუმცა საჯარო გადაწყვეტილებების მცირე რაოდენობა არსებობს. ოფიციალურად კანონშესაბამისობასთან დაკავშირებით თანამშრომლობის მექანიზმები არ დანერგილა.   |

<sup>3</sup> P6-19 კრიტერიუმის 2020 წლის ქულა არ შეესაბამება 2016 წლის ქულას. საგადასახადო ადმინისტრაციის დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტის (TADAT) 2019 წლის მეთოდოლოგიის მიხედვით აღნიშნული კრიტერიუმი შეიცვალა და ახლა იგი ოთხ განზომილებას მოიცავს, რომელთაგანაც მხოლოდ ერთი შედიოდა 2016 წლის განსაზღვრებაში. ეს განზომილება P6-19-1, ახლა B ქულით ფასდება.

| კრიტერიუმი   | 2016 წლის ქულა | 2020 წლის ქულა | შეფასების მოკლე განმარტება   |
|--|----------------|----------------|--|
| P6-22. საგადასახადო შემოსავლების დანაკარგების მონიტორინგი არაზუსტი ინფორმაციის დეკლარირების დონის შეფასების მიზნით | D              | C              | შემოსავლების სამსახური ყოველწლიურად აკონტროლებს დღგ-ს არასწორი ანგარიშგების დონეს RA-GAP მეთოდოლოგიის გამოყენებით. საგადასახადო დანაკარგების შესახებ კვლევები არ ქვეყნდება.  |
| <b>POA 7: საგადასახადო დავების ეფექტიანი გადაწყვეტა</b>  |                |                |  |
| P7-23 დავების გადაწყვეტის დამოუკიდებელი, შესრულებადი და საფეხურებრივი პროცესის არსებობა                            | A              | A              | დავების გადაწყვეტის პროცესი კარგი საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად წარიმართება. საქართველოს შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული შემოწმების პროცესი აუდიტის დეპარტამენტისგან დამოუკიდებლად ხორციელდება. საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ აქტიურად ხდება გადასახადების გადამხდლების ინფორმირება მათი უფლებების შესახებ.  |
| P7-24. საგადასახადო დავების გადაწყვეტაზე დახარჯული დრო.  | C              | C              | შეფასებულ პერიოდში, საგადასახადო დავების გადაწყვეტის დრო სტანდარტს მხოლოდ მინიმალურად აკმაყოფილებდა, თუმცა შეიმჩნევა ამ მაჩვენებლის გაუმჯობესების ტენდენცია.   |
| P7-25. საგადასახადო დავების შედეგების საფუძველზე მოქმედების ხარისხი  | C              | B              | შემოსავლების სამსახური საგადასახადო დავების შედეგების მონიტორინგს რეგულარულად ახორციელებს. ფასდება მნიშვნელოვანი საქმედების შედეგები, რათა გადაწყდეს საჭიროა თუ არა კანონმდებლობაში ან პროცედურებში ცვლილებების შეტანა.  |
| <b>POA 8: საგადასახადო შემოსავლების ქმედითი მართვა</b>   |                |                |  |
| P8-26. მთავრობის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზირების პროცესში მონაწილეობა.                                     | C              | B              | საგადასახადო შემოსავლების შესახებ მონაცემები გროვდება მთავრობის მიერ ბიუჯეტის შედგენის პროცესის მხარდასაჭერად; ამავე დროს ხორციელდება ყოველდღიური მონიტორინგი და შემოსავლების შესახებ ანგარიშგება. შემოსავლების სამსახური ადგენს დასაბრუნებელი დღგ-ს თანხის ოდენობის პროგნოზებს და თვალყურს ადევნებს მომავალში გადატანილი ზარალის ოდენობას, რომელიც შეიძლება ჩასათვლელად იქნეს გამოყენებული. საგადასახადო შეღავათებით გამოწვეული ხარჯები რეგულარულად არ ფასდება. |
| P8-27. საგადასახადო შემოსავლების   | C              | C              | საქართველოს შემოსავლების სამსახურს აქვს საგადასახადო შემოსავლების ადრიცხვიანობის ავტომატიზებული სისტემა, რომელიც   |

| კრიტერიუმი  | 2016 წლის ქულა | 2020 წლის ქულა | შეფასების მოკლე განმარტება  |
|---|----------------|----------------|---|
| აღრიცხვიანობის სისტემის ადეკვატურობა  |                |                | დაკავშირებულია ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების აღრიცხვიანობის სისტემასთან. მისი ხარისხის უზრუნველსაყოფად გარე ან შიდა აუდიტი არ ტარდება. გადასახადების გადამხდელებს მათი ანგარიშის შესახებ ინფორმაციაზე წვდომა გადასახადის გადამხდელთა პორტალიდან შეუძლიათ მიიღონ.  |
| P8-28. საგადასახადო ზედმეტობის დაბრუნების განაცხადების დამუშავების ადეკვატურობა | D              | C              | დღგ-ს ზედმეტობის დაბრუნების სისტემა საერთაშორისო კარგ პრაქტიკას შეესაბამება. ჯერ-ჯერობით ზედმეტობის ავტომატურად დაბრუნება და ვადაგადაცილებულ დასაბრუნებელ თანხებზე პროცენტის გადახდა არ ხდება.  |
| <b>POA 9: ანგარიშვალდებულება და გამჭირვალობა</b>                                |                |                |   |
| P9-29. შიდა კონტროლის მექანიზმები.  | D+             | C+             | საქართველოს შემოსავლების სამსახურს აქვს ორგანიზაციულად დამოუკიდებელი შიდა აუდიტის დეპარტამენტი, რომელიც სამსახურის უფროსს ექვემდებარება. აუდიტის კომიტეტი ჯერ არ არის შექმნილი და შიდა აუდიტის ოპერაციები ჯერ არ გადასინჯულა.   |
| P9-30. გარე კონტროლი საგადასახადო ადმინისტრაციაზე.                              | C              | B+             | ფინანსურ აუდიტს ყოველწლიურად სახელმწიფო აუდიტის სამსახური ატარებს, ხოლო ოპერაციული საქმიანობის აუდიტი ფინანსთა სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ ხორციელდება. ამასთან ერთად, არსებობენ დამოუკიდებელი ორგანოებიც, რომლებიც (სამწლიან პერიოდებში) იკვლევენ გადასახადის გადამხდელთა პრეტენზიებს არასათანადო ადმინისტრირების შესახებ. |
| P9-31. საგადასახადო ადმინისტრაციის კეთილსინდისიერების აღქმა საზოგადოების მიერ.  | C              | B              | საზოგადოების მხრიდან საგადასახადო ადმინისტრაციის მიმართ მიმართ ნდობის დონის მონიტორინგის მიზნით საქართველოს შემოსავლების სამსახური სტატისტიკურად სანდო კვლევებს ახორციელებს როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაციების, ასევე შიდა რესურსების საშუალებით.  |
| P9-32. ღონისძიებების, შედეგებისა და გეგმების გასაჯაროება.                       | D+             | D              | საქართველოს შემოსავლების სამსახურის 2019 წლის წლიურ ანგარიშში ოპერაციული საქმიანობის ასპექტები აღწერილია, მაგრამ მწირად არის მოცემული ინფორმაცია ძირითადი გადასახადების ადმინისტრირების პროცესების შესახებ და ფინანსური ინფორმაცია. ოპერაციული გეგმები არ ქვეყნდება.  |

დიაგრამა 1. საქართველო: დიაგნოსტიკური შეფასებით მინიჭებული ქულების განაწილება



| კრიტერიუმი | ქულა |
|------------|------|
| P1-1       | B    |
| P1-2       | A    |
| P2-3       | B    |
| P2-4       | C    |
| P2-5       | D    |
| P2-6       | D    |
| P2-7       | D    |
| P3-8       | A    |
| P3-9       | A    |
| P3-10      | B    |
| P3-11      | A    |
| P4-12      | C    |
| P4-13      | D    |
| P4-14      | A    |
| P5-15      | B    |
| P5-16      | B    |
| P5-17      | B    |
| P5-18      | C    |
| P6-19      | C    |
| P6-20      | C    |
| P6-21      | B    |
| P6-22      | C    |
| P7-23      | A    |
| P7-24      | C    |
| P7-25      | B    |
| P8-26      | B    |
| P8-27      | C    |
| P8-28      | C    |
| P9-29      | C+   |
| P9-30      | B+   |
| P9-31      | B    |
| P9-32      | D    |

## II. შესავალი

მოცემული ანგარიში დოკუმენტურად ასახავს საგადასახადო ადმინისტრაციის დიაგნოსტიკური შეფასების შედეგებს, რომელიც ჩატარდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქართველოს მისიის მიერ 2020 წლის 29 სექტემბრიდან 27 ოქტომბრამდე პერიოდში და შემდგომში განხილულ იქნა დიაგნოსტიკური შეფასების სამდივნოში. ანგარიში აგებულია „საგადასახადო ადმინისტრაციის დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტის“ სტრუქტურის ირგვლივ, რომელიც შედგება ცხრა სფეროსგან და 32 მიმართულების გამსხვილებული კრიტერიუმისაგან, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ აღნიშნულ სფეროში საგადასახადო ადმინისტრაციის ფუნქციონირებისთვის. თითოეული კრიტერიუმის ქულის გამოსათვლელად მხედველობაში იქნა მიღებული 55 განზომილება. თითოეული განზომილებისა და კრიტერიუმისათვის ქულების გამოსავლენად გამოყენებულ იქნა ოთხქულიანი ABCD შკალა:

- „A“ აღნიშნავს ფუნქციონირებას, რომელიც აკმაყოფილებს ან აღემატება საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას. აქედან გამომდინარე, დიაგნოსტიკური შეფასების მიზნებისათვის, საერთაშორისოდ მიღებული პრაქტიკა ითვლება ნაცად და დამტკიცებულ მიდგომად, რომელსაც იყენებს წამყვანი საგადასახადო ადმინისტრაციების უმრავლესობა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ პროცესის „კარგ პრაქტიკად“ აღიარებისთვის არ არის აუცილებელი, რომ იგი წარმოადგენდეს ტექნოლოგიური და სხვა სახის განვითარების მედროშეს ან ავანგარდს. თუ გავითვალისწინებთ საგადასახადო ადმინისტრაციის დინამიკურ ხასიათს, მთელი სფეროს მასშტაბით დახასიათებული საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკა შეიძლება დროთა განმავლობაში დაიხვეწოს ტექნოლოგიურ წინსვლასთან და ინოვაციური მეთოდების დანერგვასთან ერთად და ფართო მხარდაჭერა შეიძინოს.
- „B“ წარმოადგენს სისტემის ძლიერ ფუნქციონირება (მაგალითად, ჯანსაღ ფუნქციონირებას, რომელიც საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან შედარებით ერთი რანგით დაბლა დგას).
- „C“ ნიშნავს სისტემის სუსტ ფუნქციონირებას საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან შედარებით.
- „D“ აღნიშნავს არაადეკვატურ ფუნქციონირებას და იწერება მაშინ, როცა „C“ ან უფრო მაღალი შეფასების მოთხოვნები დაკმაყოფილებული არაა. გარდა ამისა, „D“ ქულით შეფასება ხდება განსაზღვრულ სიტუაციებში, როდესაც შემფასებლებს



ფუნქციონირების შესაფასებლად ქულის განსაზღვრისათვის საკმარისი ინფორმაცია არ გააჩნიათ. მაგალითად, ისეთ შემთხვევაში, როცა საგადასახადო ადმინისტრაციას არ შეუძლია ძირითადი რიცხობრივი მონაცემების დადგენა იმისათვის, რომ შეაფასოს სისტემის ფუნქციონირება (მაგალითად, ისეთ სფეროებში, როგორცაა დეკლარირება, გადასახადების გადახდა და ზედმეტობის დაბრუნების განაცხადების დამუშავება) ფასდება ქულით „D“. ამას საფუძვლად უდევს ის არგუმენტი, რომ როდესაც საგადასახადო ადმინისტრაციას არ გააჩნია საჭირო მონაცემების განსაზღვრის უნარი, ეს მიანიშნებს მისი საინფორმაციო მართვის სისტემებისა და ფუნქციონირების მონიტორინგის პრაქტიკის ხარვეზებზე.

საგადასახადო ადმინისტრაციის დიაგნოსტიკური შეფასების სტრუქტურის შესახებ უფრო დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად, იხილეთ დანართი I.

აღსანიშნავია საგადასახადო ადმინისტრაციის დიაგნოსტიკური შეფასების დროს გამოყენებული მიდგომის შემდეგი საკითხები:

- საგადასახადო ადმინისტრაციის დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტი ახდენს იმ შედეგების შეფასებას, რომელიც მიღწეულ იქნა ცენტრალური მთავრობის შემოსავლებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე პირდაპირი ან ირიბი გადასახადების ადმინისტრაციაში, რომელშიც შედის მოგების გადასახადი, საშემოსავლო გადასახადი, დღგ და წყაროსთან დაკავებული გადასახადები (რომელიც, პირდაპირი მნიშვნელობით წარმოადგენს საშემოსავლო გადასახადის ბიუჯეტში გადარიცხვებს). თუ შევაფასებთ შედეგებს ამ ძირითადი გადასახადების ადმინისტრაციასთან მიმართებაში, გამოისახება ქვეყნის საგადასახადო ადმინისტრაციის შედარებით ძლიერი და სუსტი მხარეების სურათი.
- საგადასახადო ადმინისტრაციის დიაგნოსტიკური შეფასება ეფუძნება მტკიცებულებებს (იხილეთ დანართი V მტკიცებულების წყაროსათვის, რომელიც ვრცელდება საქართველოს შეფასებაზე).
- საგადასახადო ადმინისტრაციის დიაგნოსტიკური შეფასების სფეროში არ შედის სპეციალური გადასახადის რეჟიმის შეფასება, როგორცაა ბუნებრივი რესურსების სექტორი. ის აგრეთვე არ აფასებს საბაჟო ადმინისტრაციას.
- საგადასახადო ადმინისტრაციის დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტის მეშვეობით შეფასება ხორციელდება ქვეყანაში არსებული საშემოსავლო ჩარჩო-პოლიტიკის ფარგლებში. შეფასების შედეგად გამოიკვეთება ფუნქციონირებების

ისეთი საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც მიზანშეწონილია ადმინისტრაციული და პოლიტიკური ღონისძიებების ერთობლიობით.

საგადასახადო ადმინისტრაციის დიაგნოსტიკური შეფასების მიზანია უზრუნველყოს საგადასახადო ადმინისტრაციის სისტემის საკვანძო ელემენტების ობიექტური შეფასება, დაადგინოს საჭირო რეფორმის მასშტაბი და ყურადღება გაამახვილოს შესაბამის პრიორიტეტებზე. საგადასახადო ადმინისტრაციის დიაგნოსტიკურ შეფასებას განსაკუთრებული სარგებლობა მოაქვს შემდეგ საკითხებში:

- საგადასახადო ადმინისტრაციის შედარებით ძლიერი და სუსტი მხარეების ამოცნობა;
- ყველა დაინტერესებული მხარის (ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლების, საერთაშორისო ორგანიზაციების, დონორი ქვეყნების და ტექნიკური დახმარების მომწოდებლების) მიერ ურთიერთ-გაზიარებული ხედვის ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
- დღის წესრიგის განსაზღვრა რეფორმების გასატარებლად (მიზნები, პრიორიტეტები, რეფორმის ინიციატივები და მათი განხორციელების თანამიმდევრობა);
- რეფორმების გასატარებლად ქვეყნის გარედან გაწეული დახმარების მართვისა და კოორდინაციის ხელშეწყობა, მათი სწრაფი და ქმედითუნარიანი დანერგვა; და
- რეფორმების პროგრესის მონიტორინგი და მისი შეფასება, შემდგომი განმეორებითი შეფასებების გზით.

### **III. ზოგადი ინფორმაცია ქვეყნის შესახებ**

#### **A. ქვეყნის პროფილი**

ზოგადი ინფორმაცია საქართველოს შესახებ და იმ გარემოს აღწერა, რომელშიც უხდება მუშაობა მის საგადასახადო სისტემას, ასახულია დანართში II.

#### **B. მონაცემთა ცხრილები**

ხელისუფლებისგან შეგროვილი რიცხობრივი მონაცემები, რომლებიც გამოყენებულია წინამდებარე საგადასახადო ადმინისტრაციის დიაგნოსტიკურ შეფასებაში მოცემულია III დანართის ცხრილებში.

### C. ეკონომიკური მდგომარეობა

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში შეინიშნებოდა სტაბილური ზრდა, ზომიერი ინფლაციით და მყარი ფისკალური ბალანსით. გასული სამი წლის განმავლობაში მშპ –ს ზრდამ დაახლოებით 5 პროცენტი შეადგინა. საქართველოში ეკონომიკის მთავარი დარგებია სოფლის მეურნეობა, მრეწველობა (მაგალითად, მანქანა-დანადგარები და ქიმიკატები) და მომსახურება (ტურიზმი, ტრანსპორტი). 2015-2019 წლებში ინფლაცია საშუალოდ 4.4 პროცენტს შეადგენდა და ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ბიუჯეტის დეფიციტი დაახლოებით 2-3 პროცენტი იყო.

Covid-19-ის პანდემიამ მძიმე დარტყმა მიაყენა ეკონომიკას, კერძოდ, ტურიზმისა და მოგზაურობის სექტორს, რომელიც 2019 წელს მშპ-ს 20 პროცენტს შეადგენდა. სავარაუდოდ, 2020 წელს, ეკონომიკური აქტივობის მკვეთრი შემცირება ეკონომიკურ ზრდას -4 პროცენტამდე შეამცირებს. პროგნოზის მიხედვით, 2021 წელს, ზრდა კვლავ ოთხ პროცენტამდე გაიზრდება.

### D. ძირითადი გადასახადები

საქართველოს ძირითადი სახელმწიფო გადასახადები ჯამურად მშპ-ს წილობრივად 22.8 პროცენტს შეადგენს (2019 წ.). შემოსავლების მთავარი წყაროებია დღგ (მთლიანი შემოსავლების 40.6), საშემოსავლო გადასახადი და წყაროსთან დაკავებული გადასახადი (30.5 პროცენტი), აქციზის გადასახადები (13.2 პროცენტი) და მოგების გადასახადი (7.6 პროცენტი). 2017 წლის 1 იანვარს ცვლილებები გატარდა მოგების გადასახადის მობილიზების რეჟიმში. ახალი სისტემით მოგების გადასახადის მობილიზების ტრადიციული რეჟიმი შეიცვალა და მის ნაცვლად შემოღებულ იქნა კომპანიის განაწილებული მოგების გადასახადი. ეს რეჟიმი ვრცელდება ყველა იურიდიულ პირზე, გარდა ზოგიერთი სექტორისა, როგორცაა ფინანსური ინსტიტუტები და ნავთობის საძიებო კომპანიები. ახალი სისტემით, მოგების დაბეგვრა ხდება მხოლოდ მისი განაწილების შემთხვევაში, რაც გულისხმობს დივიდენდების გაცემას ან კანონით დადგენილ სხვა შემთხვევებს. 2019 წლის დეკემბრის ბოლოს, 7641 გადამხდელი ჯერ კიდევ მოგების გადასახადის ძველ რეჟიმს ექვემდებარებოდა. მათი წილი მოგების გადასახადის მთლიანი გადახდილი თანხის 37 პროცენტს შეადგენდა.

დეტალური ინფორმაცია საგადასახადო შემოსავლების ამოღების შესახებ მოცემულია III დანართის #1 ცხრილში.

## E. ინსტიტუციური სტრუქტურა

საქართველოს შემოსავლების სამსახური არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სახელმწიფო ორგანო. მას ევალება ყველა ეროვნული გადასახადის შეგროვება და შემომავალი და გამავალი საქონლის საბაჟო კონტროლი. საქართველოს შემოსავლების სამსახურში დასაქმებულია დაახლოებით 3700 თანამშრომელი. მისი სათაო ოფისის ფუნქციის რეორგანიზაცია 2018 წელს ჩატარდა. არსებულ სტრუქტურაში დეპარტამენტები ორგანიზებულნი არიან ფუნქციური მიმართულებების მიხედვით, რაც საშუალებას იძლევა გაიმიჯნოს პასუხისმგებლობები პოლიტიკისა და დაგეგმვის, საოპერაციო და დამხმარე სფეროების მიხედვით.

საგადასახადო ადმინისტრაციის საორგანიზაციო სქემა მოცემულია IV დანართში.

## F. გადასახადების ადმინისტრირების რეფორმის ამჟამინდელი სტატუსი

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ საგადასახადო ადმინისტრაციის სისტემაში მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელა. ყურადღება გამახვილებული იყო მენეჯმენტისა და მმართველობის გაძლიერებაზე, მათ შორის კანონთან შესაბამისობის რისკების მართვის ფუნქციის დანერგვასა და ძირითადი პროცესების მოდერნიზებაზე, განსაკუთრებით გადასახადის გადამხდელთა მომსახურებასა და რეგისტრაციაზე. ამჟამად სამსახური ახორციელებს უფრო ფოკუსირებულ მიდგომას მსხვილი გადამხდელების სეგმენტზე. ამ რეფორმის პროცესში საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფისკალურ საქმეთა დეპარტამენტმა შესაძლებლობების განვითარების პროექტი განახორციელა, „შემოსავლების მობილიზაციის თემატური ფონდის“ (RMTF) გარე დაფინანსების საშუალებით. შესაძლებლობების განვითარების ამ ვრცელი პროექტის მიზანი იყო ორგანიზაციისა და რეფორმების მენეჯმენტი, კანონთან შესაბამისობის რისკის მენეჯმენტი, გადასახადის გადამხდელების რეგისტრაცია და აღრიცხვა, აუდიტი, გადახდა და ამოღება. შემოსავლების სამსახურის რეფორმებში კიდევ რამდენიმე დონორი და პარტნიორი მონაწილეობს, თუმცა მათი ჩართულობა მხოლოდ სამიზნე სფეროებით შემოიფარგლება. ამჟამად შემოსავლების სამსახური დახმარებას იღებს მსოფლიო ბანკის, Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit-ის (GIZ), აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID-ის), ევროკავშირის და გაერთიანებული სამეფოს საგარეო, თანამეგობრობისა და განვითარების ოფისის პროგრამების საშუალებით.

## G. ინფორმაციის საერთაშორისო ურთიერთგაცვლა

საქართველო არის „საგადასახადო მიზნებისთვის ინფორმაციის გამჭვირვალობისა და გაცვლის გლობალური ფორუმის“ წევრი, რომელიც მხარს უჭერს გადასახადების თავიდან აცილების წინააღმდეგ ბრძოლას ფინანსური და საკუთრების შესახებ ინფორმაციის ავტომატურად გაცვლის გზით. ამ თვალსაზრისით 100-ზე მეტი ქვეყანა მონაწილეობს გლობალური ფორუმის მონაწილეთა ინფორმაციის გაცვლის როგორც იურიდიული, ისე მარეგულირებელ ასპექტების (1 ფაზა) და ინფორმაციის გაცვლის პრაქტიკის რეცენზირებაში (ფაზა 2). ამ პროცესის შედეგად ყველა ანგარიში ქვეყნდება გლობალური ფორუმის მიერ მისი დამტკიცების შემდეგ.<sup>4</sup> საქართველომ 2023 წლისთვის ფინანსური ანგარიშის ინფორმაციის ავტომატური გაცვლის საერთაშორისო სტანდარტის დანერგვის ვალდებულება იკისრა.

საქართველომ ასევე ხელი მოაწერა მრავალმხრივ კონვენციას საგადასახადო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული იმ ზომების განსახორციელებლად, რომლებიც დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის პრევენციას ემსახურება. დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის აღკვეთის მრავალმხრივი საგადასახადო კონვენცია (BEPS-MLI), რომელსაც 100 მეტმა ქვეყანამ და იურისდიქციამ მოაწერა ხელი, აახლებს არსებულ საგადასახადო ხელშეკრულებების პაკეტს და ამცირებს მულტინაციონალური საწარმოების მიერ გადასახადებისგან თავის არიდების შესაძლებლობებს. BEPS MLI-ის მიზანია მოახდინოს არსებული ორმხრივი საგადასახადო ხელშეკრულებების მოდიფიკაცია, რათა სწრაფად განხორციელდეს ზომები გადასახადების შემცირების ჰიბრიდული სქემების, ხელშეკრულების ბოროტად გამოყენების და მუდმივი დაწესებულებების წინააღმდეგ. ამჟამად საქართველოს შეთანხმება 56 ქვეყანასთან აქვს დადებული შეთანხმებები ორმაგი დაბეგვრის დაუშვებლობის შესახებ და გადასახადებისგან თავის არიდების წინააღმდეგ სათანადო ღონისძიებების გატარების შესახებ.

---

<sup>4</sup> დამატებითი ინფორმაცია იხილეთ მისამართზე: <http://www.oecd.org/tax/transparency/>

#### IV. ფუნქციონირების სფეროების შეფასება

##### A. POA 1: რეგისტრირებულ გადამხდელთა მონაცემთა ბაზის სრულყოფილება

საგადასახადო ადმინისტრაციის მთავარ ამოცანას წარმოადგენს გადამხდელთა რეგისტრაცია და საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭება. საგადასახადო ადმინისტრაციებს ევალებათ შეაგროვონ და აწარმოონ იმ იურიდიული და ფიზიკური პირების მონაცემთა სრული ბაზა, რომლებსაც კანონმდებლობით ევალებათ დარეგისტრირება; მათ რიცხვში შედიან როგორც ის გადამხდელები, რომლებსაც თავად ევალებათ საკუთარი შემოსავლების დეკლარირება და ის დამქირავებლებიც, რომლებმაც წყაროსთან საშემოსავლო გადასახადის დაკავების ვალდებულება აქვთ. თითოეული გადამხდელის რეგისტრაცია და მისთვის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭება საფუძვლად უდევს საკვანძო ადმინისტრაციულ პროცესებს, რომლებიც დეკლარაციების წარდგენას, გადასახადის გადახდას, დარიცხვასა და ამოღებას უკავშირდება.

POA 1-ს შესაფასებლად გამოიყენება ორი შეფასების კრიტერიუმი:

- P1-1— ზუსტი და სანდო ინფორმაცია გადამხდელის შესახებ.
- P1-2— პოტენციურ საგადამხდელო ბაზის ცოდნა.

##### P1-1: ზუსტი და სანდო ინფორმაცია გადამხდელის შესახებ

ეს კრიტერიუმი ორი განზომილების მეშვეობით ფასდება: (1) საგადასახადო ადმინისტრაციის სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაციის შესატყვისობა და ის, თუ რამდენად უწყობს ხელს აღნიშნული ინფორმაცია ეფექტურ ურთიერთქმედებას გადამხდელებთან და საგადასახადო შუამავლებთან (მაგალითად, საგადასახადო კონსულტანტებთან და ბუღალტრებთან); და (2) მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაციის სიზუსტე. შეფასების ქულები ნაჩვენებია მე-2 ცხრილში. აქვე მოცემულია იმ მიზეზების განმარტება, რომელიც საფუძვლად უდევს აღნიშნულ შეფასებას.

##### ცხრილი 2. P1-1 შეფასება

| შეფასების სფეროები   | ქულების გამოყვანის მეთოდი | ქულა 2019 |   |
|--|---------------------------|-----------|---|
| P1-1-1. საგადასახადო ადმინისტრაციის სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაციის შესატყვისობა და ის, თუ | M1                        | A         | B |

|  |  |   |  |
|--|--|---|--|
| რამდენად უწყობს ხელს აღნიშნული ინფორმაცია ეფექტურ ურთიერთქმედებას გადამხდელებთან და საგადასახადო შუამავლებთან. |  |   |  |
| P1-1-2. მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაციის სიზუსტე.   |  | B |  |

შემოსავლების სამსახურის გადასახადის გადამხდელთა ახალ რეესტრში განთავსებული ინფორმაცია შეესაბამება საერთაშორისო კარგ პრაქტიკას. 2020 წლის თებერვლიდან შემოსავლების სამსახურმა შექმნა ცენტრალური ეროვნული კომპიუტერიზებული მონაცემთა ბაზა, რომელიც შეიცავს ყველა შესაბამის ინფორმაციას გადასახადის გადამხდელის შესახებ, მათ შორის გადასახადის გადამხდელის ძირითად ვალდებულებებს და საქმიანობის სფეროს. თითოეულ გადასახადის გადამხდელს აქვს უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი.<sup>5</sup> სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზა: (i) ინტერფეისის საშუალებით უკავშირდება დეკლარირების და გადახდების სისტემას; (ii) აწვდის გადამხდელებთან უშუალოდ მომუშავე თანამშრომლებს სრულ ინფორმაციას გადასახადის გადამხდელის შესახებ, გადასახადების ტიპების მიხედვით; (iii) იძლევა გადასახადის გადამხდელთა დეაქტივაციის საშუალებას და არქივში ინახავს ინფორმაციას ისე, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იყოს მისი აღდგენა; (iv) ქმნის რეგისტრაციასთან დაკავშირებით მენეჯმენტისთვის საჭირო ინფორმაციას; (v) ქმნის აუდიტის კვალს მონაცემთა წვდომისა და რეგისტრაციის მონაცემებში ცვლილებების შეტანის შესახებ; (vi) იყენებს გადასახადის გადამხდელის რეგისტრაციის დეტალებს საგადასახადო დეკლარაციების შესაქმნელად; და (vii) უზრუნველყოფს უსაფრთხო ონლაინ წვდომას - გადასახადის გადამხდელთა პორტალით - დეტალების რეგისტრაციისა და შეცვლის მიზნით.

**სარეგისტრაციო ბაზაში ინფორმაციის სიზუსტის გაუმჯობესების პროცედურები დოკუმენტურად არის გაფორმებული, მაგრამ მასშტაბური ჯვარედინი შემოწმების გამოყენება კვლავ შეზღუდულია. 2020 წლის 15 თებერვალს ამოქმედდა ახალი**

<sup>5</sup> საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ბიზნესებს აძლევს 9-ნიშნა TIN-ს. საქართველოს მოქალაქეები დარეგისტრირებულნი არიან უნიკალური 11-ნიშნა პირადი ნომრით (ID), რომელსაც მათ სამოქალაქო რეესტრი დაბადებისას ანიჭებს. შემოსავლების სამსახური TIN-ს ანიჭებს გადასახადის გადამხდელთა სხვა კატეგორიებს, როგორცაა ფიზიკური პირები (რომლებიც მეწარმეები არ არიან), დიპლომატები, პარტნიორები და სამთავრობო სტრუქტურები.

საგადასახადო კანონმდებლობა<sup>6</sup>. ის გადასახადის გადამხდელებს რეგისტრაციის მონაცემების განახლებას ავალდებულებს.

ასევე შემოღებულ იქნა ჯარიმები შემოსავლების სამსახურისთვის საჭირო ინფორმაციის მიუწოდებლობისთვის. გადასახადის გადამხდელთა რეგისტრაციის პროცესის გასაადვილებლად შესაბამისი აპლიკაცია შეიქმნა. შემოსავლების სამსახურს აქვს დოკუმენტირებული პროცედურები და რუტინულად იყენებს მათ, იმისთვის, რომ: (i) 29 კრიტერიუმის საფუძველზე გამოავლინოს და გამოაცალკეოს არააქტიური გადამხდელები; (ii) გამოავლინოს და გააუქმოს ყალბი, არასწორი და დუბლირებული ჩანაწერები (მაგალითად, დუბლირებული TIN); (iii) გამოავლინოს უმოქმედო რეგისტრირებული გადამხდელები; (iv) დარწმუნდეს, რომ განაცხადები ნამდვილია და აკმაყოფილებს სამართლებრივ მოთხოვნებს; (v) გადაამოწმოს ინფორმაციის სიზუსტე მასშტაბური ჯვარედინი შემოწმების გზით, მთავრობის ხელთ არსებული მონაცემთა ბაზების გამოყენებით, როგორცაა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემთა ბაზები; და (vi) რეესტრის გაანაწილოს საქმეებ საოპერაციო სტრუქტურულ ერთეულებს შორის, მონაცემთა გაწმენდის მიზნით. შემოსავლების სამსახური რეგულარულად ამოწმებს თავის მონაცემებს ზოგიერთი სამთავრობო მონაცემთა ბაზის გამოყენებით, მაგრამ ჯერჯერობით ორგანიზაციას არ აქვს შესაბამისი სტანდარტული პროცედურა მონაცემთა ყველა არსებული წყაროსთვის.

გადასახადის გადამხდელთა მონაცემთა ბაზის სიზუსტის უზრუნველყოფას შემოსავლების სამსახური მაღალ პრიორიტეტს ანიჭებს. ამ მიზნით, 123 საგადასახადო ოფიცერი<sup>7</sup> მონაცემთა ხარისხის უზრუნველყოფასა და რეგისტრაციის შემოწმებაზე მუშაობს. ყოველთვიური ანგარიშები მიეწოდება სამსახურის უფროსს, რაც რეგისტრაციის მონაცემთა ბაზის საიმედოობას ცხადყოფს.

## **P1-2: ცოდნა პოტენციურ გადამხდელთა ბაზის შესახებ**

ეს კრიტერიუმი ზომავს თუ რა ძალისხმევას ახმარს საგადასახადო ადმინისტრაცია რეგისტრაციის გარეშე მომუშავე ფიზიკური და იურიდიული პირების გამოვლენას.

---

<sup>6</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 27 დეკემბრის N 416 ბრძანებით შესწორება შევიდა შეცვალა საქართველოს ფინანსთა მინისტრის N 996 ბრძანებაში. მე-11 მუხლი „გადასახადის გადამხდელის საინფორმაციო ბარათის შესახებ“.

<sup>7</sup> სათაო ოფისებში რვა თანამშრომელი მუშაობს მონაცემთა ხარისხის უზრუნველყოფაზე და რეგისტრაციაზე, ხოლო საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტში გადასახადის გადამხდელთა რეგისტრაციის პროგრამაზე გადანაწილებულია 115 თანამშრომელი.



შეფასების ქულა მოცემულია მე-3 ცხრილში. აქვე მოცემულია იმ მიზეზების განმარტება, რომელიც საფუძვლად უდევს აღნიშნულ შეფასებას.

**ცხრილი 3. P1-2 შეფასება**

| შეფასების სფერო  | ქულების გამოყვანის მეთოდი | ქულა 2019 |
|--|---------------------------|-----------|
| P1-2. იმ იურიდიული და ფიზიკური პირების გამოვლენის ღონისძიებების მასშტაბი, რომლებსაც ეკონომიკური-სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად რეგისტრაცია მოეთხოვებათ, მაგრამ რეგისტრაციის გარეშე მუშაობენ. | M1                        | A         |

არარეგისტრირებული პირების გამოსავლენად შემოსავლების სამსახურის მიერ განხორციელებული ღონისძიებები მოიცავს მესამე მხარის ინფორმაციის სისტემატიურ გამოყენებას და ბიზნესის ობიექტების ინსპექტირებას. შემოსავლების სამსახური სისტემატიურად იყენებს ათი სამთავრობო უწყების მონაცემებს, რომელთა შორისაა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და კომუნალური მომსახურების კომპანიები და ელექტრონული კომერციის ვებგვერდები. სამსახურის თანამშრომლებმა (ანალიტიკური დეპარტამენტისა და მეთოდოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომლების ჩათვლით), გამოავლინეს, გაანალიზეს და პრიორიტეტი მიანიჭეს მაღალი რისკის ჯგუფებს (მაგალითად, გასაქირავებელი ქონების მფლობელებს და ტაქსის მძღოლებს). რაიონის საგადასახადო ოფიცრები ობიექტებზე ვიზიტებს მონიტორინგის ოპერატიული გეგმის შესაბამისად ახორციელებენ, თუმცა COVID-19 პანდემიის გამო ასეთი შემოწმებების რიცხვი შემცირდა. საგადასახადო კანონის ცვლილება<sup>8</sup> შემოსავლების სამსახურს ბიზნესის იძულებითი რეგისტრაციის საშუალებას აძლევს. ამ ღონისძიებების შედეგები პერიოდულ ანგარიშგებაში აისახება.

**B. POA 2: რისკის ეფექტური მართვა**

საგადასახადო ადმინისტრაციები უამრავი რისკის წინაშე დგანან, რომლებსაც პოტენციურად ცუდი გავლენის მოხდენა შეუძლიათ შემოსავალსა ან/და საგადასახადო ადმინისტრაციის ოპერაციებზე. მეტი სიმარტივის მიზნით, ამ რისკების კლასიფიცირება შემდეგნაირადაა შესაძლებელი:

<sup>8</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრი ბრძანება N 996, მუხლი 5. ამ ცვლილებამდე დარღვევის შესახებ ინფორმაცია შემდგომი რეაგირებისთვის მომსახურების დეპარტამენტს გადაეცემოდა, რომელსაც ჯარიმების დაკისრება შეეძლო, მაგრამ რეგისტრაცია განხორციელდებოდა მხოლოდ გადასახადის გადამხდელის თანხმობით.

- კანონთან შესაბამისობის რისკები — როდესაც შემოსავალი შეიძლება დაიკარგოს თუ ბიზნესები და ფიზიკური პირები არ შეასრულებენ გადამხდელზე დაკისრებულ ოთხ ძირითად ვალდებულებას (ანუ, საგადასახადო სისტემაში დარეგისტრირებას, დეკლარირებას, გადასახადების დროულ გადახდას და დეკლარაციებში სრული და ზუსტი ინფორმაციის წარმოდგენას); და
- უწყებრივი რისკები - როდესაც უწყების მუშაობა შეიძლება შეწყდეს ისეთ სიტუაციებში, როგორცაა ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ მომხდარი ბუნებრივი კატაკლიზმები, საბოტაჟი, ფიზიკური ქონების დაკარგვა ან განადგურება, საინფორმაციო ტექნოლოგიური სისტემის აპარატურის ან პროგრამული უზრუნველყოფის მწყობრიდან გამოსვლა, გაფიცვა და ადმინისტრაციული დარღვევები (მაგალითად, გადამხდელის საიდუმლო ინფორმაციის გაჟონვა, რომლის შედეგადაც საგადასახადო ადმინისტრაციისადმი საზოგადოებას დაეკარგება რწმენა და ნდობა). საგადასახადო ადმინისტრაციის დიაგნოსტიკური შეფასების მიზნებისათვის, უწყებრივი რისკი იყოფა ორ კომპონენტად. ესენია:
  - *საოპერაციო რისკი* — გულისხმობს ხელისშემშლელ ქმედებებს, რომლებიც ანადგურებენ ან უარყოფით გავლენას ახდენენ ადმინისტრაციის აქტივებისა და რესურსების ნაწილზე, როგორცაა შენობები, IT და სხვა მოწყობილობა, მონაცემები და ჩანაწერები; და
  - *ადამიანური კაპიტალის რისკი* — გულისხმობს იმ შეფერხებებს, რომლებიც წარმოიშობა მისი თანამშრომლების შესაძლებლობების, უნარების, კანონთან შესაბამისობის, ხარჯების და ჩართულობის ხარვეზების გამო და უარყოფით გავლენას ახდენს საგადასახადო ადმინისტრაციის მუშაობაზე.

რისკის მართვას არსებითი მნიშვნელობა აქვს ეფექტური საგადასახადო ადმინისტრაციისათვის და იყენებს სტრუქტურულ მიდგომას რისკების გამოვლენის, შეფასების, პრიორიტეტებად დაყოფისა და მათი აღმოფხვრის საკითხებში. ეს არის მრავალწლიანი სტრატეგიული და ყოველწლიური ოპერატიული დაგეგმვის განუყოფელი ნაწილი.

POA 2-ის შესაფასებლად გამოიყენება შეფასების ხუთი კრიტერიუმი:

- P2-3 - კანონთან შესაბამისობის რისკების გამოვლენა, შეფასება, დიფერენციაცია და რაოდენობრივი განსაზღვრა.

- P2-4 - რისკების შემცირება კანონთან შესაბამისობის გაუმჯობესების გეგმის საშუალებით.
- P2-5 - კანონთან შესაბამისობის რისკის შემცირების ღონისძიებების მონიტორინგი და შეფასება.
- P2-6 - საოპერაციო (ე.ი. სისტემებისა და პროცესების) რისკების მართვა.
- P2-7 - ადამიანური კაპიტალის რისკების მართვა.

**P2-3: კანონთან შესაბამისობის რისკების გამოვლენა, შეფასება, დიფერენციაცია და რაოდენობრივი განსაზღვრა**

ამ კრიტერიუმისათვის შესაფასებლად ორი განზომილება გამოიყენება: (1) საგადასახადო სისტემის რისკების გამოსავლენად ინფორმაციის შეგროვებისა და კვლევის მოცულობა; და (2) პროცესი, რომელიც გამოიყენება კანონთან შესაბამისობის რისკების შეფასების, რანჟირების და რაოდენობრივი განსაზღვრისათვის. შეფასების ქულები ნაჩვენებია მე-4 ცხრილში. აქვე მოცემულია იმ მიზეზების განმარტება, რომელიც საფუძვლად უდევს აღნიშნულ შეფასებას.

**ცხრილი 4. P2-3 შეფასება**

| შეფასების სფეროები   | ქულების გამოყენების მეთოდი | ქულა 2020 |   |
|--|----------------------------|-----------|---|
| P2-3-1. საგადასახადო სისტემის რისკების გამოსავლენად ინფორმაციის შეგროვებისა და კვლევის მოცულობა.                             | M1                         | A         | B |
| P2-3-2. პროცესი, რომელიც გამოიყენება კანონთან შესაბამისობის რისკების შეფასების, რანჟირების და რაოდენობრივი განსაზღვრისათვის. |                            | B         |   |

შემოსავლების სამსახური აგროვებს და აანალიზებს როგორც შიდა ასევე მზარდი გარე წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას, კანონთან შესაბამისობის დონის დადგენის მიზნით. კანონთან შესაბამისობის რისკები განისაზღვრა გარემოს სკანირების საშუალებით, რომელიც შემოსავლების სამსახურმა „2017-2020 სტრატეგიული გეგმის“<sup>9</sup> ფარგლებში განახორციელა. შემოსავლების სამსახური ეკონომიკურ საგადასახადო მაჩვენებლებს აანალიზებს დარგების<sup>10</sup>, გადამხდელთა სეგმენტების და გადასახადების

<sup>9</sup> ეს პროცესი განმეორდა 2020–2022 წლების სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას.

<sup>10</sup> მომზადებულია სექტორული ანგარიშები სამშენებლო დარგის, სამთომომპოვებელი დარგის და მცირე ბიზნესის შესახებ.

ტიპების მიხედვით. იგი ასევე აფიქსირებს ჩაბარებულ საგადასახადო დეკლარაციებში და საგადასახადო შემოწმების შედეგად გამოვლენილ პრობლემურ საკითხებს. 2016, 2017 და 2018 წლებში საქართველოს შემოსავლების სამსახურმა დღგ-ს შემოსავლების დანაკარგის კვლევები ჩაატარა, ხოლო 2019 წლის კვლევა ამჟამად დასრულების პროცესშია. მონაცემთა შიდა წყაროებში შედის: სალარო აპარატისა და მონიტორინგის მონაცემები, საბაჟოს ინფორმაცია და ელექტრონული ანგარიშფაქტურები. იმის მიუხედავად, რომ შემოსავლების სამსახური გარე წყაროებიდან მიღებული მონაცემების გამოსაყენებლად<sup>11</sup>, რისკის მოდელს გამუდმებით აფართოებს, რისკის შეფასებასა და რაოდენობრივ დაანგარიშებას ხელს უშლის ფინანსური ინსტიტუტების ინფორმაციის მიუწვდომლობა. შემოსავლების სამსახურს არ მოუწოდებია მტკიცებულებები კანონთან შესაბამისობის აქტუალური საკითხების ან გადასახადის გადამხდელის ქცევის კვლევის შესახებ.

**მეთოდოლოგია, რომელიც გამოიყენება რისკების იდენტიფიცირების, შეფასებისა და რანჟირებისათვის კარგ საერთაშორისო პრაქტიკას შეესაბამება.** მიუხედავად იმისა, რომ მრავალწლიანი სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში 2019 -2020 წლების „კანონთან შესაბამისობის გაუმჯობესების გეგმა“ არ შემუშავებულა, შემოსავლების სამსახური მუშაობს, რომ მომავალში „კანონთან შესაბამისობის რისკების მართვის გეგმა“ შემუშავდეს. რისკის შეფასების სტრუქტურირებული პროცესი (რომელიც 2018 წელს შემუშავდა) საშუალებას აძლევს შემოსავლების სამსახურს შეაფასოს და დაადგინოს პრიორიტეტები ყველა ძირითადი გადასახადის და კანონთან შესაბამისობის ოთხი ძირითადი ვალდებულების მიხედვით და ძალისხმევის კონცენტრირება მოახდინოს გადასახადების მსხვილ გადამხდელებსა და დიდი სიმდიდრის მქონე პირების საქმიანობაზე.

#### **P2-4: რისკების შემცირება კანონთან შესაბამისობის გაუმჯობესების გეგმის გამოყენებით**

ეს კრიტერიუმი ამოწმებს თუ რამდენად კარგად ჩამოაყალიბა საგადასახადო ადმინისტრაციამ გადახდის გეგმა გამოვლენილი რისკების გადასაწყვეტად. შეფასების ქულა ნაჩვენებია ცხრილში #5. აქვე მოცემულია იმ მიზეზების განმარტება, რომელიც საფუძვლად უდევს აღნიშნულ შეფასებას.

---

<sup>11</sup> ეს მოიცავს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკადასტრო ინფორმაციას, შინაგან საქმეთა სამინისტროს ვიდეო და სატრანსპორტო საშუალებების ინფორმაციას და სხვადასხვა უწყებების (მათ შორის: საჯარო რეესტრს, სამოქალაქო რეესტრს, სახელმწიფო შესყიდვებს; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და განათლების სამინისტროს) ლიცენზიების და რეგისტრაციის ინფორმაციას.

ცხრილი 5. P2-4 შეფასება

| შეფასების სფერო  | ქულების გამოყენების მეთოდი | ქულა 2020 |
|--|----------------------------|-----------|
| P2-4. რამდენად ამცირებს საგადასახადო ადმინისტრაცია მის მიერ შეფასებულ რისკებს კანონთან შესაბამისობის გაუმჯობესების გეგმის გამოყენებით. | M1                         | C         |

საქართველოს შემოსავლების სამსახური ამცირებს საგადასახადო სისტემის შეფასებულ რისკებს კანონთან შესაბამისობის დონის გაუმჯობესების გეგმის საშუალებით, რომელიც 2019 და 2020 წლებს მოიცავს. ეს გეგმა, რომელიც 2019 წლის დაგეგმვის პროცესის ფარგლებში შემუშავდა, დაგვიანებით დამტკიცდა შემოსავლების სამსახურის რისკების მართვის კომიტეტის<sup>12</sup> მიერ, 2020 წლის თებერვალში. ამ გეგმაში აღწერილია თუ როგორ გაანალიზა შემოსავლების სამსახურმა კანონთან შესაბამისობის რისკები ოთხი ძირითადი ვალდებულებისა და ძირითადი გადასახადების მიხედვით. გეგმაში ხაზგასმულია რისკების ოთხი სფერო, რომელზეც შემოსავლების სამსახური ყურადღებას გაამახვილებს ორი წლის განმავლობაში: (i) დღგ – ეკონომიკური საქმიანობის პროცესში გადასახადების გადამხდელთა მიერ დღგ-ში ზედმეტად გადახდილი თანხების ავტომატური დაბრუნების ხელშეწყობის მიზნით სამუშაოების განხორციელება; (ii) წყაროსთან დაკავებული გადასახადი – შემოსავლების სამსახურის მიერ განხორციელებული კვლევის მიხედვით ადგილი აქვს დიდ სხვაობას წყაროსთან დაკავებული გადასახადის დაქვითულ თანხასა და შემოსავლების სამსახურისთვის დეკლარირებულ თანხას შორის; (iii) თვითდასაქმებული პირები და დიდი სიმდიდრის მქონე პირები; და (iv) მსხვილი გადამხდელები – ამ ჯგუფზე მოდის საგადასახადო შემოსავლების დაახლოებით 60 პროცენტი. შეთანხმებული ღონისძიებების განსახორციელებლად საჭირო რესურსების გამოყოფა ხდება ყოველწლიურად. ისინი განიხილება სამსახურის უფროსთან და მენეჯმენტის ზედა რგოლთან ყოველთვიურ შეხვედრებზე. წარმოდგენილი მტკიცებულებები ცხადყოფს, რომ ამ შეხვედრების დროს რისკები და მათზე რეაგირების საკითხები სიღრმისეულად იხილება, თუმცა აღნიშნული დოკუმენტებიდან არ ჩანს რისკის დაძლევის ღონისძიებების

<sup>12</sup> რისკების მართვის კომიტეტის წევრები არიან: საქართველოს შემოსავლების სამსახურის უფროსი (თავმჯდომარე), საქართველოს შემოსავლების სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე (თავმჯდომარის მოადგილე); საქართველოს შემოსავლების სამსახურის უფროსის ორი მოადგილე; ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი და უფროსის მოადგილე; საბაჟო დეპარტამენტის უფროსი; საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტის უფროსი; აუდიტის დეპარტამენტის უფროსი; საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი; მომსახურების დეპარტამენტის უფროსი; საინფორმაციო ტექნოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი; რეგორმისა და დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი.

განხორციელების მონიტორინგისა და ანგარიშგების ოფიციალური ან სისტემური პროცესის არსებობა.

**P2-5: კანონთან შესაბამისობის რისკის შემცირების ღონისძიებების მონიტორინგი და შეფასება**

ეს კრიტერიუმი უყურებს კანონთან შესაბამისობის რისკების შემცირების ღონისძიებების მონიტორინგისა და შეფასების პროცესს. შეფასების ქულა ნაჩვენებია ცხრილში #6. აქვე მოცემულია იმ მიზეზების განმარტება, რომელიც საფუძვლად უდევს აღნიშნულ შეფასებას.

**ცხრილი 6. P2-5 შეფასება**

| შეფასების სფერო   | ქულების გამოყვანის მეთოდი | ქულა 2020 |
|---|---------------------------|-----------|
| P2-5. კანონთან შესაბამისობის რისკების შემცირების ღონისძიებების მონიტორინგისა და შეფასებისთვის გამოყენებული პროცესი. | M1                        | D         |

კანონთან შესაბამისობის რისკების შემცირების პროცესების მართვის წესები არსებობს, მაგრამ ჯერჯერობით ისინი არ ითვალისწინებენ რისკების შერბილების აქტივობების მონიტორინგს და შეფასებას. რისკების მართვის კომიტეტის თავმჯდომარეა სამსახურის უფროსი და მასში შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელები და დეპარტამენტების უფროსები შედიან. კომიტეტი ყოველ კვარტალში ერთხელ იკრიბება, რათა არსებულ რისკებზე იმსჯელოს და მათზე რეაგირების გზები დაამტკიცოს. მიუხედავად იმისა, რომ რისკების მართვის კომიტეტმა „კანონთან შესაბამისობის გაუმჯობესების 2019 - 2020 წლის გეგმა“ დაამტკიცა, არ არსებობს რაიმე მტკიცებულება, რომ კომიტეტი შეთანხმებული რისკების დაძლევაში მიღწეულ პროგრესს აკონტროლებს ან რეგულარულად იღებს ანგარიშებს აღნიშნული ღონისძიებების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ შემოსავლების სამსახურმა აუდიტის ოპერაციების ეფექტურობა შეისწავლა და საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მუშაობის ეფექტურობა შეაფასა, მას ჯერჯერობით ოფიციალურად არ უნდა შეუფასებია კანონთან შესაბამისობის რისკის შემცირების იმ ღონისძიებების გავლენა, რომლებიც დასახულია „კანონთან შესაბამისობის გაუმჯობესების 2019 - 2020 წლის გეგმაში“.

**P2-6: საოპერაციო რისკების მართვა<sup>13</sup>**

ეს კრიტერიუმი იკვლევს თუ როგორ მართავს საგადასახადო ადმინისტრაცია ინსტიტუციურ რისკებს. შეფასებული ქულა ნაჩვენებია ცხრილში #7. აქვე მოცემულია იმ მიზეზების განმარტება, რომელიც საფუძვლად უდევს აღნიშნულ შეფასებას.

**ცხრილი 7. P2-6 შეფასება**

| შეფასების სფერო   | ქულების გამოყვანის მეთოდი | ქულა 2020 |   |
|---|---------------------------|-----------|---|
| P2-6-1. ინსტიტუციური რისკების გამოვლენის, შეფასებისა და აღმოფხვრისათვის გამოყენებული პროცესები. | M1                        | D         | D |
| P2-6-2. ბიზნესის უწყვეტობის პროგრამის ტესტირების, მონიტორინგის და შეფასების დონე.               |                           | D         |   |

**რისკის მართვის ძირითადი კომპონენტები არ არსებობს.** საქართველოს შემოსავლების სამსახურს არ აქვს არც ოპერაციული რისკების მართვის სრული პროცესი და არც ბიზნესის უწყვეტობის გეგმა, რომელიც უზრუნველყოფდა მისი ბიზნეს ოპერაციების უწყვეტ მუშაობას. 2020 წლის დასაწყისამდე, შემოსავლის სამსახურის თითოეული დეპარტამენტი, IT- ს ჩათვლით, ადგენდა და მართავდა საკუთარ საოპერაციო რისკებს, შეფასების, პრიორიტეტების დადგენის ან ღონისძიებების განსაზღვრის მიმართ უწყებრივი მიდგომის გარეშე. 2020 წლის თებერვალში, შესაძლებლობების განვითარების ღონისძიებების ფარგლებში, შემოსავლების სამსახურის შიდა აუდიტის დეპარტამენტმა დახმარება მიიღო უწყებრივი რისკების მართვის სისტემის შემუშავების დასაწყებად<sup>14</sup> უწყებრივი რისკების მართვის ქმედითი ჩარჩოს შემუშავების გარდა, შემოსავლების სამსახურის ინსტიტუციური რისკები (და კანონთან შესაბამისობის ზოგიერთი რისკი) შეფასდა ოთხი განზომილების მიხედვით: ზეგავლენა, ალბათობა, ტენდენცია და კონტროლის ეფექტიანობა. შეფასების შედეგები მოწონებული იყო საქართველოს შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელობის მიერ

<sup>13</sup> შენიშვნა: შეფასების ამ კრიტერიუმში შესწორება შევიდა 2019 წელს, რის გამოც მისი შედეგები პირდაპირ შესადარი არ არის 2016 წლის ქულებთან.

<sup>14</sup> „საქართველო: შიდა აუდიტი: უწყებრივი რისკების მართვა და ბიზნესის უწყვეტობის გეგმა“, ფიბლინი, ფინანსურ საქმეთა დეპარტამენტი, ივნისი, 2020.

და შიდა აუდიტის დეპარტამენტი იყენებს ამ ანგარიშს, როგორც მაგალითს უწყებრივი რისკების მართვის დასაწყებად.<sup>15</sup>

**საქართველოს შემოსავლების სამსახური ბიზნესის უწყვეტობის გეგმის განხორციელებაზე მუშაობს.** 2020 წლის თებერვალში განხორციელებულმა სამუშაოებმა საშუალება მისცა შემოსავლების სამსახურს დაედგინა ბიზნესის უწყვეტობის რისკები და დაეწყო ბიზნესის უწყვეტობის გეგმის შემუშავების პროცესი. 2021 წელს „ბიზნესის უწყვეტობის გეგმის“ მიღების შემდეგ, ის ერთიანობაში მოიყვანს ისეთ კრიტიკულ სიტუაციებზე რეაგირების სტრატეგიებს, რომლებსაც სამსახურის ოპერაციების შეფერხება შეუძლიათ და საინფორმაციო ტექნოლოგიების მუშაობის აღდგენის სამიზნე დროსა და მომენტს განსაზღვრავს. შემოსავლების სამსახურის ზედა რგოლის მენეჯერებს და შიდა აუდიტის დეპარტამენტის თანამშრომლებს ტრენინგი ჩაუტარდათ რისკების მართვისა და ბიზნესის უწყვეტობის საკითხებზე, მაგრამ დანარჩენ თანამშრომლებს ეს ტრენინგი ჯერჯერობით არ გაუვლიათ.

პერსონალისთვის ბიზნესის უწყვეტობის საკითხების სწავლების შესახებ რაიმე მტკიცებულება ხელმისაწვდომი არ იყო. შემოსავლების სამსახური არაერთ კონტროლს იყენებს გადასახადის გადამხდელის კონფიდენციალური ინფორმაციის დასაცავად. იგი ასევე მუშაობს IT უსაფრთხოების განმტკიცებაზე ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემების ISO სტანდარტის დანერგვით. ეს კიდევ უფრო გააუმჯობესებს ინფორმაციის უსაფრთხოებას და შეამცირებს უსაფრთხოების დარღვევის ან კიბერ-ინციდენტების ალბათობას.

**ბიზნესის უწყვეტობის გეგმის გარეშე, სერიოზული დაზიანების შემდეგ IT ოპერაციების აღდგენის პროცესები არ არის დოკუმენტირებული.** იმ IT გარემოზე, რომელზეც შემოსავლების სამსახური არის დამოკიდებული, პასუხისმგებელია ფინანსთა სამინისტროს ანალიტიკური სამსახური, რადგანაც ის მართავს შემოსავლების სამსახურისთვის კრიტიკულ IT ინფრასტრუქტურას, ხოლო შემოსავლების სამსახურის IT დეპარტამენტი ახორციელებს ბიზნეს-აპლიკაციების მხარდაჭერას.

მიუხედავად იმისა, რომ ორმა მხარემ წარმატებით გამოსცადა ძირითადი სერვერის გადართვა სარეზერვო სერვერზე და მონაცემთა ცენტრის ფუნქციონირება, ამჟამად ეს ტესტები არარეგულარულად, მხოლოდ სიტუაციის მიხედვით ხორციელდება. შემოსავლების სამსახურმა ფინანსთა სამინისტროს ანალიტიკურ სამსახურთან

---

<sup>15</sup> შემდგომი ნაბიჯები: (1) რისკების მესაკუთრეთა იდენტიფიკაცია; (2) სამოქმედო გეგმები პირველი რიგის რისკის შესამცირებლად; (3) მეორე რიგის რისკების ანალიზი; (4) სამოქმედო გეგმების ინტეგრირება საქართველოს შემოსავლების სამსახურების დაგეგმვის პროცესში; და (5) ანგარიშგების პროცესის შემუშავება რისკების სტატუსის მონიტორინგისა და გადახედვის მიზნით.



„მომსახურების დონის ხელშეკრულების“ შემუშავება დაიწყო. ამ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იქნება მოთხოვნები კრიტიკული მნიშვნელობის ასპექტებსა და რისკის მართვის მიმართ, რომელთა შორისაა: სისტემების ხელმისაწვდომობა, მონაცემთა უსაფრთხოება და ბიზნესის უწყვეტობა. „მომსახურების დონის ხელშეკრულებაში“ აგრეთვე აისახება COVID-19 პანდემიის გამოწვევებზე რეაგირებისას მიღებული გაკვეთილები.

**P2-7: ადამიანური კაპიტალის რისკების მართვა**

ეს მაჩვენებელი იკვლევს, თუ როგორ მართავს საგადასახადო ადმინისტრაცია ადამიანური კაპიტალის რისკებს. შეფასების ქულა მოცემულია ცხრილში #8. აქვე მოცემულია იმ მიზეზების განმარტება, რომელიც საფუძვლად უდევს აღნიშნულ შეფასებას.

**ცხრილი 8. P2-7 შეფასება**

| შეფასების სფეროები   | ქულების გამოყვანის მეთოდი | ქულა 2020 |   |
|--|---------------------------|-----------|---|
| P2-7-1. საგადასახადო ადმინისტრაციის მიერ ადამიანური კაპიტალის რისკების მართვის შესაძლებლობები და სტრუქტურები.                      | M1                        | C         | D |
| P2-7-2. საგადასახადო ადმინისტრაციის მიერ ადამიანური კაპიტალის რისკების შეფასების ხარისხი და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. |                           | D         |   |

**ადამიანური კაპიტალის სამართავად საქართველოს შემოსავლების სამსახურს აქვს ქმედითი სტრუქტურები და შესაძლებლობები.**

თავისი ბიზნეს სტრატეგიის შემუშავებისას, შემოსავლების სამსახურმა განსაზღვრა ძირითადი მიმართულებები, სადაც ადამიანური რესურსების სფეროში მუშაობა და მხარდაჭერა არის საჭირო. პრიორიტეტები მითითებულია შემოსავლების სამსახურის სტრატეგიულ დოკუმენტში<sup>16</sup> და ამ სფეროების მხარდაჭერის კონკრეტული ინიციატივები მოცემულია HR სამოქმედო გეგმაში. გეგმა დაამტკიცა სამსახურის უფროსმა, რომელიც რეგულარულად იღებს ინფორმაციას ინიციატივების განხორციელების შესახებ. უმეტესწილად ინფორმაციის მიწოდება ხდება ზეპირსიტყვიერად და რისკის დაძლევის ღონისძიებების მონიტორინგისა და ანგარიშგების ოფიციალური ან სისტემატური პროცესის შესახებ მტკიცებულებები არ

<sup>16</sup> საქართველოს შემოსავლების სამსახურის 2017 – 2020 წლების სტრატეგიული გეგმა.

არსებობს. რისკების მართვის კომიტეტი ჯერჯერობით არ იხილავს ადამიანური კაპიტალის რისკებს და არ იძლევა მითითებებს მათ შემცირების ღონისძიებების შესახებ. ადამიანური რესურსების დეპარტამენტს გამოცდილი HR პროფესიონალი ხელმძღვანელობს. ადამიანური რესურსების დეპარტამენტის გუნდში არის მინიმუმ ორი უფროსი სპეციალისტი, რომლებსაც ადამიანური კაპიტალის რისკების მართვის გამოცდილება და ცოდნა აქვთ. დღემდე, შემოსავლების სამსახურის მენეჯერებსა და ხელმძღვანელებს არ გაუვლიათ ტრენინგი ადამიანური კაპიტალის რისკებისა და შემოსავლების სამსახურზე მათი შესაძლო გავლენის შესახებ, თუმცა ამის განხორციელება დაგეგმილია, როგორც ზემოთ აღწერილი უწყებრივი რისკების მართვის პროცესების ნაწილი. შემოსავლების სამსახური ახორციელებს თანამშრომელთა მუშაობის ეფექტიანობის ყოველწლიური შეფასების პროცესს მთელი პერსონალისთვის. თანამშრომლები მათი მენეჯერისგან უკუკავშირის ყოველ ექვს თვეში იღებენ.

**ადამიანური რესურსების დეპარტამენტი 2017 წელს დაარსდა და ნელ-ნელა აფართოებს თავის შესაძლებლობებს, რომ HR ფუნქციების უფრო ფართო სპექტრი მოიცვას.** ადამიანური რესურსების დეპარტამენტის მუშაობა შესწავლილი იყო 2017 წლის ბოლოს სავალუტო ფონდის საკონსულტაციო დახმარების ფარგლებში.<sup>17</sup> შემუშავდა რეკომენდაციები სტრუქტურისა და სისტემების შესახებ. მას შემდეგ შემოსავლების სამსახურმა HR სამოქმედო გეგმაში ხაზგასმულ პრიორიტეტულ მიმართულებებზე მუშაობა დაიწყო. HR სამოქმედო გეგმა ოპერაციულ სისტემებსა და პროცესებს განსაზღვრავს. 2020 წელს ადამიანური რესურსების დეპარტამენტის საქმიანობა ფინანსთა სამინისტროს შიდა აუდიტის გუნდმა შეისწავლა. გარდა დეპარტამენტის მთლიანი ოპერაციების შემოწმებისა, აგრეთვე განხილულ იქნა ადამიანური რესურსების ხელშეკრულებების მართვის, პერსონალის მუშაობის შეფასებისა და დასაქმების სისტემები და პრაქტიკა. ადამიანური რესურსების დეპარტამენტი აპირებს ოფიციალურად გადასინჯოს თავისი ოპერაციები და სისტემები მომდევნო სამი წლის განმავლობაში.

იმის მიუხედავად, რომ საქართველოს შემოსავლების სამსახური თავის წლიურ ანგარიშში აქვეყნებს მონაცემებს ადამიანურ კაპიტალთან დაკავშირებული რისკების გარკვეული ელემენტების შესახებ, ის ამჟამად ამ რისკების რაიმე ფორმალურ შეფასებას არ ახორციელებს. იმის მიუხედავად, რომ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში შემოსავლების სამსახურმა მთელი რიგი სამუშაოები განახორციელა ადამიანური კაპიტალის რისკების კატეგორიების უმეტესობასთან დაკავშირებით, მას არ

---

<sup>17</sup> საქართველო: ადამიანური რესურსების დეპარტამენტის შესაძლებლობების განვითარება, პაულსონი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი. ოქტომბერი, 2017.

გამოუყენებია დამოუკიდებელი მესამე მხარეები ამ რისკების სტატუსის შესაფასებლად და არ გაუკეთებია მათი ზემოქმედების წლიური ანალიზი შემარბილებელი ღონისძიებების ქმედითობის შესაფასებლად.

### C. POA 3: კანონთან ნებაყოფლობითი შესაბამისობის ხელშეწყობა

იმისათვის, რომ ხელი შევუწყოთ კანონთან ნებაყოფლობით შესაბამისობას და ავამაღლოთ საზოგადოების ნდობა საგადასახადო სისტემაში, აუცილებელია, რომ საგადასახადო ადმინისტრაციებმა შეცვალონ საკუთარი დამოკიდებულება გადამხდელების მიმართ და საქმეს მომსახურებაზე ორიენტირებული დამოკიდებულებით მოეკიდონ, უზრუნველყონ გადამხდელები ყველა საჭირო ინფორმაციით და დახმარება გაუწიონ მათ საკუთარი მოვალეობის შესრულებაში; აგრეთვე დაიცვან გადამხდელთა კანონით გათვალისწინებული უფლებები. იქიდან გამომდინარე, რომ გადამხდელთა მხოლოდ მცირე რიცხვი იყენებს კანონებს, როგორც პირველად საინფორმაციო წყაროს, საგადასახადო ადმინისტრაციის დახმარებას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ამ ინფორმაციული ვაკუუმის გადალახვაში. გადამხდელები მოელიან, რომ საგადასახადო ადმინისტრაცია მათ შემოკლებული, გასაგები ენით დაწერილ ინფორმაციას მიაწვდის, რომელზე დაყრდნობაც მათ შეუძლიათ.

აგრეთვე მნიშვნელოვანია გადამხდელებისათვის გადასახადების ხარჯების შემცირებაზე გაწეული ძალისხმევა. მაგალითად, მცირე საწარმოებს ძალიან უწყობს ხელს მასალების შენახვისა და ანგარიშის გამარტივებული მოთხოვნები. ასევე, იმ პირებს, რომლებსაც შედარებით მარტივი საგადასახადო ვალდებულებები გააჩნიათ (როგორცაა პერსონალი, პენსიონერები და პასიური ინვესტორები) ძალიან ეხმარება გამარტივებული გადახდის მექანიზმები და სისტემები, რომლებიც არ მოითხოვენ დეკლარაციების წარდგენას.

POA 3-ის შესაფასებლად გამოიყენება შეფასების ოთხი კრიტერიუმი:

- P3-8 - ინფორმაციის მოცულობა, სიახლე და ხელმისაწვდომობა.
- P3-9 - ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემის დრო.
- P3-10 - გადამხდელის საგადასახადო ხარჯების შესამცირებლად განხორციელებული ინიციატივების მოცულობა.
- P3-11 - გადამხდელთა მოსაზრებების გაზიარება პროდუქტებისა და მომსახურების შესახებ.

**P3-8: ინფორმაციის მოცულობა, სიახლე და ხელმისაწვდომობა**

ეს კრიტერიუმი ფასდება შემდეგი ოთხი განზომილების მიხედვით: (1) აქვთ თუ არა გადამხდელებს მათთვის საჭირო ინფორმაცია საკუთარი ვალდებულებების შესასრულებლად; (2) ასახავს თუ არა გადამხდელებისათვის ხელმისაწვდომი ინფორმაცია მიმდინარე კანონებსა და ადმინისტრაციულ წესებს; (3) რამდენად იოლია გადამხდელებისათვის ინფორმაციის მოპოვება. შეფასების ქულები ნაჩვენებია ცხრილში #9. აქვე მოცემულია იმ მიზეზების განმარტება, რომელიც საფუძვლად უდევს აღნიშნულ შეფასებას.

**ცხრილი 9. P3-8 შეფასება**

| შეფასების სფეროები   | ქულების გამოყენების მეთოდი | ქულა 2020 |   |
|--|----------------------------|-----------|---|
| P3-8-1. გადამხდელებისათვის ხელმისაწვდომი სხვადასხვა ინფორმაცია, რომელიც მათ გასაგები ენით უხსნის საკუთარ ვალდებულებებსა და უფლებებს ყველა ძირითად გადასახადზე. | M1                         | A         |   |
| P3-8-2. ინფორმაციის სიახლოს ხარისხი კანონისა და ადმინისტრაციული წესებთან მიმართებით.   |                            | A         | A |
| P3-8-3. გადამხდელის მიერ საგადასახადო ადმინისტრაციიდან ინფორმაციის მიღების სიადვილე.   |                            | A         |   |

საქართველოს შემოსავლების სამსახური გადასახადის გადამხდელებს აწვდის ინფორმაციას თემების ფართო სპექტრის შესახებ და ეს ინფორმაცია მორგებულია გადამხდელთა სხვადასხვა სეგმენტების, დარგების და შუამავლების საჭიროებებზე. ახლახან გახსნილი ახალი ვებგვერდი შეიცავს ინფორმაციის ფართო სპექტრს გადასახადის გადამხდელის ყველა ვალდებულების (რეგისტრაციის, დეკლარირების, ანგარიშგებისა და გადახდის) და უფლებების (მაგ. დღგ-ს თანხის დაბრუნებისა და დავის უფლების) შესახებ. ინფორმაცია, რომელსაც შემოსავლების სამსახური გადამხდელებს სთავაზობს, მორგებულია მცირე ბიზნესის საჭიროებებზე, მაგალითად, განმარტავს მათ მიერ აღრიცხვის წარმოებისა და დეკლარირების ვალდებულებებს და სპეციალურ ყურადღებას უთმობს სოციალურად დაუცველ ჯგუფებსა და უმცირესობებს, რომლებიც ქართულისგან განსხვავებულ ენებს იყენებენ.<sup>18</sup> კონკრეტულ თემებთან დაკავშირებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია დაახლოებით 600 მეთოდური გზამკვლევისა და პროცედურული სახელმძღვანელოს

<sup>18</sup> საქართველოს შემოსავლების სამსახური აქტიურად თანამშრომლობს აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე გამოცემულ გაზეთებთან. 2019 წელს გამოქვეყნდა 60 საინფორმაციო სტატია.

საშუალებით. შემოსავლების სამსახური ასევე იყენებს სოციალურ მედიას, როგორცაა Facebook და YouTube. არსებობს 15 რეგიონალური სერვისცენტრი, რომელიც გადასახადის ინფორმაციას აწვდის იმ გადამხდელებს, რომლებიც ამჯობინებენ პირისპირ კომუნიკაციას ამჯობინებენ.

**საქართველოს შემოსავლების სამსახური უზრუნველყოფს ინფორმაციის განახლებას და გადასახადის გადამხდელების ინფორმირებას კანონში და ადმინისტრაციულ პოლიტიკაში ცვლილებების შესახებ მანამ, სანამ ისინი ძალაში შევლენ.** წინა საგადასახადო ადმინისტრაციის წინა დიაგნოსტიკური შეფასების შედეგად, შემოსავლების სამსახურმა შექმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც 2020 წლის თებერვლიდან ფუნქციონირებს. ამ სამუშაო ჯგუფს ინფორმაციის განახლება ევალება. მოქმედი და საგადასახადო კანონპროექტების მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, ხოლო ოპერატიული დეპარტამენტების მიერ გადასახადის გადამხდელებისათვის მიწოდებული ინფორმაციის მონიტორინგი - რეგულარულად.

**გადამხდელებს ეძლევათ ინფორმაციაზე წვდომის შესაძლებლობა სხვადასხვა მოსახერხებელი არხების საშუალებით.** შემოსავლების სამსახურის „მომსახურების განვითარების სტრატეგიის 2019-2020“ მიხედვით, ნებაყოფლობითი შესაბამისობა უნდა გაუმჯობესდეს მომსახურებების ფართო სპექტრისა და ისეთი ახალი საკომუნიკაციო არხების შემდგომი განვითარების გზით, როგორცაა ონლაინ ჩეთი<sup>19</sup> და ჩეთბოტი. გარდა ვებგვერდის, გადასახადის გადამხდელთა პორტალის, სოციალური მედიის, სატელეფონო ცენტრისა და 15 რეგიონალური სერვისცენტრისაგან მიწოდებული ინფორმაციისა, გადასახადის გადამხდელებს საშუალება აქვთ ინფორმაცია მიიღონ სხვადასხვა მიზნობრივი სემინარებისა და საინფორმაციო კამპანიების საშუალებით.<sup>20</sup>

**გადასახადის გადამხდელებისთვის, შუამავლებისთვის ან სხვა დაინტერესებული ჯგუფებისთვის ინფორმაციის მიწოდება უფასოა.** შემოსავლების სამსახური ითხოვს გადასახადს Privé მომსახურებაზე, კერძო საგადასახადო მრჩეველთა პროგრამაში,

---

<sup>19</sup> ონლაინ ჩეთი ამოქმედდა 2020 წლის 12 ოქტომბერს.

<sup>20</sup> მაგალითად: 2019 წელს საქართველოს შემოსავლების სამსახურმა 18 შეხვედრა მოაწყო ბიზნეს-ასოციაციების წარმომადგენლებთან მათთვის ინფორმაციის მისაწოდებლად და იმ გამოწვევების განსახილველად, რომლებიც ბიზნესის წინაშე დგას მათი ვალდებულებების შესრულებისას. ამასთან ერთად, მოეწყო საგანმანათლებლო ღონისძიებები სკოლის მოსწავლეებისთვის. მობილური ოფისები ('RS მანქანები') გამოიყენება მაღალმთიან რეგიონებში გადასახადის გადამხდელთათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

რომელსაც ძირითადად მსხვილი გადამხდელები იყენებენ, პერსონალური დახმარების მისაღებად. შემოსავლების სამსახური გეგმავს ეს მომსახურებაც უფასო გახადოს.

**P3-9: ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემის დრო.**

ეს კრიტერიუმი აფასებს თუ რამდენად სწრაფად პასუხობს საგადასახადო ადმინისტრაცია გადასახადის გადამხდელთა და საგადასახადო შუამავლების მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას (ამ განზომილების გაზომვისა და ამ საკითხში საგადასახადო ადმინისტრაციის ეფექტიანობის ზოგადი შეფასების მიზნით გამოიყენება სატელეფონო ზარის მოლოდინის დრო). შეფასების ქულები ნაჩვენებია ცხრილში #10 მას აგრეთვე თან ახლავს იმ მიზეზების განმარტება, რომელიც საფუძვლად უდევს აღნიშნულ შეფასებას.

**ცხრილი 10. P3-9 შეფასება**

| შეფასების სფერო   | ქულების გამოყვანის მეთოდი | ქულა 2020 |
|---|---------------------------|-----------|
| P3-9: გადასახადების გადამხდელების და შუამავლების მიერ მოთხოვნილ ინფორმაციაზე პასუხის გაცემის დრო. | M1                        | A         |

**სატელეფონო ცენტრი ტელეფონით მიღებულ კითხვებს საშუალოდ ექვს წუთში პასუხობს.** გადასახადის გადამხდელები აქტიურად არიან ინფორმირებულნი მომსახურების დონის შესახებ, რომლის მოლოდინიც შეიძლება ჰქონდეთ შემოსავლების სამსახურთან დაკავშირების დროს.<sup>21</sup> მოთხოვნილ ინფორმაციაზე პასუხის გაცემის სტანდარტებია: (i) ექვსი წუთი - სატელეფონო ზარებისათვის, (ii) ათი სამუშაო დღე - წერილებისთვის და (iii) ორი სამუშაო დღე - ოფიციალური ელექტრონული ფოსტისთვის. სატელეფონო ცენტრში („ფრონტ ოფისსა“ და „ბექ ოფისში“) ამჟამად 39 ოპერატორია. ახალი სისტემა, რომელიც სატელეფონო ცენტრის სისტემის ამჟამინდელ საერთაშორისო სტანდარტებს აკმაყოფილებს, 2020 წლის ივლისში დაინერგა. წინა სისტემა მოძველებული იყო. მას არ შეეძლო არც სატელეფონო ცენტრის მუშაობის საერთო დონის განსაზღვრა და არც უპასუხოდ დარჩენილი ზარების კონტროლი. შემოსავლების სამსახურმა შეიმუშავა ამ პრობლემის მოგვარების გზა, მენეჯმენტის საჭირო ინფორმაციის მისაწოდებლად. III დანართის #3 ცხრილიდან ჩანს, რომ 2020 წლის მარტამდე ზარების მთლიანი რაოდენობის 95

<sup>21</sup> გადასახადების გადამხდელთა წესდება, საქართველოს მთავრობის დადგენილება #96 და საქართველოს შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანება #27897.

პროცენტს პასუხობენ 6 წუთში. 2020 წლის აპრილიდან ივლისამდე პერიოდში, ამ მაჩვენებლის ზუსტ გაზომვაზე ზეგავლენა მოახდინა COVID-19 პანდემიის გამო შემოღებულმა სახლიდან მუშაობის რეჟიმმა.

**P3-10: გადამხდელის კანონთან შესაბამისობის ხარჯების შესამცირებელი ინიციატივების მოცულობა**

ეს კრიტერიუმი ამოწმებს საგადასახადო ადმინისტრაციის მიერ გადამხდელის კანონთან შესაბამისობის ხარჯების შემცირებისათვის გაწეულ ძალისხმევას. შეფასების ქულები ნაჩვენებია ცხრილში #11. აქვე მოცემულია იმ მიზეზების განმარტება, რომელიც საფუძვლად უდევს აღნიშნულ შეფასებას.

**ცხრილი 11. P3-10 შეფასება**

| შეფასების სფერო  | ქულების გამოყვანის მეთოდი | ქულა 2020 |
|--|---------------------------|-----------|
| P3-10. გადამხდელის კანონთან შესაბამისობის ხარჯების შესამცირებლად განხორციელებული ინიციატივების მოცულობა. | M1                        | B         |

**საქართველოს შემოსავლების სამსახურს აქვს მთელი რიგი ინიციატივები გადამხდელის კანონთან შესაბამისობის ხარჯების შესამცირებლად.** მცირე და მიკრო ბიზნესებისთვის მოქმედებს აღრიცხვისა და ანგარიშგების გამარტივებული პროცესები. გადასახადის გადამხდელთა უსაფრთხო პორტალს აქვს 24/7 ხელმისაწვდომობა, ის ყველა მთავარი გადასახადის ონლაინ დეკლარირების და ელექტრონული გადახდის საშუალებას იძლევა. შემოსავლების სამსახური პერიოდულად განიხილავს საგადასახადო დეკლარაციის ფორმებს. ხშირად დასმული შეკითხვები ეხმარება გადასახადის გადამხდელს გააცნობიერონ თავიანთი ვალდებულებები. მოქმედებს საჯარო და კერძო გადაწყვეტილებების სისტემა, რომლის დროსაც შემოსავლების სამსახური გადამხდელს განმარტებებს და მითითებებს აძლევს, რის შედეგადაც გადასახადის გადამხდელმა წინასწარ იციან თუ როგორ განიხილება კონკრეტული სიტუაციები. შემოსავლების სამსახური წინასწარ არ ავსებს მონაცემებს საგადასახადო დეკლარაციის ფორმებში.<sup>22</sup>

<sup>22</sup> აღსანიშნავია, რომ დღე-ს დეკლარირების პროცესის გამარტივების მიზნით, გადასახადის გადამხდელს თავიანთი პორტალიდან შეუძლიათ შეარჩიონ დამტკიცებული ინვოისები, რომლებიც ავტომატურად შედის დღე-ს დეკლარაციაში. ეს ამარტივებს მონაცემთა შევსების პროცედურებს და აგრეთვე ხელს უწყობს საგადასახადო ვალდებულების სწორად გაანგარიშებას.

**P3-11: გადასახადის გადამხდელებისგან უკუკავშირის მიღება პროდუქტებსა და მომსახურებებზე**

ეს კრიტერიუმი ფასდება შემდეგი ორი შეფასების სფეროთ: (1) რამდენად ცდილობს საგადასახადო ადმინისტრაცია გაარკვიოს გადასახადის გადამხდელოთა და დაინტერესებულ მხარეთა შეხედულებები მომსახურების მიწოდების შესახებ; და (2) რამდენად ითვალისწინებს საგადასახადო ადმინისტრაცია გადასახადის გადამხდელოთა უკუკავშირის ადმინისტრაციული პროცესებისა და პროდუქტების შემუშავების დროს. შეფასების ქულები ნაჩვენებია ცხრილში #12. მას აგრეთვე თან ახლავს იმ მიზეზების განმარტება, რომელიც საფუძვლად უდევს აღნიშნულ შეფასებას.

**ცხრილი 12. P3-11 შეფასება**

| შეფასების სფეროები   | ქულების გამოყვანის მეთოდი | ქულა 2020 |   |
|--|---------------------------|-----------|---|
| P3-11-1. გაწეული მომსახურების შესახებ გადამხდელოთა მოსაზრების გაზიარებისათვის საჭირო მეთოდების გამოყენება და მათი სიხშირე.                                   | M1                        | A         | A |
| P3-11-2. რამდენად ითვალისწინებს საგადასახადო ადმინისტრაცია გადასახადის გადამხდელოთა უკუკავშირის ადმინისტრაციული პროცესებისა და პროდუქტების შემუშავების დროს. |                           | A         |   |

საქართველოს შემოსავლების სამსახური უკუკავშირის იღებს გადასახადის გადამხდელებისგან გაწეული მომსახურების შესახებ. შემოსავლების სამსახური თანამშრომლობს ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან, თვალს ადევნებს სატელეფონო ზარებს და გადასახადის გადამხდელოთა ვიზიტებს. შეხვედრები ბიზნეს ასოციაციების წარმომადგენლებთან ორგანიზებულია შემოსავლების სამსახურის ინიციატივით. ამ შეხვედრებზე განიხილება ბიზნესის წინაშე მდგარი გამოწვევები და მათი დაძლევის გზები. სატელეფონო ზარების საშუალებით და მომსახურების ცენტრებში გადასახადის გადამხდელოთა ვიზიტის გზით, შემოსავლების სამსახურს ასევე იღებს ინფორმაციას გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით.

საქართველოში საგადასახადო სისტემისადმი დამოკიდებულების შესახებ ანგარიში აჩვენებს, რომ შემოსავლების სამსახურის მომსახურებების მიმართ ნდობის დონე



**მაღალია.** აღნიშნული ანგარიში<sup>23</sup> გამოქვეყნდა საქართველოში USAID-ის პროგრამის „მმართველობა განვითარებისთვის“ (G4G-ს) მიერ, 1,742 რესპონდენტის გამოკითხვის საფუძველზე. მასში ნათქვამია, რომ გამოკითხულთა 99 პროცენტი კმაყოფილია სერვის ცენტრების მომსახურებით და ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციით, ხოლო 94 პროცენტი კმაყოფილია სატელეფონო ცენტრის მომსახურებით.

**საქართველოს შემოსავლების სამსახურმა გადასახადის გადამხდელებთან კონსულტაცია გაიარა ახალი ვებგვერდის დიზაინის შესახებ.** მისი ძირითადი მიზანი ის იყო, რომ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია გადასახადის გადამხდელებისთვის გასაგები ყოფილიყო, ხოლო საიტზე ნავიგაცია - ადვილი. ამ მიზნით, შემოსავლების სამსახურმა კონსულტაცია გაიარა გადასახადის გადამხდელთა მრავალფეროვან ჯგუფებთან, როგორებიცაა მცირე ბიზნესი, შუამავლები და ბიზნეს ასოციაციები. არსებობს კიდევ სხვა მაგალითებიც, როდესაც შემოსავლების სამსახურმა მიმართა გადამხდელთა მთავარ ჯგუფებსა და შუამავლებს ადმინისტრაციული პროცესებისა და პროდუქტების ხარვეზების დასადგენად. ასეთია დღგ-ს დეკლარაციის ამჟამინდელი ფორმის შემუშავება. შემოსავლების სამსახური კონსულტაციას გადის ბიზნეს ასოციაციებსა და შუამავლებთან ვებგვერდზე გამოქვეყნებული მეთოდური სახელმძღვანელო მითითებებისა და პროცედურული სახელმძღვანელოების შემუშავების მიზნით.

#### **D. POA 4: დროული დეკლარირება**

დეკლარირება რჩება ძირითად საშუალებად, რომლითაც დგინდება გადამხდელთა საგადასახადო ვალდებულება და გადახდის ვადები. თუმცა, როგორც ეს POA 3-ში იყო აღნიშნული, არსებობს დეკლარაციების შევსებისა და წარდგენის პროცესების ოპტიმიზაციის ტენდენცია (მაგ. წინასწარ შევსებული საგადასახადო დეკლარაციების გამოყენება) იმ გადამხდელების შემთხვევაში, რომლებიც შედარებით მარტივი ტრანზაქციებს ახორციელებენ. უფრო მეტიც, ზოგიერთი ქვეყანა წყაროსთან დაკავებულ საშემოსავლო გადასახადს განიხილავს, როგორც საბოლოო გადასახადს. ამის შედეგად მცირდება იმ ფიზიკური პირთა რაოდენობა, რომლებსაც საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაციების წარდგენა მოუწევდათ. ასევე შეიმჩნევა ყველა ძირითადი გადასახადის დეკლარაციების ელექტრონული შევსების ტენდენცია. დეკლარაციები შეიძლება წარადგინონ თვითონ გადამხდელებმა ან მათმა შუამავლებმა.

---

<sup>23</sup> USAID „მმართველობა განვითარებისთვის“. დამოკიდებულება საქართველოს საგადასახადო სისტემის მიმართ. 14 ივნისი, 2019.

მნიშვნელოვანია, რომ დეკლარაცია წარადგინოს ყველა გადამხდელმა, ვისაც ეს ევალება, იმ გადამხდელების ჩათვლით, რომელთაც დეკლარაციის წარდგენის ვადებში გადასახადის გადახდა არ შეუძლიათ (ამ ტიპის გადამხდელებთან დაკავშირებით, საგადასახადო ადმინისტრაციის უპირველესი პრიორიტეტია გადამხდელისგან დეკლარაციის მიღება, რათა განისაზღვროს დავალიანების ოდენობა და შემდეგ განხორციელდეს გადასახადის აღსრულება იძულებითი მეთოდით ან სხვა ზომების გამოყენებით, რომლებიც განხილულია POA 5-ში).

POA 4-ის შესაფასებლად გამოიყენება სამი კრიტერიუმი:

- P4-12— დეკლარაციების დროულად წარდგენის კოეფიციენტი.
- P4-13— დეკლარაციების წარდგენის ვალდებულების დამრღვევ პირთა მართვა
- P4-14 — დეკლარირების ელექტრონული საშუალებების გამოყენება.

**P4-12: დროულად წარდგენილი დეკლარაციების წილი**

მოგების, საშემოსავლო, დამატებითი ღირებულების და წყაროსთან დაკავებული გადასახადების დეკლარაციების დროულად წარდგენის კოეფიციენტის შესაფასებლად გამოიყენება შეფასების ერთი კრიტერიუმი, რომელსაც შეფასების ხითი არეალი აქვს. დროულად წარდგენილი დეკლარაციების მაღალი წილი მიანიშნებს გადასახადების გადახდის ეფექტურ მართვაზე, რაც გულისხმობს, მაგალითად, დეკლარაციების წარდგენის მოსახერხებელი საშუალებების არსებობას (განსაკუთრებით დეკლარაციების ელექტრონულად წარდგენის საშუალებებს), გამარტივებულ სადეკლარაციო ბლანკებს და აღსრულების ზომების მიღებას მათ წინააღმდეგ, ვინც დეკლარაციას დროულად არ წარადგენს. შეფასების ქულები ნაჩვენებია ცხრილში #13. მას აგრეთვე თან ახლავს იმ მიზეზების განმარტება, რომელიც საფუძვლად უდევს აღნიშნულ შეფასებას.

**ცხრილი 13. P4-12 შეფასება**

| შეფასების სფეროები  | ქულების გამოყვანის მეთოდი | ქულა 2020 |   |
|---|---------------------------|-----------|---|
| P4-12-1. კანონით განსაზღვრულ დროში წარდგენილი მოგების გადასახადის დეკლარაციების პროცენტული წილი დარეგისტრირებული გადამხდელებისგან მოსალოდნელი დეკლარაციების მთლიან რაოდენობაში. | M2                        | D         | C |

|   |  |   |  |
|---|--|---|--|
| 4-12-2. კანონით განსაზღვრულ დროში წარდგენილი საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციების პროცენტული წილი დარეგისტრირებული გადამხდელებისგან მოსალოდნელი დეკლარაციების მთლიან რაოდენობაში.                              |  | C |  |
| P4-12-3. კანონით განსაზღვრულ დროში წარდგენილი დღგ-ს დეკლარაციების პროცენტული წილი დღგ-ს გადამხდელად დარეგისტრირებული გადამხდელებისგან მოსალოდნელი დეკლარაციების მთლიან რაოდენობაში.                             |  | B |  |
| P4-12-4. კანონით განსაზღვრულ დროში წარდგენილი აქციზის გადასახადის დეკლარაციების პროცენტული წილი აქციზის გადამხდელად დარეგისტრირებული ადგილობრივი გადამხდელებისგან მოსალოდნელი დეკლარაციების მთლიან რაოდენობაში. |  | C |  |
| P4-12-5. კანონით განსაზღვრულ დროში წარდგენილი საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციების პროცენტული წილი დარეგისტრირებული დამსაქმებლებისგან მოსალოდნელი დეკლარაციების მთლიან რაოდენობაში.                            |  | C |  |

**დადგენილ ვადებში დეკლარირების მაჩვენებელი დაბალია ყველა ძირითადი გადასახადისათვის, დღგ-ს გარდა.** დროული დეკლარირების მაჩვენებლები მოცემულია მე-3 დანართის #4 –#10 ცხრილებში: (i) განაწილებული მოგების გადასახადი<sup>24</sup> - 68.2 %, (ii) საშემოსავლო<sup>25</sup> - 67.2 %, (iii) დღგ - 91.0 %, (v) შიდა აქციზი - 69.9 % და (v) წყაროსთან დაკავებული საშემოსავლო გადასახადი - 58.7 პროცენტი. ამ ანგარიშში ინფორმაცია მოგების წლიური გადასახადის შესახებ მოწოდებულია განაწილებული მოგების დაბეგვრის რეჟიმის მიხედვით გადასახადის გადამხდელთა მიერ წარმოდგენილი დეკლარაციების საფუძველზე, ვინაიდან ეს ითვალისწინებს მოგების წლიური გადასახადით მიღებული შემოსავლების ყველაზე დიდ მოცულობას

<sup>24</sup> საქართველოში არსებობს კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის ორი ფორმა. გადასახადის გადამხდელთა შედარებით მცირე რაოდენობისთვის ჯერ კიდევ არსებობს ტრადიციული წლიური მოგების გადასახადი (CIT). ეს გადასახადი ეტაპობრივად ჩანაცვლდება განაწილებული მოგების გადასახადით (DPCT) (ამ მოდელს ხშირად ესტონეთის მოდელს უწოდებენ). განაწილებული მოგების გადასახადი გადამხდელთა უმეტესობისთვის შემოდებულ იქნა 2017 წელს. ამ გადასახადით იბეგრება განაწილებული მოგება, როგორცაა დივიდენდები და კორპორაციის გარეთ გატანილი სხვა ასიგნებები. კორპორატიული მოგების გადასახადის (CIT) დეკლარირება ხდება ყოველწლიურად, ხოლო განაწილებული მოგების გადასახადის (DPCT) დეკლარირება - ყოველთვიურად.

<sup>25</sup> საქართველოში არსებობს ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის (PIT) ორი ფორმა (წყაროსთან დაკავებული საშემოსავლოს გამოკლებით): ტრადიციული საშემოსავლო გადასახადი, რომლის დეკლარირება ხდება ყოველწლიურად და 0.5 მილიონ ლარზე ნაკლები შემოსავლის მქონე მცირე ბიზნესებისთვის დადგენილი საშემოსავლო გადასახადი, რომელიც მთლიანი ბრუნვის 1%-ს შეადგენს.

და დიდ ნაწილს.<sup>26</sup> ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადისთვის გამოიყენება ტრადიციული საშემოსავლო გადასახადის დეკლარირების მონაცემები (იხ. დანართი III, ცხრილი #5), რადგან ამ წყაროდან მიღებული შემოსავალი გაცილებით მეტია, ვიდრე მცირე ბიზნესის ბრუნვის გადასახადიდან მიღებული შემოსავალი.<sup>27</sup>

**დროული დეკლარირების დაბალი მაჩვენებლები იძულებითი აღსრულების ღონისძიებების არარსებობაზე მეტყველებს.** ამას ემატება ყოფილი საგადასახადო რეესტრის სუსტი მხარეები (შეიცვალა 2020 წლის დასაწყისში), რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდნენ გადასახადის გადამხდელთა მონაცემთა ბაზის სისწორეზე. ამასთან ერთად, იმ პერიოდში არ არსებობდა დეკლარაციების ჩაბარების ვადების შეხსენების აქტიური მექანიზმი, რაც მხოლოდ ახლახან, 2020 წლის მაისში გამოსწორდა. მსხვილი გადამხდელების მიერ დროული დეკლარირების მაჩვენებელი უფრო მაღალია, ყველა სხვა კატეგორიის გადამხდელებთან შედარებით - იხ. დანართში III, ცხრილები #4, #6 და #9, სადაც მსხვილი გადამხდელების მიერ განაწილებული მოგების, დღგ-ს და ადგილობრივი აქციზის დროული დეკლარირების მაჩვენებლები შეადგენს 89.6 პროცენტს ან უფრო მაღალია.

**P4-13: დეკლარაციების წარდგენის ვალდებულების დამრღვევ პირთა მართვა**

ეს კრიტერიუმი ზომავს თუ როგორ ხდება იმ გადამხდელთა მართვა, რომლებიც დეკლარირების ვალდებულებას არ ასრულებენ. შეფასების ქულები ნაჩვენებია ცხრილში #14 მას აგრეთვე თან ახლავს იმ მიზეზების განმარტება, რომელიც საფუძვლად უდევს აღნიშნულ შეფასებას.

**ცხრილი 14. P4-13 შეფასება**

| შეფასების სფერო  | ქულების გამოყვანის მეთოდი | ქულა 2020 |
|--|---------------------------|-----------|
| P4-13. დეკლარაციების წარდგენის ვალდებულების დამრღვევ პირთა მიმართ მიღებული ზომები. | M1                        | D         |

<sup>26</sup> საქართველოს შემოსავლების სამსახურის სტატისტიკის მიხედვით, 2019 წელს, მოგების გადასახადით მიღებულმა მთლიანმა შემოსავალმა შეადგინა 866.3 მილიონი ლარი, ხოლო განაწილებული მოგების გადასახადით მიღებულმა შემოსავალმა - 546.5 მილიონი ლარი.

<sup>27</sup> საქართველოს შემოსავლების სამსახურის სტატისტიკის მიხედვით, 2019 წელს, ტრადიციული საშემოსავლო გადასახადით მიღებულმა მთლიანმა შემოსავალმა შეადგინა 77 მილიონი ლარი, ხოლო მცირე ბიზნესის გადასახადით მიღებულმა შემოსავალმა - 14 მილიონი ლარი.

ამჟამად შემოსავლების სამსახურს არ აქვს ადმინისტრაციული პროცედურები დეკლარირების ვალდებულების დამრღვევ პირთა მიმართ. დეკლარირების ვადის დადგომამდე შემოსავლების სამსახური გადასახადების გადამხდელებს მოკლე ტექსტური შეტყობინებით (SMS) შეხსენებას უზღავნის და ტელეფონით ურეკავს, მაგრამ ამის შემდეგ სააღსრულებო მოქმედებებს აღარ ახორციელებს. 2019 წლის ივლისში მინისტრმა ორი განკარგულება გამოსცა, რაც დეკლარირების ვალდებულების დამრღვევი პირების მიმართ სააღსრულებო ზომების განხორციელების იურიდიულ საფუძველს წარმოადგენს. ამის მიუხედავად, შემოსავლების სამსახურს ჯერჯერობით არ დაუწერავს დეკლარაციების მოთხოვნის პროცესი, ჯარიმების ავტომატური დარიცხვის ან გადასახადის სავარაუდო შეფასების პროცესი. ანალიტიკის დეპარტამენტის მიერ მუშავდება პროგრამული აპლიკაცია, რომელიც ავტომატურად გადააგზავნის დეკლარირების მოვალეობის პოტენციური შემთხვევებს შესაბამის განყოფილებაში და შეაფასებს ჯარიმების თანხებს. შემოსავლების სამსახურის სათაო ოფისის წარმომადგენლებმა გამოთქვეს რწმენა, რომ ადმინისტრაციული პოლიტიკა და პროცედურები, მათი შესაბამისი ვადებით, 2021 წლის იანვრამდე დაინერგება. გადასახადის გადამხდელთა ახალი რეესტრი დაეხმარება შემოსავლების სამსახურს დეკლარირების ვალდებულების პოტენციური დამრღვევების იდენტიფიცირებაში.

**P4-14: დეკლარირების ელექტრონული საშუალებების გამოყენება**

ეს კრიტერიუმი ზომავს ყველა ძირითადი გადასახადის დეკლარაციების ელექტრონულად წარდგენის ხარისხს. შეფასების ქულები ნაჩვენებია ცხრილში #15. მას აგრეთვე თან ახლავს იმ მიზეზების განმარტება, რომელიც საფუძვლად უდევს აღნიშნულ შეფასებას.

**ცხრილი 15. P4-14 შეფასება**

| შეფასების სფერო   | ქულების გამოყვანის მეთოდი | ქულა 2020 |
|---|---------------------------|-----------|
| P4-14. საგადასახადო დეკლარაციების ელექტრონულად წარდგენის მაჩვენებელი. | M1                        | A         |

ყველა ძირითად გადასახადზე მიღებული დეკლარაციების 100 პროცენტი ელექტრონულადაა წარდგენილი — იხ. დანართი III, ცხრილი #11. შემოსავლების სამსახური ელექტრონულ დეკლარირებას მთელი რიგი საშუალებებით უწყობს ხელს. ის გადასახადის გადამხდელებს მრავალ შესაძლებლობებს და დახმარებას სთავაზობს,

რომ სტიმული მისცეს მათ გადამხდელთა პორტალით ისარგებლონ.

### **E. POA 5: გადასახადების დროული გადახდა**

გადამხდელებს გადასახადების დროულად გადახდა ევალებათ. საგადასახადო კანონმდებლობა და ადმინისტრაციული პროცედურები კონკრეტულად მიუთითებენ გადახდის ვალდებულებაზე, გადახდის ვადების ჩათვლით (დათქმული დროის ვადები). ისინი აგრეთვე ადგენენ თუ ვის ევალება გადახდა და უთითებენ გადახდის სხვადასხვა მეთოდებს. იმის და მიხედვით, თუ რა სახის სისტემები გამოიყენება, ხდება საგადასახადო ვალდებულების გამოთვლა გადამხდელის ან ადმინისტრაციის მიერ. თუ გადამხდელი მითითებული დროის ვადებში არ გადაიხდის გადასახადს, მას დაეკისრება პროცენტი და სანქცია-საურავები და ზოგიერთი გადამხდელის შემთხვევაში, განხორციელდება ვალის ამოღების იურიდიული ზომები. საგადასახადო ადმინისტრაციის მიზანი უნდა იყოს ნებაყოფლობითი და დროული გადახდების მაღალი მაჩვენებლის მიღწევა და საგადასახადო დავალიანებების შემთხვევების შემცირება.

POA 5-ის შესაფასებლად გამოიყენება შეფასების ოთხი კრიტერიუმი:

- P5-15— გადასახადების გადახდის ელექტრონული მეთოდის გამოყენება.
- P5-16— გადასახადების ამოღების ქმედითი სისტემის გამოყენება.
- P5-17— დროული გადახდა.
- P5-18— საგადასახადო დავალიანებების ოდენობა და დინამიკა.

#### **P5-15: გადახდის ელექტრონული მეთოდების გამოყენება**

ეს კრიტერიუმი ამოწმებს თუ რამდენად ხდება ელექტრონული საშუალებით ძირითადი გადასახადების გადახდა გადამხდელთა მიერ, ბანკის თანამშრომლების ან საგადასახადო ადმინისტრაციის უშუალო ჩარევის გარეშე, მათ შორის, საკრედიტო ბარათებით, სადებეტო ბარათებით და გადახდის აპარატებით სახსრების ელექტრონული გადარიცხვით (როდესაც ხდება ინტერნეტის საშუალებით ფულის ელექტრონული გადარიცხვა გადამხდელის საბანკო ანგარიშიდან მთავრობის ანგარიშზე). შეფასების ქულები ნაჩვენებია ცხრილში #16. მას აგრეთვე თან ახლავს იმ მიზეზების განმარტება, რომელიც საფუძვლად უდევს აღნიშნულ შეფასებას.

**ცხრილი 16. P5-15 შეფასება**

| შეფასების სფერო   | ქულების გამოყვანის მეთოდი | ქულა 2020 |
|---|---------------------------|-----------|
| P5-15. ძირითადი გადასახადების ელექტრონულად გადახდის დონე. | M1                        | B         |

საქართველოს კანონმდებლობა გადასახადების ელექტრონულად გადახდის შესაძლებლობას ითვალისწინებს. გადასახადის გადამხდელებს ელექტრონული გადახდების განხორციელება შეუძლიათ მრავალფეროვანი არხების საშუალებით, ელექტრონული გადარიცხვით, გადახდის აპარატებით<sup>28</sup>, ინტერნეტ ბანკითა და გადასახადის გადამხდელთა პორტალით. გადასახადის გადამხდელებს ასევე შეუძლიათ პირადად გადაიხადონ თანხა ბანკში, საიდანაც თანხები ელექტრონულად გადაირიცხება შემოსავლების სამსახურში. საგადასახადო ადმინისტრაციის დიაგნოსტიკური შეფასების მიზნებისათვის, „ელექტრონული გადახდის“ განმარტება შეიცვალა 2019 წლის სახელმძღვანელოში. ახლა, იმისთვის, რომ დაგახდა ელექტრონულად ჩაითვალოს, *თანხა უნდა გადაირიცხოს ერთი საბანკო ანგარიშიდან მეორეზე ბანკის თანამშრომლების ან საგადასახადო ადმინისტრაციის უშუალო ჩარევის გარეშე*. ამის გამო, ის გადახდები, თუ გადამხდელი პირადად იხდის თანხას ბანკში და შემდეგ ბანკი მას შემოსავლების სამსახურის ანგარიშზე რიცხავს, ასეთი გადახდა, საგადასახადო ადმინისტრაციის დიაგნოსტიკური შეფასების მიზნებისათვის, ელექტრონულად აღარ ითვლება.

ელექტრონულად გადახდილი თანხები საქართველოს შემოსავლების სამსახურის IT სისტემებში ცალკე კატეგორიად გამოყოფილი არ არის. შემოსავლების სამსახურმა საქართველოში მოქმედ ბანკებთან იმუშავა და დაადგინა, რომ 2019 წელს გადახდილი თანხების მთლიანი რაოდენობიდან 62 პროცენტი გადახდილი იყო ბანკების დისტანციური საბანკო მომსახურების გამოყენებით და „საგადასახადო ადმინისტრაციის დიაგნოსტიკური შეფასების“ მიხედვით ამ ტერმინის ახალ დეფინიციას აკმაყოფილებს. როგორც წესი, მსხვილი ბიზნესები მომხმარებელზე ორიენტირებული დისტანციური საბანკო მომსახურებისგან განსხვავებულ ელექტრონულ მომსახურებებს იყენებენ. შემოსავლების სამსახურმა აგრეთვე გამოკითხა 97 ყველაზე მსხვილი გადამხდელი, რომლებზეც 201 მსხვილი გადამხდელის მიერ გადახდილი საგადასახადო თანხების 80-მდე მოდის. აღმოჩნდა,

<sup>28</sup> „გადახდის აპარატი“ კომუნალური გადასახადებისთვის განკუთვნილი პატარა მოწყობილობაა, რომელიც საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული.

რომ ყველა ეს გადამხდელი გადასახადებს ელექტრონულად იხდის. იმის გათვალისწინებით, რომ თანხებს ელექტრონულად იხდის დარჩენილი მსხვილი გადამხდელების სულ მცირე 62 პროცენტზე, შეიძლება ითქვას, რომ მსხვილი გადამხდელების სეგმენტში ეს მაჩვენებელი 92 პროცენტს აღემატება.

**P5-16: გადასახადების მობილიზაციის ქმედითი სისტემის გამოყენება**

ეს კრიტერიუმი აფასებს აღიარებული ვალდებულების ამოღების ქმედითი სისტემების გამოყენების ხარისხის შეფასებას—განსაკუთრებით, ისეთ სფეროებში, როგორცაა წყაროსთან დაქვითვა და წინასწარი გადახდის სისტემები. შეფასების ქულები ნაჩვენებია ცხრილში #17. მას აგრეთვე თან ახლავს იმ მიზეზების განმარტება, რომელიც საფუძვლად უდევს აღნიშნულ შეფასებას.

**ცხრილი 17. P5-16 შეფასება**

| შეფასების სფერო   | ქულების გამოყვანის მეთოდი | ქულა 2020 |
|---|---------------------------|-----------|
| P5-16. წყაროსთან დაქვითვისა და წინასწარი გადახდის გამოყენების მაჩვენებელი | M1                        | B         |

**საქართველოს შემოსავლების სამსახური წყაროსთან დაქვითვასა და წინასწარ გადახდას იყენებს.** საშემოსავლო გადასახადის დაკავება ხდება დასაქმებულ პირთა ხელფასებიდან და საქართველოს რეზიდენტების მიერ მიღებული დივიდენდებიდან. კანონი არ მოითხოვს საშემოსავლო გადასახადის დაკავებას კომერციული ბანკების მიერ დეპოზიტებზე გაცემული პროცენტიდან და არ ავალდებულებს ფინანსურ ინსტიტუტებს წარმოადგინონ ასეთი ინფორმაცია. 2017 წლიდან, მოგების წლიურ გადასახადს იხდის გადამხდელთა ორი ჯგუფი: (i) დაახლოებით 7,600 გადამხდელი არის *მოგების ტრადიციული გადასახადის გადამხდელი*; და (ii) დაახლოებით 60,000 გადამხდელი არის განაწილებული მოგების გადასახადის გადამხდელი. ეს უკანასკნელი ჯგუფი დეკლარაციებს ყოველთვიურად წარადგენს და მოგების გადასახადს იხდის კომპანიის გარეთ გატანილი თანხებიდან, რომელიც აქციონერებს და დირექტორებს გაუნაწილდა. პირველი ჯგუფი წლიურ დეკლარაციებს წარადგენს და წელიწადში ოთხჯერ თანხას წინსწრებით იხდის.

**P5-17: დროული გადახდა**

ეს კრიტერიუმი აფასებს გადასახადების დროული გადახდის დონეს (როგორც რაოდენობრივად, ასევე მოცულობით). „საგადასახადო ადმინისტრაციის



დიაგნოსტიკური შეფასების“ მეთოდოლოგიის მიხედვით, ზოგადად ძირითადი გადასახადების დროული გადახდის მიახლოებით მაჩვენებლად მიჩნეულია დღგ-ს დროული გადახდის მაჩვენებელი. დროული გადახდის მაღალი პროცენტი კანონთან შესაბამისობის კარგ მართვაზე მიუთითებს. ამაში შედის, მაგალითად, გადახდის მოსახერხებელი მეთოდების დანერგვა და ვადაგადაცილებული თანხების ამოსაღებად ქმედითი ზომების მიღება. შეფასების ქულები ნაჩვენებია ცხრილში #18. მას აგრეთვე თან ახლავს იმ მიზეზების განმარტება, რომელიც საფუძვლად უდევს აღნიშნულ შეფასებას.

**ცხრილი 18. P5-17 შეფასება**

| შეფასების სფერო   | ქულების გამოყვანის მეთოდი | ქულა 2020 |   |
|---|---------------------------|-----------|---|
| P5-17-1. ნორმატიული ვადებით განსაზღვრულ დროში გადახდილი დღგ-ს პროცენტული მაჩვენებელი, მთლიან გადასახდელ რაოდენობასთან შეფარდებით. | M1                        | B         | B |
| P5-17-2. ნორმატიული ვადებით განსაზღვრულ დროში გადახდილი მოცულობა, მთლიანად გადასახდელი დღგ-ს მოცულობასთან შეფარდებით.             |                           | B         |   |

**ნორმატიული ვადებით განსაზღვრულ დროში გადახდილი გადასახადების მაჩვენებელი მაღალია.** გადახდილი დღგ-ს მთლიანი რაოდენობის 95.5 პროცენტი და დღგ-ს მთლიანი თანხის 96.1 პროცენტი დროულად არის გადახდილი. ამის მიუხედავად, მსხვილ გადამხდელთა მიერ გადახდის მაჩვენებელი კარგი არ არის, რადგან 201 მსხვილი გადამხდელიდან 13 ვერ ახერხებს დროულად გადაიხადოს დღგ, რომლის ჯამური თანხა 41 მილიონ ლარს შეადგენს. საქართველოში გადამხდელთა მიერ გადახდილი თანხები ერთიან სახაზინო ანგარიშზე აღირიცხება. ამ მიდგომის მიხედვით გადახდილი თანხები სხვადასხვა გადასახადებს შორის წინასწარ გაწერილი წესებით ნაწილდება. იხ. დანართი III, ცხრილი #12.

**P5-18: საგადასახადო დავალიანების მოცულობა და დინამიკა**

ეს კრიტერიუმი იკვლევს დაგროვილი საგადასახადო დავალიანების მოცულობას. ადმინისტრაციის საგადასახადო დავალიანების ისტორიული მოცულობის შესაფასებლად ორი განზომილება გამოიყენება: (1) წლის ბოლოს საგადასახადო დავალიანების თანაფარდობა წლის განმავლობაში მობილიზებულ გადასახადებთან; და (2) წლის ბოლოს უფრო დახვეწილი კოეფიციენტი - „მოსაზიდი საგადასახადო

დავალიანების“ შეფარდება წლის მანძილზე მობილიზებულ თანხებთან.<sup>29</sup> მესამე განზომილების მოცულობა განიხილავს ერთ წელს გადაცილებული გადაუხდელო საგადასახადო ვალდებულების დონეს (მაღალი პროცენტი შეიძლება მიუთითებდეს გადასახადის მობილიზების გაუმართავ პრაქტიკაზე თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ რაც უფრო ძველდება დავალიანება, საგადასახადო დავალიანების აღდგენის კურსი ტენდენციურად იკლებს.). შეფასების ქულები ნაჩვენებია ცხრილში #19 მას აგრეთვე თან ახლავს იმ მიზეზების განმარტება, რომელიც საფუძვლად უდევს აღნიშნულ შეფასებას.

**ცხრილი 19. P5-18 შეფასება**

| შეფასების სფეროები  | ქულების გამოყენების მეთოდი | ქულა 2020 |   |
|---|----------------------------|-----------|---|
| P5-18-1. ფისკალური წლის ბოლოს ძირითად გადასახადებში არსებული მთლიანი დავალიანების მოცულობის შეფარდება ფისკალური წლის მანძილზე ძირითად გადასახადებში მობილიზებულ მთლიან საგადასახადო შემოსავალთან, გამოხატული პროცენტებში. | M2                         | C         | C |
| P5-18-2. ფისკალური წლის ბოლოს ძირითად გადასახადებში დაგროვილი ამოღებადი დავალიანებების მოცულობა, როგორც ფისკალური წლის მანძილზე ძირითად გადასახადებში მობილიზებული მთლიანი საგადასახადო შემოსავლების პროცენტი.            |                            | B         |   |
| P5-18-3. ძირითად გადასახადებში 12 თვეზე უფრო ხანდაზმული დავალიანების მოცულობა, როგორც ძირითად გადასახადში დაგროვებული ყველა დავალიანების მთლიანი მოცულობის პროცენტი.  |                            | D         |   |

**საგადასახადო დავალიანების ოდენობა ძალიან მაღალია და ძირითადად ძველი საგადასახადო დავალიანებისგან შედგება.** იმის მიუხედავად, რომ გასულ წელს საქართველოს შემოსავლების სამსახურმა უიმედო დავალიანების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოწერა, 2019 წლის ბოლოს დარჩენილი დავალიანება იმავე წელს მობილიზებული საგადასახადო შემოსავლების 38 პროცენტს აღემატებოდა. იმის

<sup>29</sup> ამ კოეფიციენტის მიზნებიდან გამომდინარე, 'მოსაზიდი' საგადასახადო დავალიანებები განისაზღვრება, როგორც მთლიანი შიდა საგადასახადო დავალიანება, რომელშიც არ შედის (a) თანხის რაოდენობა, რომელიც ოფიციალურად იქნა გასაჩივრებული გადამხდელის მიერ და რასთან დაკავშირებითაც შეწყდა თანხის მობილიზებასთან დაკავშირებული ღონისძიებები განაჩენის გამოტანამდე; (b) თანხების რაოდენობა, რომელთა ამოღებაც კანონიერი გზით შეუძლებელია (მაგ. გაკოტრების შედეგად დაკარგული ფული); და (c) სხვაგვარი დავალიანებები, რომელთა მობილიზებაც შეუძლებელია (მაგ. მევალეს არ გააჩნია ფულადი სახსრები ან სხვა რაიმე ქონება).

მიუხედავად, რომ ამოღებადი დავალიანების მოცულობა შეგროვებული გადასახადის მოცულობის 8 პროცენტს შეადგენს, რაც საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით დაბალია, მას ზრდის ტენდენცია აქვს.

**დაგროვილი საგადასახადო დავალიანების 58.7 პროცენტს დარიცხული საურავები და ჯარიმები შეადგენენ, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს შემოსავლების სამსახურს ძველი დავალიანების მოხსნის მეტი შესაძლებლობა აქვს. 2017 წელს მიღებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა მეტი საშუალება მისცა საქართველოს შემოსავლების სამსახურს ჩამოეწერა, თუნდაც დროებით, უიმედო დავალიანება. დღეისათვის, ამ ცვლილების შედეგად შემოსავლების სამსახურმა 2019-20 წლებში ორი მილიარდი ლარის დავალიანება ჩამოწერა. დავალიანების ჩამოწერისა და „გადახდისა და დავალიანების მართვის 2019-20 წლის სტრატეგიის“ წარმატებული განხორციელების გზით, შემოსავლების სამსახურის საგადასახადო დავალიანების მოცულობისა და ამოღებას დაქვემდებარებული თანხების თანაფარდობა უფრო მიუახლოვდა ერთმანეთს. იხ. დანართი III, ცხრილი #13.**

#### **F. POA 6: დეკლარაციებში მითითებული ინფორმაციის სიზუსტე**

საგადასახადო სისტემა მნიშვნელოვან წილად დამოკიდებულია გადამხდელების მიერ დეკლარაციებში სრულყოფილი და ზუსტი საანგარიშო ინფორმაციის ასახვაზე. ამიტომ, საგადასახადო ადმინისტრაციებმა რეგულარულად უნდა ადევნონ თვალი უზუსტო ანგარიშების გამო საგადასახადო შემოსავლების დაკარგვის შემთხვევებს, განსაკუთრებით მეწარმე გადამხდელებთან მიმართებაში, და გაატარონ რიგი ღონისძიებები გადახდის უზრუნველსაყოფად. ამგვარი ღონისძიებები შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს: გადამოწმების ღონისძიებები (მაგ. საგადასახადო აუდიტები, გამოძიებები და შემოსავლის შედარება მესამე მხარისაგან მიღებულ ინფორმაციასთან) და აქტიური ინიციატივები (მაგ. გადამხდელთა დახმარება და განათლება, როგორც ეს მოცემულია POA 3-ის ნაწილში და თანამშრომლობაზე აგებული მიდგომების გამოყენება კანონის მოთხოვნების შესრულებს უზრუნველსაყოფად).

თუ საგადასახადო აუდიტის პროგრამები კარგად იქნება შემუშავებული და მართული, ისინი უფრო მეტი დადებით გავლენას მოახდენენ შედეგებზე, ვიდრე უბრალოდ დამატებითი შემოსავლის მობილიზება საგადასახადო აუდიტების მიერ აღმოჩენილი შეუსაბამობების ხარჯზე. სერიოზული დამნაშავეების გამოვლენა და დასჯა ემსახურება ყველა გადამხდელის გაფრთხილებას თუ რა შედეგი მოსდევს უზუსტო ანგარიშებს.

აგრეთვე თანამედროვე საგადასახადო ადმინისტრაციებში მიღებულია გადამხდელის მიერ გაცხადებული ფულადი თანხების დიდი მოცულობის ავტომატიზებული ჯვარედინი შემოწმება მესამე მხარის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციასთან. იმის გამო, რომ აუდიტის ტრადიციული მეთოდები დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული და ამავე დროს შედარებით ნაკლები რაოდენობის აუდიტების ჩატარების საშუალებას იძლევა, საგადასახადო ადმინისტრაციები სულ უფრო მეტად იყენებენ ტექნოლოგიებს დიდი მოცულობის მონაცემთა გადასინჯვის, შეუსაბამობების აღმოჩენის და ზუსტი ანგარიშგების წახალისების მიზნით.

ამასთან ერთად, უზუსტო ანგარიშების პრობლემის დაძლევაში მნიშვნელოვან როლს პროაქტიული ინიციატივებიც ასრულებენ. მათ რიცხვში შედის გადამხდელებთან და შუამავლებთან თანამშრომლობა ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად (განსაკუთრებით მსხვილ გადამხდელებთან მიმართებაში) იმისათვის, რომ საგადასახადო პრობლემები წინასწარ, დეკლარაციების წარდგენამდე, ან ტრანსაქციების განხორციელებამდე მოგვარდეს და კომპანიების საგადასახადო პოზიციები განისაზღვროს. აქ შეიძლება მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს სავალდებულო საგადასახადო გადაწყვეტილებების სისტემამ.

დაბოლოს, გადამხდელთა მიერ უზუსტო ანგარიშების ზოგადი მასშტაბის მონიტორინგისთვის მრავალნაირი მიდგომები გამოიყენება, რომელთა შორისაა: გადახდილი გადასახადის განსხვავებების გამოსათვლელი მოდელი, როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი გადასახადებისათვის; მოწინავე ანალიზი დიდი რაოდენობის მონაცემთა კომპლექტის გამოყენებით (მაგ. პროგნოზირების მოდელები, კლასტერული ტექნიკის სახეობები და ქულების მინიჭების მოდელები), რათა დავადგინოთ გადამხდელთა მიერ მათი შემოსავლის თაობაზე ამომწურავი და ზუსტი ინფორმაციის მოწოდების ალბათობა; და გადასახადების გადამხდელთა აზრის გამოკითხვა, შემოსავლის ზუსტ გაანგარიშებასთან დაკავშირებით მათი დამოკიდებულების გასაგებად.

ამ ფონზე, POA 6-ის შესაფასებლად გამოყენებულია შეფასების ოთხი კრიტერიუმი:

- P6-19 — დეკლარაციებში უზუსტობების გამოვლენისა და შემცირების მიზნით მონაცემების გადამოწმების ღონისძიებების მოცულობა.
- P6-20 — მონაცემთა შედარების მასშტაბური სისტემების გამოყენება არაზუსტი ანგარიშგების გამოსავლენად.
- P6-21 — სწორი ინფორმაციის წარმოდგენის წასახალისებლად განხორციელებული ინიციატივები
- P6-22 — საგადასახადო შემოსავლების დანაკარგების მონიტორინგი არაზუსტი ინფორმაციის დეკლარირების ღონის დადგენის მიზნით.

**P6-19: დეკლარაციებში უზუსტობების გამოვლენისა და შემცირების მიზნით მონაცემების გადამოწმების ღონისძიებების მოცულობა.**

ამ კრიტერიუმისათვის, ოთხი განზომილების შედეგები მიუთითებს საგადასახადო ადმინისტრაციაში არსებული გადამოწმების პროგრამის ხასიათსა და მოცულობაზე. შეფასების ქულები ნაჩვენებია ცხრილში #20. მას აგრეთვე თან ახლავს იმ მიზეზების განმარტება, რომელიც საფუძვლად უდევს აღნიშნულ შეფასებას.

**ცხრილი 20. P6-19 შეფასება**

| შეფასების სფეროები  | ქულების გამოყვანის მეთოდი | ქულა 2020 |
|---|---------------------------|-----------|
| P6-19-1. უზუსტო ანგარიშგების გამოსავლენად და აღმოსავლურვლად დანერგილი საგადასახადო აუდიტის პროგრამის ხასიათი.                         | M1                        | B         |
| P6-19-2. რამდენად სისტემატიზებულია აუდიტის პროგრამა ერთიანი პრაქტიკის გარშემო.  |                           | C         |
| P6-19-3. რა დონეზე ხორციელდება გადასახადის გადამხდელთა აუდიტის ხარისხის მონიტორინგი.  |                           | A         |
| P6-19-4. რამდენად ეფექტურად ახორციელებს საგადასახადო ადმინისტრაცია გადასახადის გადამხდელთა აუდიტის ფუნქციის ეფექტიანობის მონიტორინგს. |                           | C         |

საქართველოს შემოსავლების სამსახურის აუდიტი გადასახადების გადამხდელთა სხვადასხვა სეგმენტებს მოიცავს და აუდიტის სხვადასხვა ტიპებსა და მეთოდოლოგიებს იყენებს. აუდიტის დეპარტამენტს ჰყავს 336 თანამშრომელი, რომლებიც ცხრა სტანდარტულ აუდიტორულ სამმართველოში არიან განაწილებულნი და აგრეთვე მსხვილ გადამხდელთა სამმართველო, ხარისხის კონტროლის სამმართველო, ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების სამმართველო, კონტროლირებადი ოპერაციების („ტრანსფერპრაიზინგის“) სამმართველო და მონიტორინგის სამმართველო. აუდიტის დეპარტამენტის თითოეულ სამმართველოს ჰყავს აუდიტორთა ჯგუფები, რომლებიც კონკრეტულ დარგზე არიან სპეციალიზებული. აუდიტის წლიური გეგმის ამჟამინდელი ვერსია დამტკიცდა 2020 წლის 30 ივლისს. იგი ეფუძნება აუდიტის დეპარტამენტის არსებულ რესურსებს და ისტორიულ ინფორმაციას ჩატარებული აუდიტების რაოდენობის შესახებ, აუდიტის

ტიპების მიხედვით. გეგმა არის ცენტრალიზებული და განსაზღვრავს აუდიტების რაოდენობას შემოწმების ტიპების, გადასახადის გადამხდელთა სეგმენტების (დიდი, საშუალო ან მცირე გადამხდელები), რეგიონების და თვეების მიხედვით.

**საქმეების შერჩევის სისტემები გამოიყენება რისკის ცენტრალურად იდენტიფიცირებისა და პრიორიტეტულობის დასადგენად.** ამ პროცესის შესაბამისად, „კანონთან შესაბამისობის გაუმჯობესების გეგმაში“ (იხ. P-2-4) იდენტიფიცირებულია რისკების ოთხი სფერო. აუდიტის დეპარტამენტს გადაეცემა ყველაზე მაღალი რისკის მქონე გადასახადის გადამხდელთა სია. სიაში ასევე მოცემულია ზოგადი ინფორმაცია თითოეული საქმის შესახებ, მათ შორის: სირთულის კოეფიციენტი, ეკონომიკური სექტორი, ბრუნვა და დაქვითვები. რისკის წესების კონფიდენციალურობის დასაცავად, აუდიტის დეპარტამენტის სამსახურების უფროსები და აუდიტორები არ იღებენ გამოვლენილი რისკების შესახებ.

**საქართველოს შემოსავლების სამსახურის რეგულაციები და მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოები შეიცავენ მითითებებს თუ როგორ უნდა ჩატარდეს გასვლითი აუდიტები.** 2017 წლის დეკემბერში შემოსავლების სამსახურის მიერ გასვლითი აუდიტის შესახებ დამტკიცებულ რეგულაციებში აღწერილია საგადასახადო შემოწმების აქტივობები, მათ შორის: (i) წინასწარი შემოწმების ღონისძიებები; (ii) შეტყობინების გაგზავნა გადასახადის გადამხდელებისთვის; (iii) აუდიტის ანგარიშგება; და (iv) პასუხისმგებლობები დავის გადაწყვეტის პროცესში. 2012 წლის აპრილში დამტკიცებული „აუდიტის სახელმძღვანელო“ შეიცავს აუდიტორებისთვის განკუთვნილ დეტალურ მითითებებს. იგი იძლევა აუდიტის მეთოდოლოგიის, ტექნიკისა და პროცედურების სრულყოფილ მიმოხილვას. იმის მიუხედავად, რომ საქართველოს შემოსავლების სამსახურმა გააანალიზა ზოგიერთი ეკონომიკური დარგი<sup>30</sup>, მას ჯერ კიდევ არ აქვს შემუშავებული აუდიტის სპეციალური სახელმძღვანელოები ან გზამკვლევები ძირითადი ეკონომიკური დარგებისთვის.

**აუდიტის ტრენინგის პროგრამა ფართო თემატიკას შეიცავს.** შემოსავლების სამსახურის აუდიტორებს მიღებული აქვთ მაღალი დონის განათლება, ძირითადად ეკონომიკური დარგში. ყოველწლიური კითხვარი ყოველწლიური ტრენინგის საჭიროებებს განსაზღვრავს. მიმდინარე სასწავლო პროგრამა მოიცავს 14 სხვადასხვა თემას ზოგადი უნარების (მაგ. დროის მენეჯმენტი) და პროფესიული უნარების (მაგალითად, საერთაშორისო დაბეგვრა) გასავითარებლად. საქართველოს

---

<sup>30</sup> როგორც POA 2-ში აღინიშნა, საქართველოს შემოსავლების სამსახურმა გააანალიზა სამშენებლო და სამთო მომპოვებელი სექტორები და აგრეთვე მცირე ბიზნესის სეგმენტი.

შემოსავლების სამსახურს აქვს სტაჟირების პროგრამა, პოტენციური თანამშრომლების მომზადების მიზნით.

**საქართველოს შემოსავლების სამსახურს აქვს აუდიტების ხარისხის მონიტორინგის ყოველწლიური სისტემა.** ხარისხის კონტროლის სისტემა სამი საფეხურისგან შედგება<sup>31</sup>: (i) თვითკონტროლი აუდიტორის მიერ; (ii) კონტროლი სამმართველოს უფროსის მიერ და (iii) 2019 წლიდან შეიქმნა ხარისხის კონტროლის ცალკე სტრუქტურა საგადასახადო მეთოდოლოგიის დეპარტამენტში. ხარისხის კონტროლი ხორციელდება ექვსი სტანდარტის საფუძველზე: საქმის შერჩევა, აუდიტის დაგეგმვა, დოკუმენტირება, კანონმდებლობისა და პოლიტიკის გამოყენება, დროის მართვა და გადამხდელისთვის მომსახურების გაწევა.<sup>32</sup>

**აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა აქტიურად ადევნებს თვალს აუდიტების მიმდინარეობას და შედეგებს, მაგრამ მონიტორინგის მიზნებისათვის გადასახადების გადამხდელთა აზრის გამოკითხვა არ ხორციელდება.** აუდიტის დეპარტამენტის სამსახურების უფროსებს ყოველკვირეული შეხვედრები აქვთ აუდიტის დეპარტამენტის უფროსთან. ამ შეხვედრების დროს ისინი განიხილავენ მიღწეულ პროგრესსა და შედეგებს ანგარიშების საფუძველზე, სხვადასხვა პარამეტრების მიხედვით, როგორცაა: ახლად დაწყებული, მიმდინარე და დასრულებული აუდიტების რაოდენობა და შეფასებული თანხები, როგორც ერთიანად, ყველა აუდიტისთვის, ასევე ცალ-ცალკე, თითოეულ აუდიტორთან მიმართებაში. შედეგები ასევე ყოველთვიურად განიხილება უფრო მაღალი რგოლის ხელმძღვანელობასთან. ამჟამად საქართველოს შემოსავლების ნერგავს საქმეთა მართვის სრულად ავტომატიზებულ, ინტეგრირებულ სისტემას, რომელიც დოკუმენტების მართვას და ინტეგრირებულ ანგარიშგებას ითვალისწინებს. შემოსავლების სამსახური არ აწარმოებს შემოწმებულ გადამხდელთა აზრის გამოკითხვას, აუდიტის თანამშრომელთა კომპეტენციისა და პროფესიონალიზმის შესახებ.

**მონიტორინგის დეპარტამენტი რეგულარულად აანალიზებს აუდიტის შედეგებს.** საგადასახადო შემოწმების ანალიზის ბოლო ანგარიში 2020 წლის აგვისტოთი თარიღდება. მასში იდენტიფიცირებულია როგორც სისტემატური (განმეორებადი)

---

<sup>31</sup> აუდიტის დეპარტამენტის ბრძანება N39391 (22 ოქტომბერი, 2015 წ.) ხარისხის კონტროლის რეგულაციების დამტკიცების შესახებ.

<sup>32</sup> 2020 წლის კვლევის თანახმად, გადასახადის გადამხდელებთან კომუნიკაციის მაჩვენებელი 81%-ს შეადგენს, რაც მოთხოვნილ სტანდარტზე უფრო მაღალია, მაგრამ გაკეთდა რეკომენდაციები კომუნიკაციის უნარების გაუმჯობესების შესახებ.

ხარვეზები აუდიტორების მხრიდან, ასევე საკანონმდებლო ხარვეზები და შემოთავაზებულია მათ მოსაგვარებლად მომართული შესაბამისი ღონისძიებები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო უშედეგო აუდიტებს და აუდიტების საბოლოო შედეგებს გასაჩივრების ეტაპის შემდეგ.

**P6-20: მონაცემთა შედარების მასშტაბური სისტემების გამოყენება არაზუსტი ანგარიშების გამოსავლენად**

ეს კრიტერიუმი ამოწმებს საგადასახადო ადმინისტრაციის მიერ ტექნოლოგიების გამოყენებას, დეკლარაციებში უზუსტო ანგარიშების ხარისხის მონიტორინგისათვის. ერთ-ერთი კრიტერიუმი გვიჩვენებს, თუ რამდენად საგადასახადო ადმინისტრაცია ტექნოლოგიებს იყენებს გადასახადის გადამხდელთა დიდი მოცულობის მონაცემთა გადასინჯვის, მესამე მხარეების ინფორმაციასთან შედარების, შეუსაბამობების აღმოჩენისა და სწორი ანგარიშების წახალისების მიზნით. შეფასების ქულები ნაჩვენებია ცხრილში #21. მას აგრეთვე თან ახლავს იმ მიზეზების განმარტება, რომელიც საფუძვლად უდევს აღნიშნულ შეფასებას.

**ცხრილი 21. P6-20 შეფასება**

| შეფასების სფერო  | ქულების გამოყვანის მეთოდი | ქულა 2020 |
|--|---------------------------|-----------|
| P6-20. მონაცემთა შედარების მასშტაბური სისტემების გამოყენება საგადასახადო დეკლარაციებში მოცემული ინფორმაციის შესამოწმებლად. | M1                        | C         |

შემოსავლების სამსახურს აქვს მონაცემთა შიდა და გარე წყაროების გამოყენებით მონაცემთა გადამოწმების მასშტაბური, ავტომატიზებული სისტემა, მაგრამ ფინანსური ინფორმაციის გამოყენება შეზღუდულია. საქართველოს შემოსავლების სამსახურმა ხელი მოაწერა ურთიერთგაგების მემორანდუმებს რამდენიმე სამთავრობო ორგანოსთან, მათ შორის: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის, განათლების, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, იუსტიციის, შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროებთან მესამე მხარეთა ინფორმაციის მისაღებად. ასევე ხელმისაწვდომია დღგ-ს, საბაჟოს, სხვა იურისდიქციებისა და ონლაინ მოვაჭრეების ინფორმაცია და რუტინულად ხდება მათი ანალიზი. ბანკებიდან ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტული საქმეების შემთხვევებში, რაც ზღუდავს საგადასახადო დეკლარაციების სიზუსტის ყოველმხრივი გადამოწმების ეფექტიანობას.



**P6-21: სწორი ინფორმაციის წარმოდგენის წასახალისებლად განხორციელებული ინიციატივები**

ეს კრიტერიუმი აფასებს ზუსტი ანგარიშების წასახალისებლად თანამშრომლობის საფუძველზე კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფის ღონისძიებების და სხვა აქტიური ინიციატივების ბუნებასა და მოცულობას. შეფასების ქულები ნაჩვენებია ცხრილში #22.

**ცხრილი 22. P6-21 შეფასება**

| შეფასების სფერო  | ქულების გამოყვანის მეთოდი | ქულა 2020 |
|--|---------------------------|-----------|
| P6-21. სწორი ანგარიშების წარმოდგენის სტიმულირების მიზნით განხორციელებული ინიციატივების ბუნება და მოცულობა. | M1                        | B         |

შემოსავლების სამსახურს აქვს საჯარო და კერძო გადაწყვეტილებების სისტემა ყველა ძირითად გადასახადებთან დაკავშირებით. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 461-ე მუხლი საჯარო გადაწყვეტილებების მიღების იურიდიულ საფუძველს წარმოადგენს. გადაწყვეტილებებს გამოსცემს ფინანსთა სამინისტრო და ისინი ქვეყნდება ვებგვერდზე და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში. გადასახადის გადამხდელებს უფლება აქვთ ითხოვონ კერძო გადაწყვეტილება, რომელიც სავალდებულოა შემოსავლების ადმინისტრაციისთვის. კერძო გადაწყვეტილების საფასური 10,000 ლარს შეადგენს. 2019 წელს საქართველოს შემოსავლების სამსახურს გამოცემული აქვს 61 კერძო გადაწყვეტილება.

თანამშრომლობის საფუძველზე კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფის პროგრამები დანერგილი არ არის. თანამშრომლური კანონშესაბამისობის პროგრამა არის ნებაყოფლობითი შეთანხმება საქართველოს შემოსავლების სამსახურსა და გადასახადების გადამხდელს შორის, სამუშაო ურთიერთობების აგების მიზნით. ასეთი შეთანხმებები ამცირებს სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებულ გაურკვევლობას, აყალიბებს „თამაშის წესებს“ და ამცირებს როგორც შემოსავლების სამსახურის, ასევე გადასახადის გადამხდელის ხარჯებს. Privé მომსახურება გადასახადების გადამხდელებს გაფართოებული სერვისით უზრუნველყოფს, მაგრამ არა იმ დონემდე, რომელიც შეიძლება თანამშრომლური კანონშესაბამისობის შეთანხმებად ჩაითვალოს.

**P6-22: საგადასახადო დანაკარგების მონიტორინგი არაზუსტი ინფორმაციის დეკლარირების დონის დადგენის მიზნით**

ეს კრიტერიუმი აფასებს საგადასახადო ადმინისტრაციის მიერ გამოყენებული მეთოდების გამართულობას, დეკლარაციებში უზუსტო ანგარიშების ხარისხის მონიტორინგისათვის. შეფასების ქულები ნაჩვენებია ცხრილში #23. მას აგრეთვე თან ახლავს იმ მიზეზების განმარტება, რომელიც საფუძვლად უდევს აღნიშნულ შეფასებას.

**ცხრილი 23. P6-22 შეფასება**

| შეფასების სფერო  | ქულების გამოყენების მეთოდი | ქულა 2020 |
|--|----------------------------|-----------|
| P6-22. უზუსტო ანგარიშების ხარისხის დასადგენად ადმინისტრაციის მიერ საგადასახადო დანაკარგების ანალიზისთვის გამოყენებული მეთოდ(ებ)ის სიჯანსაღე. | M1                         | C         |

შემოსავლების სამსახური ყოველწლიურად აკონტროლებს დღგ-ს შესახებ არაზუსტი ანგარიშების მოცულობას და გამოკითხვები ჩაატარა წყაროსთან დაკავებული საშემოსავლო გადასახადის და სიგარეტის აქციზის შესახებ. დღგ-სა და აქციზის შემთხვევაში, საგადასახადო შემოსავლების დანაკარგების კვლევა ხორციელდება RA-GAP მეთოდოლოგიის გამოყენებით.<sup>33</sup> 2018 წელს წყაროსთან დაკავებული საშემოსავლო გადასახადის შესახებ ჩატარებულმა გამოკითხვამ საგადასახადო შემოსავლების მნიშვნელოვანი დანაკარგები გამოავლინა. შედეგად, საქართველოს შემოსავლების სამსახურმა წინადადება შეიმუშავა საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ, რომელიც დამსაქმებელთა რეესტრის შექმნასაც ითვალისწინებს. მას შემდეგ, ეს წინადადება მიღებული იყო პარლამენტის მიერ და 2021 წელს შევა ძალაში. საგადასახადო შემოსავლების დანაკარგების ანალიზის შედეგები არ ქვეყნდება და არ საჯაროვდება.

**G. POA 7: საგადასახადო დავების გადაწყვეტის ეფექტიანობა**

POA 7 ეხება ისეთ პროცესს, რომლის გამოყენებითაც გადამხდელი ცდილობს მიაღწიოს აუდიტის შედეგად მიღებული საგადასახადო შეფასების დამოუკიდებელ

<sup>33</sup> საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფისკალურ საქმეთა დეპარტამენტის „საგადასახადო ადმინისტრაციის საგადასახადო შემოსავლების დანაკარგების ანალიზის პროგრამა“ (RA-GAP) შემუშავებულ იქნა, რომ დაეხმაროს საგადასახადო ადმინისტრაციებს შემოსავლების იმ დანაკარგების შეფასებაში, რომლებიც გამოწვეულია კანონშესაბამისობის ან პოლიტიკური ღონისძიებების ნაკლებობით, რაც აუარესებს საგადასახადო ბაზას.

განხილვას ფაქტების საფუძველზე ან კანონის ინტერპრეტაციის გზით. უპირველეს ყოვლისა, საგადასახადო დავის პროცესმა უნდა დაიცვას გადამხდელის უფლება გააპროტესტოს შეფასებული გადასახადი და მიიღოს საქმის სამართლიანი გარჩევა. პროცესი უნდა ემყარებოდეს საკანონმდებლო ჩარჩოს, ცნობილი და გასაგები იყოს გადამხდელისათვის, იყოს ადვილად ხელმისაწვდომი, იძლეოდეს გამჭვირვალე, დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების გარანტიას და შეეძლოს დავის საკითხების დროულად გადაწყვეტა.

POA 7-ს შესაფასებლად გამოყენებულია სამი განზომილება:

- P7-23 — დავის გადაწყვეტის დამოუკიდებელი, შესრულებადი და საფეხურებრივი პროცესის არსებობა.
- P7-24 — დავების გადაწყვეტაზე დახარჯული დრო.
- P7-25 — საგადასახადო დავების შედეგების საფუძველზე მოქმედების ხარისხი.

**P7-23: დავის გადაწყვეტის დამოუკიდებელი, შესრულებადი და დიფერენცირებული პროცესის არსებობა**

ეს კრიტერიუმი ფასდება სამი განზომილების მიხედვით: (1) დავის შესაძლო ესკალაცია დამოუკიდებელ გარე ტრიბუნალამდე ან სასამართლომდე, როდესაც გადამხდელი უკმაყოფილო რჩება საგადასახადო ადმინისტრაციაში განხილვის პროცესის შედეგით; (2) საგადასახადო ადმინისტრაციის მიერ დავის განხილვის პროცესის ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის ხარისხი; და (3) გადამხდელის ინფორმირების ხარისხი საკუთარი უფლებების შესახებ და დავის განხილვის სხვადასხვა გზების შესახებ. შეფასების ქულები ნაჩვენებია ცხრილში #24 მას აგრეთვე თან ახლავს იმ მიზეზების განმარტება, რომელიც საფუძველად უდევს აღნიშნულ შეფასებას.

**ცხრილი 24. P7-23 შეფასება**

| შეფასების სფეროები  | ქულების გამოყვანის მეთოდი | ქულა 2020 |   |
|---|---------------------------|-----------|---|
| P7-23-1. რამდენად ხელმისაწვდომია ადმინისტრაციული და სასამართლო განხილვის სათანადოდ აწყობილი საფეხურებრივი მექანიზმი გადასახადის გადამხდელთათვის და რამდენად იყენებენ ისინი მას. | M2                        | A         | A |

|  |  |   |  |
|--|--|---|--|
| P7-23-2. დამოუკიდებელია თუ არა ადმინისტრაციული განხილვის მექანიზმი აუდიტის პროცესისგან.                                      |  | A |  |
| P7-23-3. გამოქვეყნებულია თუ არა ინფორმაცია დავის პროცესის შესახებ და რამდენად მკაფიოდ მიეწოდებათ ეს ინფორმაცია გადამხდელებს. |  | A |  |

საქართველოში დავების გადაწყვეტის პროცესი კარგი საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად წარიმართება. მასში გამოყენებულია სამსაფეხურიანი მიდგომა, რომელშიც გადასახადის გადამხდელებს აქვთ იურიდიული უფლება, მიმართონ ფინანსთა სამინისტროს დავების საბჭოს, თუ მათი ადმინისტრაციული საჩივარი სრულად ან ნაწილობრივ უარყოფილია, ხოლო შემდეგ ეტაპზე - სასამართლოს. სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, გადასახადის გადამხდელებს შეუძლიათ სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრონ კიდევ ორ ინსტანციაში, მათ შორის მიმართონ უზენაეს სასამართლოს. ფინანსთა სამინისტროს დავების საბჭოს წევრები ინიშნებიან მინისტრის ბრძანებით. საბჭოს შემადგენლობაში შედიან ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური პირები და გარეშე წევრები. საბჭოს ფინანსთა მინისტრი თავმჯდომარეობს. გადასახადის გადამხდელებს უფლება აქვთ ამ პროცესის ნებისმიერ ეტაპზე მიმართონ უშუალოდ სასამართლოს, როგორც დავების საბჭოში მიმართვამდე ასევე მის შემდეგ. სისტემა არ იძლევა დავის გადაჭრის რაიმე ისეთი ალტერნატიული, დაჩქარებული პროცესის გამოყენების საშუალებას, როგორცაა არბიტრაჟი. გასაჩივრების მიზნით, გადასახადის გადამხდელებს შეუძლიათ შემოსავლების სამსახურს მიმართონ ელექტრონული ფორმით, მომხმარებლის ავტორიზებული პორტალიდან<sup>34</sup>.

შემოსავლების სამსახურის დავების გადაწყვეტის ადმინისტრაციული პროცესი აუდიტის დეპარტამენტისგან დამოუკიდებელია. შემოსავლების სამსახურს აქვს დავების დეპარტამენტი. ის შემოსავლების სამსახურის უფროსის იმ მოადგილეს ექვემდებარება, რომელსაც არანაირი პასუხისმგებლობა არ ეკისრება ოპერაციულ დეპარტამენტებზე. დავების გადაწყვეტა ხდება შემოსავლების სამსახურის შიდა „დავების საბჭოში“, რომელსაც სამსახურის უფროსის მოადგილე ხელმძღვანელობს და რომელშიც მონაწილეობენ ზოგიერთი სხვა დეპარტამენტის ხელმძღვანელები, ოპერაციული დეპარტამენტების, მათ შორის აუდიტის დეპარტამენტის, გარდა. უკანასკნელ წლებში გადაიდგა მთელი რიგი ნაბიჯები დავების პროცესის დამოუკიდებლობის შემდგომი გაზრდის მიზნით. მაგალითად, დავების

<sup>34</sup> [eservices.rs.ge](http://eservices.rs.ge)

დეპარტამენტი მდებარეობს სხვა შენობაში, ვიდრე აუდიტის დეპარტამენტი და სხვა ოპერატიული ერთეულები. დეპარტამენტისა და შიდა დავების საბჭოს მუშაობის წარმართვის პროცედურები არსებობს. დავების დეპარტამენტისა და შიდა დავების საბჭოს მუშაობის წარმართვის პროცედურები დანერგილია.

**საქართველოს შემოსავლების სამსახური აქტიურად აწვდის ინფორმაციას გადასახადების გადამხდელებს საგადასახადო ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესაძლებლობის შესახებ. ინფორმაცია გასაჩივრების პროცესების შესახებ და საჩივრის შეტანის ინსტრუქციები განთავსებულია შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე. გარდა ამისა, ინფორმაცია გასაჩივრების შესაძლებლობის შესახებ მოცემულია გამოქვეყნებულ დოკუმენტში „გადასახადის გადამხდელთა უფლებების შესახებ“. ეს დოკუმენტი თან ერთვის შეტყობინებას აუდიტის შესახებ, რომელიც გადასახადის გადამხდელებს აუდიტის დაწყებამდე ეგზავნებათ. გადასახადების გადამხდელებს მათი უფლებების შესახებ ატყობინებენ აუდიტის დროს, აუდიტის დასკვნაში და აუდიტის დასკვნის შემდეგ მიწოდებულ შეტყობინებაში, დამატებითი გადასახადების შეფასების და/ან დაჯარიმების შემთხვევაში.**

**P7-24: საგადასახადო დავების გადაწყვეტაზე დახარჯული დრო.**

ეს კრიტერიუმი განიხილავს თუ რამდენად ოპერატიულად ასრულებს საგადასახადო ადმინისტრაცია დავების ადმინისტრაციულ განხილვას. შეფასების ქულები ნაჩვენებია ცხრილში #25. მას აგრეთვე თან ახლავს იმ მიზეზების განმარტება, რომელიც საფუძვლად უდევს აღნიშნულ შეფასებას.

**ცხრილი 25. P7-24 შეფასება**

| შეფასების სფერო                                  | ქულების გამოყვანის მეთოდი | ქულა 2020 |
|--|---------------------------|-----------|
| P7-24. ადმინისტრაციული განხილვის დასრულების დრო. | M1                        | C         |

დრო, რომელსაც შემოსავლების სამსახური 2019/2020 წლებში საქმეების ადმინისტრაციული განხილვის დასრულებას ანდომებდა მოთხოვნებს მინიმალურად აკმაყოფილებს და გაუმჯობესების ტენდენცია აღმავალია. 2019 წლის ივლისიდან 2020 წლის ივნისამდე პერიოდში, 90 დღეში დასრულებულ საქმეთა წილი საშუალოდ 92.4 პროცენტის შეადგენდა. საქმეების 83.5 პროცენტის განხილვა 60 დღეში სრულდებოდა (იხ. დანართი III, ცხრილი 14). მიღებულ იქნა ზომები ამ მაჩვენებლის გაუმჯობესების

მიზნით, რის შედეგადაც 2020 წლის ივლის-სექტემბერში დავების 90 პროცენტზე მეტი გადაწყვეტილია 60 დღის განმავლობაში.

**P7-25: საგადასახადო დავების შედეგების საფუძველზე მოქმედების ხარისხი**

ეს კრიტერიუმი განიხილავს თუ რამდენად ხდება დავების შედეგების გათვალისწინება პოლიტიკის, კანონმდებლობისა და ადმინისტრაციული პროცედურების განსაზღვრისათვის დროს. შეფასების ქულები ნაჩვენებია ცხრილში #26 მას აგრეთვე თან ახლავს იმ მიზეზების განმარტება, რომელიც საფუძველად უდევს აღნიშნულ შეფასებას.

**ცხრილი 26. P7-25 შეფასება**

| შეფასების სფერო   | ქულების გამოყენების მეთოდი | ქულა 2020 |
|---|----------------------------|-----------|
| P7-25. რამდენად რეაგირებს საგადასახადო ადმინისტრაცია დავების შედეგებზე. | M1                         | B         |

**დავების შედეგების მონიტორინგისა და შეფასების მიზნით რამდენიმე ღონისძიება განხორციელდა.** დავების დეპარტამენტი რეგულარულად აკონტროლებს უფრო არსებითი ხასიათის შემთხვევებს, რომლებიც გაანალიზებული უნდა იყოს იურიდიული დეპარტამენტის მიერ, სამართლებრივი ცვლილებების განსახილველად ან მეთოდოლოგიის დეპარტამენტის მიერ, პროცედურული ცვლილებების შესამუშავებლად. აღნიშნულ დეპარტამენტებისთვის მასალების მიწოდება და მეთოდოლოგიის დეპარტამენტის მეშვეობით მათი მიწოდება შემოსავლების სამსახურის უფროსისთვის ხორციელდება სიტუაციის მიხედვით და აგრეთვე დამოკიდებულია საქმეებით რეალურ დატვირთულობაზე. ეს პროცესი სრულდება როგორც ადმინისტრაციული განხილვების, ასევე სასამართლო გადაწყვეტილებების შემთხვევაში. ცოტა ხნის წინ, 2020 წლის აგვისტოში, შეიქმნა შიდა საბჭო, რომელსაც შემოსავლების სამსახურის უფროსი ხელმძღვანელობს. ეს საბჭო განიხილავს სასამართლოს გადაწყვეტილებების შედეგებს და განიხილავს როგორც გასაჩივრების ვარიანტს, ასევე შესაძლო იურიდიულ და პროცედურულ ცვლილებებს, უფრო სისტემური ხასიათის საკითხების გადასაწყვეტად. ამ დროისთვის აღნიშნულმა საბჭომ 150 საქმე განიხილა. გადაწყვეტილების შედეგების შესახებ ანგარიშები რუტინულად არ მზადდება. შეფასებული ოპერიოდის მანძილზე საბჭოს მოსაზრებების საფუძველზე ცვლილებები არ შემოთავაზებულა და არ განხორციელებულა.

## H. POA 8: შემოსავლებს ეფექტიანი მართვა

მოცემული POA ყურადღებას ამახვილებს საგადასახადო ადმინისტრაციების მიერ შემოსავლების მართვასთან დაკავშირებით განხორციელებულ სამ ძირითად საქმიანობაზე:

- წვლილის შეტანა მთავრობის მიერ ბიუჯეტის შედგენის პროცესებში საგადასახადო შემოსავლის პროგნოზირებისა და საგადასახადო შემოსავლის გამოთვლის საშუალებით (როგორც წესი, საგადასახადო შემოსავლის პროგნოზირებასა და გამოთვლასთან დაკავშირებით მთავრობისთვის კონსულტაციის გაწევის ძირითადი ვალდებულება ფინანსთა სამინისტროს აკისრია. საგადასახადო ადმინისტრაციას პროგნოზირებისა და გამოთვლის პროცესში მონაცემებითა და ანალიზით შეაქვს წვლილი. ფინანსთა სამინისტროები საგადასახადო ადმინისტრაციისთვის ხშირად ადგენენ ოპერაციული შემოსავლების მობილიზაციის მიზნობრივ მაჩვენებლებს სხვადასხვა გადასახადების შემოსავლების პროგნოზების საფუძველზე.)<sup>35</sup>
- შემოსავლის ანგარიშების სისტემის მომსახურება.
- გადასახადების დაბრუნება.

POA 8-ს შესაფასებლად გამოიყენება სამი კრიტერიუმი:

- P8-26—სახელმწიფო საგადასახადო შემოსავლების პროგნოზირების პროცესში წვლილის შეტანა.
- P8-27—საგადასახადო შემოსავლის ბუღალტრული სისტემის შესატყვისობა.
- P8-28—გადასახადების დაბრუნების დამუშავების შესატყვისობა.

### **P8-26: სახელმწიფო საგადასახადო შემოსავლების პროგნოზირების პროცესში წვლილის შეტანა**

ამ კრიტერიუმით ფასდება თუ რა დონეზე შეაქვს წვლილი საგადასახადო ადმინისტრაციას სახელმწიფოს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზირებასა და

---

<sup>35</sup> ფინანსთა სამინისტროებში მიღებულია ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზებისა და დაკავშირებული გადასახადების ამოღების მიზნობრივი მაჩვენებლების გადახედვა ფისკალური წლის განმავლობაში (განსაკუთრებით წლის შუა პერიოდში) რათა მხედველობაში მიიღოს საპროგნოზო დაშვებებში შეტანილი ცვლილებები, განსაკუთრებით კი ცვლილებები მაკროეკონომიკურ გარემოში.

გამოთვლაში. შეფასების ქულა ნაჩვენებია ცხრილში 26. მას თან ახლავს იმ მიზეზების განმარტება, რომელიც საფუძვლად უდევს აღნიშნულ შეფასებას.

**ცხრილი 27. P8-26 შეფასება**

| შეფასების სფერო  | ქულების გამოყვანის მეთოდი | ქულა 2020 |
|--|---------------------------|-----------|
| P8-26. საგადასახადო ადმინისტრაციის მიერ სახელმწიფო საგადასახადო შემოსავლის პროგნოზირებასა და გამოთვლაში წვლილის შეტანა | M1                        | B         |

საქართველოს შემოსავლების სამსახურს შემოსავლების მონიტორინგისა და ანალიზის კარგი შესაძლებლობა აქვს, თუმცა სრულად არ ხდება მომავალში გადატანილი ზარალისა და საგადასახადო ხარჯების მონიტორინგი და მათზე ანგარიშგება. საქართველოს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტი ახლოს და რეგულარულად თანამშრომლობს ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტთან. აუდიტის დეპარტამენტს წვლილი შეაქვს სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენის პროცესში შემოსავლების პროგნოზირებისა და საგადასახადო შემოსავლების შეფასებით მინიმუმ წელიწადში ორჯერ და მოთხოვნისას — როდესაც საგადასახადო კანონმდებლობა იცვლება—სხვადასხვა მეთოდოლოგიის გამოყენებით. ანალიტიკური დეპარტამენტი ყოველდღიურად აგროვებს მონაცემებს გადასახადების ამოღების შესახებ და მონიტორინგს უწევს მათ ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მონაცემებთან შედარებით და წარუდგენს ანგარიშს სამსახურის უფროსს და ფინანსთა სამინისტროს ყოველდღიურად და ორ კვირაში ერთხელ შესაბამისად. წელიწადში ორჯერ ანალიტიკური დეპარტამენტი აკეთებს დღ-ს დასაბრუნებელი თანხების პროგნოზს თვეების მიხედვით. საქართველოს საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს ზარალის მომდევნო პერიოდში გადატანას ძველი მოგების<sup>36</sup> გადასახადით დაბეგვრის რეჟიმის

<sup>36</sup> 2017 წლის 1 იანვარს, კორპორაციული საშემოსავლო გადასახადის (CIT) რეფორმა შევიდა ძალაში, რომელმაც ტრადიციული მოგების გადასახადით (CIT) დაბეგვრის რეჟიმი განაწილებული მოგების გადასახადით (DPCT) ჩაანაცვლა ყველა იურიდიული პირისთვის, ზოგიერთი დარგის გარდა: ფინანსური ინსტიტუტები; ნავთობის მამიებელი კომპანიები; ინდივიდუალური მეწარმეები. განაწილებული მოგების გადასახადით დაბეგვრისას, ბიზნეს სუბიექტები მხოლოდ მაშინ იბეგრებიან, როდესაც ისინი მოგებას დივიდენდების სახით ანაწილებენ ან მოგებას კანონით განსაზღვრულ განსაკუთრებულ შემთხვევებში ანაწილებენ. ამ რეჟიმის მიხედვით, ზარალის მომავალში გადატანა არ ხდება.



და ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადით ჩვეულებრივი დაბეგვრის რეჟიმის მიხედვით ხუთ-წლიანი პერიოდით. საქართველოს შემოსავლების სამსახური თვალყურს ადევნებს მომდევნო პერიოდში გადატანილი ზარალის ოდენობას, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ტრადიციული მოგების გადასახადის მომავალ საგადასახადო ვალდებულებებში.<sup>37</sup> ხორციელდება გარკვეული მონიტორინგი საგადასახადო ხარჯების მიზეზით მიუღებელ შემოსავალზე, თუმცა არა საფუძვლიანად და რეგულარულად.

**P8-27: საგადასახადო შემოსავლის ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის შესატყვისობა**

აღნიშნული კრიტერიუმით საგადასახადო შემოსავლის ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის შესატყვისობა მოწმდება. შეფასების ქულა ნაჩვენებია ცხრილში 28. მას თან ახლავს იმ მიზეზების განმარტება, რომელიც საფუძვლად უდევს აღნიშნულ შეფასებას.

**ცხრილი 28. P8-27 შეფასება**

| შეფასების სფერო  | ქულების გამოყვანის მეთოდი | ქულა 2020 |
|--|---------------------------|-----------|
| P8-27. საგადასახადო ადმინისტრაციის შემოსავლების ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის შესატყვისობა | M1                        | C         |

საქართველოს შემოსავლების სამსახურიდან ინფორმაცია ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის სისტემაში შედის, რომელიც თანამედროვე სტანდარტებს შეესაბამება, მაგრამ მისი ხარისხის უზრუნველსაყოფად არ ტარდება გარე ან შიდა აუდიტი. საქართველოს შემოსავლების სამსახურის ძირითადი საგადასახადო სისტემები დაკავშირებულია ფინანსთა სამინისტროს შემოსავლის ბუღალტრული აღრიცხვის სისტემასთან (E-Treasury). 2017 წლიდან მოყოლებული, ხაზინის ერთიანი ანგარიშის დანერგვიდან, ფინანსთა სამინისტროს საშუალებით მიღებული ყველა გადახდები გადასახადების გადამხდელების ანგარიშებზე ერთ დღეში აისახება—რაც ამ სფეროში საერთაშორისო კარგი პრაქტიკის შესაბამისია. გადასახადის გადამხდელებს საკუთარი ანგარიშების შესახებ ინფორმაციაზე წვდომა გადასახადის გადამხდელის პორტალიდან აქვთ. საქართველოს შემოსავლების სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის საგადასახადო კანონმდებლობასა და აღრიცხვის

37 2019 წლის დეკემბრის ბოლოს, 7.641 გადასახადის გადამხდელი ჯერ კიდევ ძველი მოგების გადასახადით (CIT) იბეგრებოდა. კორპორატიული საშემოსავლო გადასახადებიდან (CIT) მობილიზებული მთლიან გადასახადებში მათი წილი 37 პროცენტს შეადგენს.

სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით გარე ან შიდა აუდიტი არ ჩატარებულა.

**P8-28: გადასახადის დაბრუნების დამუშავების შესატყვისობა**

ამ კრიტერიუმის შეფასების ორი სფერო საგადასახადო ადმინისტრაციის სისტემის მიერ დღგ-ის დაბრუნებების მოთხოვნების დამუშავებას აფასებს. შეფასების ქულები ნაჩვენებია ცხრილში 29. მას თან ახლავს იმ მიზეზების განმარტება, რომელიც საფუძვლად უდევს აღნიშნულ შეფასებას.

**ცხრილი 29. P8-28 შეფასება**

| შეფასების სფერო   | ქულების გამოყვანის მეთოდი | ქულა 2020 |   |
|---|---------------------------|-----------|---|
| P8-28-1. დღგ-ს დაბრუნებების სისტემის შესატყვისობა.      | M2                        | B         | C |
| P8-28-2. დღგ-ს დაბრუნებაზე (ან ჩათვლაზე) გახარჯული დრო. |                           | D         |   |

**დღგ-ს დაბრუნებების ახალი სისტემა საერთო ჯამში კარგ საერთაშორისო პრაქტიკას შეესაბამება, მაგრამ ამჟამად ზედმეტობის ავტომატურად დაბრუნება და ვადაგადაცილებულ დასაბრუნებელ თანხებზე პროცენტის გადახდა არ ხდება.** საქართველოს შემოსავლების სამსახურმა დანერგა ავტომატიზებული რისკებზე დაფუძნებული შემოწმების სისტემა, რომელიც ამოწმებს დღგ-ს დეკლარაციებში ასახულ დღგ-ს ზედმეტობას. დაბალი რისკის კატეგორიაში შემავალ გადასახადის გადამხდელების მიმართ ხორციელდება შეღავათიანი რეჟიმი. საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ დღგ-ს დაბრუნებების დამუშავებაზე გახარჯული დროსთან დაკავშირებით უზრუნველყოფილი მონაცემების მიხედვით, 98.7 პროცენტი (შემთხვევების რიცხვის მიხედვით) და 89.1 პროცენტი (ღირებულების მიხედვით) მუშავდება (ე.ი. მტკიცდება ან უარყოფა ხდება) დროულად — 30 კალენდარული დღის განმავლობაში. დაბრუნებების მოთხოვნის დამტკიცების შემდეგ, შესაბამისი თანხა გადასახადის გადამხდელი ანგარიშზე ირიცხება („მწვანე ბარათი“), რომელიც გადასახადის გადამხდელისთვის მისი პორტალიდან არის ხელმისაწვდომი. ამჟამად, აღნიშნული თანხის ავტომატურად გადახდა არ ხდება, მას მხოლოდ მაშინ აბრუნებენ, როდესაც გადასახადის გადამხდელი დაბრუნებას გადამხდელის პორტალზე შესაბამისი გადახდის ღილაკზე დაჭერით მოითხოვს. მოთხოვნის შემთხვევაში, თანხა გადასახადის გადამხდელის საბანკო ანგარიშზე ერთი დღის განმავლობაში ირიცხება. საქართველოს შემოსავლების სამსახური ავტომატური გადახდის პროცესის მოთხოვნის გარეშე დაწყებას 2020 წლის ნოემბრიდან გეგმავს. ფინანსთა სამინისტრო

საბიუჯეტო თანხებს გამოყოფს დაბრუნების კანონიერი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით. საქართველოს საგადასახადო კოდექსი დღგ-სა და სხვა ზედმეტობების საგადასახადო დავალიანებებში ჩათვლის შესაძლებლობას იძლევა, თუმცა დაგვიანებით დაბრუნებებზე პროცენტის გადახდას არ ითვალისწინებს.

**უზრუნველყოფილი მონაცემები დღგ-ს დაბრუნებაზე (ან ჩათვლაზე) გახარჯული დროის შეფასების საშუალებას არ იძლევა.** შეფასების გუნდისთვის დღგ-ს დაბრუნების ან ჩათვლის რეალური თარიღების შესახებ მონაცემები ვერ იქნა წარდგენილი, ზემოთ აღწერილი ორ-საფეხურიანი პროცესის გამო. ამის შედეგად, ობიექტურად ვერ შეფასდა თუ რა დრო არის საჭირო მთლიანად დღგ-ს დასაბრუნებლად (ან ჩასათვლელად).

რიცხოვრივი მონაცემებისთვის იხილეთ დანართი III, ცხრილი 15.

### **I. POA 9: ანგარიშვალდებულება და გამჭირვალობა**

ანგარიშვალდებულება და გამჭირვალობა კარგი მმართველობის ქვაკუთხედიანია. მათი ინსტიტუციონალიზაცია იმ პრინციპს ასახავს, რომ საგადასახადო ადმინისტრაციებს მათ მიერ გამოყენებულ საზოგადოებრივ რესურსებზე და საკუთარ უფლებამოსილებაზე პასუხისმგებლობა აკისრიათ. იმისათვის, რომ გაძლიერდეს საზოგადოების ნდობა და რწმენა, საგადასახადო ადმინისტრაციები საქმიანობას ღიად უნდა ასრულებდნენ და მათზე დაკისრებული პასუხისმგებლობების შესრულებაზე ანგარიშვალდებულნი იყვნენ მინისტრის, ხელისუფლების, კანონმდებლობისა და საზოგადოების წინაშე.

POA 9-ს შესაფასებლად გამოიყენება ოთხი შეფასების ინდიკატორი:

- P9-29—შიდა აუდიტის მექანიზმები.
- P9-30—საგადასახადო ადმინისტრაციის გარე კონტროლი.
- P9-31- ადმინისტრაციის კეთილსინდისიერების აღქმა საზოგადოების მიერ.
- P9-32—ჩატარებული ღონისძიებების, შედეგებისა და გეგმების გამოცემა.

#### **P9-29: შიდა კონტროლის მექანიზმები**

ეს კრიტერიუმი ფასდება შეფასების შემდეგი ორი სფეროთი: არსებული შიდა კონტროლის მექანიზმები, რათა საგადასახადო ადმინისტრაცია დაცული იქნეს დანაკარგის, შეცდომის ან თაღლითობისაგან. შეფასების ქულები ნაჩვენებია ცხრილში 30. მას თან ახლავს იმ მიზეზების განმარტება, რომელიც საფუძვლად უდევს აღნიშნულ შეფასებას.

**ცხრილი 30. P9-29 შეფასება**

| შეფასების სფერო   | ქულების გამოყვანის მეთოდი | ქულა 2020 წ. |    |
|---|---------------------------|--------------|----|
| P9-29-1. შიდა აუდიტის მიერ უზრუნველყოფილი კონტროლი.               | M2                        | C            | C+ |
| P9-29-2. პერსონალის კეთილსინდისიერების უზრუნველყოფის მექანიზმები. |                           | B            |    |

საქართველოს შემოსავლების სამსახურს აქვს ორგანიზაციულად დამოუკიდებელი შიდა აუდიტის ფუნქცია, რომელიც პირდაპირ საქართველოს შემოსავლების სამსახურის უფროსის მიმართ არის ანგარიშვალდებული. შიდა აუდიტის დეპარტამენტის მანდატი საერთაშორისო შიდა აუდიტის კარგ პრაქტიკას შეესაბამება, იმის გარდა, რომ არ არსებობს აუდიტის კომიტეტი შემოსავლების სამსახურის შიდა აუდიტის საქმიანობის მმართველობისა და მხარდაჭერის მიზნით. აუდიტის მანდატი კარგად არის ჩამოყალიბებული შიდა აუდიტის შესწორებულ დებულებაში, რომელიც 2020 წლის ივლისში დამტკიცდა. შიდა აუდიტის დეპარტამენტი 2017 წელს დაარსდა, თუმცა მხოლოდ ცოტა ხნის წინ დაიწყო აუდიტორული საქმიანობა, მას შემდეგ რაც 2020 წლის აგვისტოში მთლიანად დაკომპლექტდა. ცხრა წევრისგან შემდგარი მისი გუნდი ძირითადად კონცენტრირებულია შიდა აუდიტის ფუნქციის დამკვიდრებაზე, ტრენინგზე და მისი საქმიანობის მხარდასაჭერად ძირითადი მეთოდოლოგიისა და პრაქტიკის შემუშავებაზე. შიდა აუდიტის დეპარტამენტმა შექმნა ცენტრალური საცავი საქართველოს შემოსავლების სამსახურის შიდა კონტროლის ყველა პოლიტიკის, პროცესებისა და პროცედურებისთვის. შიდა აუდიტის დეპარტამენტის შეფასებით, კონტროლთან დაკავშირებული ყველა შესაბამისი ინფორმაციის მიღებას ან შემუშავებას დაახლოებით სამი წელი დასჭირდება. შიდა აუდიტის დეპარტამენტი, საერთაშორისო კარგი პრაქტიკის შესაბამისად, შიდა აუდიტის ოპერაციებისა და მეთოდების გადასინჯვას სამიდან ხუთ წლამდე პერიოდის განმავლობაში გეგმავს.

**შიდა აუდიტის დეპარტამენტმა შექმნა 2020 წლის აუდიტის ღონისძიებების შემოკლებული პროგრამა.** რადგან განვითარებაზე ამახვილებს ყურადღებას, 2020 წლის შიდა აუდიტის პროგრამა შემოიფარგლება საქართველოს შემოსავლების სამსახურის დავების დეპარტამენტის კანონთან შესაბამისობის აუდიტით (რომელიც დასრულდა) და ეფექტიანობის აუდიტით, რომელიც, შეფასების პერიოდში, ჯერ კიდევ მიმდინარეობს. ფინანსთა სამინისტროს შიდა აუდიტი აგრძელებს საქართველოს შემოსავლების სამსახურის შიდა აუდიტის საქმიანობის მხარდაჭერას. მართალია შიდა აუდიტის ორივე ერთეული აღიარებს საქართველოს შემოსავლების

სამსახურის ოპერაციების წინაშე არსებულ IT რისკებს, ამჟამად არცერთ ერთეულს აქვს IT სისტემების, კომპიუტერული აღჭურვილობის ან უსაფრთხოების აუდიტის ჩატარების შესაძლებლობა. საქართველოს შემოსავლების სამსახურის შიდა აუდიტის სტრატეგია IT სისტემების აუდიტს 2022 წელს ითვალისწინებს, მანამდე კი ორივე ერთეული გააფართოებს აუდიტის სფეროს იმისათვის, რომ 2021 წლის დავალებებმა IT რისკების ელემენტები მოიცვას.

**საქართველოს შემოსავლების სამსახურის ყველა თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას საქართველოს საჯარო სამსახურის ქცევის კოდექსი, აგრეთვე საქართველოს შემოსავლების სამსახურის შინაგანაწესი, რომელიც ეთიკურ ქცევას ეხება.** ყველა თანამშრომელი, რომელიც საქართველოს შემოსავლების სამსახურში იწყებს მუშაობას, ეცნობა ქცევის კოდექსსა და ეთიკის სტანდარტებს, რომელთა დაცვასაც მათგან მოელოან. ამის დასტურად, თანამშრომელი ხელს აწერს გაცნობის ფორმას. პერიოდულად ხდება თანამშრომელთა გადამზადება ქცევის კოდექსში და საქართველოს შემოსავლების სამსახური ასევე ახორციელებს კვარტალურ ღონისძიებებს მთავრობის ანტიკორუფციული გეგმის შესაბამისად. არსებობს IT კონტროლი და სისტემები ინციდენტების დასადგენად, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საგადასახადო ადმინისტრაციის მონაცემების კონფიდენციალურობასა და ერთიანობას. უზრუნველყოფილია თანამშრომლების მიერ IT სისტემების გამოყენების მიკვლევადობა და არსებობს მომხმარებელთა წვდომისა და გადასახადის გადამხდელის მონაცემებში შეტანილი ცვლილებების აუდიტის საიმედო კვალი. ჟურნალები მოწმდება ყოველდღიურად და ყველა IT ინციდენტზე ხორციელდება შემდგომი რეაგირების ღონისძიებები. საქართველოს შემოსავლების სამსახურში წვდომის კონტროლის პრაქტიკის შიდა აუდიტი დაგეგმილია ფინანსთა სამინისტროს შიდა აუდიტის მიერ 2021 წელს.

**დაიხვეწა პერსონალის კეთილსინდისიერების უზრუნველყოფის მექანიზმები.** პროფესიული ეთიკისა და მონიტორინგის დეპარტამენტი, რომელიც უშუალოდ სამსახურის უფროსის წინაშე ანგარიშვალდებული, უფლებამოსილია ჩაატაროს ოფიციალური შემოწმება თანამშრომლების მხრიდან შესაძლო გადაცდომების შემთხვევაში, მათ შორის ინტერესთა კონფლიქტის და ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევაში. 2016 წლიდან პროფესიული ეთიკისა და მონიტორინგის დეპარტამენტში შეიქმნა ინფორმაციის უსაფრთხოების განყოფილება და განხორციელდა ინფორმაციის უსაფრთხოების პოლიტიკა. 2019 წელს ყველა თანამშრომელმა გაიარა ტრენინგი და ტესტირება „ონლაინ“ რეჟიმში ინფორმაციის უსაფრთხოების, კონფიდენციალურობისა და ფიზიკური უსაფრთხოების საკითხებში. ასევე განახლდა წარმოების პროცესიდან მოწყვეტის გარეშე შემოწმების საფუძვლები, საქმეთა მართვის წესი და მხარეთა

უფლებები და მოვალეობები. პროფესიული ეთიკისა და მონიტორინგის დეპარტამენტს აქვს ოპერაციული გეგმა, რომელიც ასახავს დეპარტამენტის მიდგომას პერსონალის მხრიდან შესაძლო თაღლითობის ან არასათანადო ქმედებების გამოვლენის და ბრძოლის მიმართ. სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის ნიშნების არსებობის შემთხვევაში საქმე დაუყოვნებლივ გადაეცემა შესაბამის საგამოძიებო ორგანოს.

**პროფესიული ეთიკისა და მონიტორინგის დეპარტამენტი უზრუნველყოფს რეკომენდაციებს სისტემური ხარვეზების აღმოსაფხვრელად და აწარმოებს სტატისტიკას შემოწმებებისა და დისციპლინური ზომების შესახებ.** 2019 წელს პროფესიული ეთიკისა და მონიტორინგის დეპარტამენტმა 76 შემოწმება ჩაატარა, შინაგანაწესის დარღვევის, ინტერესთა შეუთავსებლობისა და ეთიკის სხვა ნორმების დარღვევის და მოვალეობების არაჯეროვანად შესრულების შემთხვევებზე. გარდა ამისა, ყოველთვიურად მოწმდებოდა თანამშრომელთა დასწრება და მიიღებოდა სათანადო ზომები შინაგანაწესის შესაბამისად. შემოწმების სტატისტიკა 2018 წლის ყოველწლიურ ანგარიშში შეტანილია, თუმცა 2019 წლის ანგარიშში ეს მონაცემები არ შესულა.

**P9-30: საგადასახადო ადმინისტრაციის გარე კონტროლი**

ეს კრიტერიუმი ფასდება შემდეგი ორი შეფასების სფეროთი: (1) საგადასახადო ადმინისტრაციის მიერ ჩატარებულ ოპერაციებსა და ფინანსურ საქმიანობაზე განხორციელებული დამოუკიდებელი გარე ზედამხედველობის ხარისხი; და (2) სავარაუდო დანაშაულისა და არასათანადო ადმინისტრირების გამოძიების პროცესი. შეფასების ქულები ნაჩვენებია ცხრილში 31. მას თან ახლავს იმ მიზეზების განმარტება, რომელიც საფუძვლად უდევს აღნიშნულ შეფასებას.

**ცხრილი 31. P9-30 შეფასება**

| შეფასების სფერო  | ქულების გამოყვანის მეთოდი | ქულა 2020 |    |
|--|---------------------------|-----------|----|
| P9-30-1. საგადასახადო ადმინისტრაციის მიერ ჩატარებულ ოპერაციებსა და ფინანსურ საქმიანობაზე განხორციელებული დამოუკიდებელი გარე კონტროლის ხარისხი. | M2                        | B         | B+ |
| P9-30-2. სავარაუდო დანაშაულისა და არასათანადო ადმინისტრირების გამოძიების პროცესი.  |                           | A         |    |

არსებობს დამოუკიდებელი გარე აუდიტი. ფინანსთა სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტი ახორციელებს საოპერაციო საქმიანობის ყოველწლიურ აუდიტს. სახელმწიფო აუდიტის სამსახური საქართველოს შემოსავლების სამსახურის ფინანსური ანგარიშგებების ყოველწლიურ აუდიტს ახორციელებს. მათი ანგარიშები სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებგვერდზე ქვეყნდება. საქართველოს შემოსავლების სამსახური აუდიტების შედეგად მიღებულ რეკომენდაციებს განიხილავს და რეაგირებს მასზე, პერიოდულად აუდიტის მიგნებებთან დაკავშირებით განხორციელებული ღონისძიებების მსვლელობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების საშუალებით. აუდიტის მიგნებების, რეკომენდაციების და საქართველოს შემოსავლების რეაგირების ზომების შესახებ ინფორმაცია საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ არ ქვეყნდება, თუმცა იგი ქვეყნდება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებგვერდზე. ფინანსთა სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტი შეაქვს შემოსავლების სამსახურის ოპერაციული საქმიანობის აუდიტორულ შემოწმებები თავის ყოველწლიურ პროგრამაში<sup>38</sup>.

**საქართველოს აქვს ბიზნეს ომბუდსმენის და საგადასახადო ომბუდსმენის აპარატი<sup>39</sup> და ყავს სახალხო დამცველი (ომბუდსმენი)<sup>40</sup>, რომელებიც რეგულარულად იძიებენ გადასახადების გადამხდელებისა და მოქალაქეების საჩივრებს.** ძირითადად ურთიერთქმედება საკანონმდებლო ცვლილებებთან, ინტერპრეტაციასთან და მომსახურების ხარვეზებთან დაკავშირებით ხდება. აღნიშნული ორგანოები რეკომენდაციებს უზრუნველყოფენ ცალკეულ საქმეებზე და სისტემურ საკითხებზე. პროფესიული ეთიკისა და მონიტორინგის დეპარტამენტი პასუხს აგებს (საგადასახადო) ომბუდსმენის და ანტიკორუფციული სააგენტოს რეკომენდაციების ან პრეტენზიების მონიტორინგზე. რეფორმებისა და დაგეგმვის დეპარტამენტი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშს სამსახურის უფროსს წარუდგენს. ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახური ასრულებს საქართველოს შემოსავლების სამსახურის პერსონალის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი

<sup>38</sup> 2019/20 წლებში საქართველოს შემოსავლების სამსახურში ჩატარდა ბიზნესის უწყვეტობის მართვის პრაქტიკისა და ადამიანური რესურსების დაგეგმვის, დაქირავებისა და განვითარების აუდიტი. საქართველოს შემოსავლების სამსახურის და ფინანსთა სამინისტროს საავტომობილო პარკის სისტემური აუდიტი კვლავ მიმდინარეობს.

<sup>39</sup> ბიზნესომბუდსმენის აპარატი არის დამოუკიდებელი ოფისი მთავრობის შემადგენლობაში, რომელსაც შეუძლიათ მიმართონ კომპანიებმა იმ შემთხვევაში, თუ მათ დავა აქვთ ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან. აპარატი უზრუნველყოფს იურიდიულ კონსულტაციას, წერილობით დასკვნებს და ადვოკატირებას.

<sup>40</sup> სახალხო დამცველის (ომბუდსმენის) აპარატი, სხვა საქმიანობასთან ერთად, უზრუნველყოფს უკუკავშირის იმ განცხადებებსა და პრეტენზიებზე, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით დადგენილი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ეხება.

ქმედებების გამოძიების ფუნქციას და ავსებს პროფესიული ეთიკისა და მონიტორინგის დეპარტამენტის საქმიანობას.

**საქართველოში არის მთელი რიგი უწყებები, რომელთა ფუნქციები მოიცავს კორუფციის აღკვეთას, გამოვლენას და გამოძიებას.** აღნიშნული უწყებებია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო, საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილი და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური. პროფესიული ეთიკისა და მონიტორინგის დეპარტამენტი თანამშრომლობს აღნიშნულ უწყებებთან.

**P9-31: კეთილსინდისიერების აღქმა საზოგადოების მიერ**

ეს კრიტერიუმი ამოწმებს თუ რა ზომები იქნა მიღებული საგადასახადო ადმინისტრაციის მიმართ საზოგადოებრივი ნდობის შესაფასებლად. შეფასების ქულა ნაჩვენებია ცხრილში 32. მას თან ახლავს იმ მიზეზების განმარტება, რომელიც საფუძვლად უდევს აღნიშნულ შეფასებას.

**ცხრილი 32. P9-31 შეფასება**

| შეფასების სფერო   | ქულების გამოყვანის მეთოდი | ქულა 2020 წ. |
|---|---------------------------|--------------|
| P9-31. საგადასახადო ადმინისტრაციის მიმართ საზოგადოებრივი ნდობის მონიტორინგის მექანიზმი. | M1                        | B            |

საქართველოს შემოსავლების სამსახური მონიტორინგს უწევს საგადასახადო ადმინისტრაციის მიმართ საზოგადოების ზოგად ნდობას საზოგადოებრივი აზრის დამოუკიდებელი და შიდა გამოკითხვის საშუალებით. აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტის „მმართველობა განვითარებისთვის“ (G4G) ფარგლებში ჩატარებული კომპანიების გამოკითხვის<sup>41</sup> მიზნები ეფუძნება 1,472 რესპონდენტისგან შემდგარ წარმომადგენლობით ნიმუშს, რომელმაც 770 კერძო ინდემწარმე და 702 საწარმო მოიცვა. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, კომპანიების 94 პროცენტი საქართველოს შემოსავლების სამსახურს სანდო დაწესებულებად მიიჩნევს. ანგარიში გამოქვეყნდა საქართველოს შემოსავლების სამსახურის

<sup>41</sup> აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი „მმართველობა განვითარებისთვის“ (G4G). საგადასახადო სისტემისადმი დამოკიდებულების კვლევა საქართველოში, 14 ივნისი 2019წ.



ვებგვერდზე 2020 წლის 4 იანვარს. წინა დამოუკიდებელი გამოკითხვის<sup>42</sup> შედეგადაც ანალოგიური დასკვნა გაკეთდა. მართალია საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ საგადასახადო დავებში (2020 წ.) მონაწილე გადასახადების გადამხდელთა გამოკითხვის და დისტანციური სერვისების (2018 წ.) შესახებ გამოკითხვის უმთავრესი მიზანი საზოგადოების ნდობის მონიტორინგი არ ყოფილა, თუმცა G4G გამოკითხვის მიგნებები მათი შედეგებითაც დადასტურდა. ზემოთ აღნიშნული გამოკითხვებით არ დასტურდება საქართველოს შემოსავლების სამსახურის პროფესიული ეთიკის ნორმების გადასინჯვის საჭიროება.

**P9-32: ღონისძიებების, შედეგებისა და გეგმების გასაჯაროება**

ეს კრიტერიუმი ფასდება შემდეგი ორი შეფასების სფეროთი: (1) ფინანსური და საოპერაციო საქმიანობის შესახებ საჯარო ანგარიშები; და (2) მომავალი მიმართულებებისა და გეგმების გამოქვეყნება. შეფასების ქულები ნაჩვენებია ცხრილში 33. მას თან ახლავს იმ მიზეზების განმარტება, რომლებიც საფუძვლად უდევს ამ შეფასებას.

**ცხრილი 33. P9-32 შეფასება**

| შეფასების სფერო   | ქულის გამოყვანის მეთოდი | ქულა 2020 წ. |   |
|---|-------------------------|--------------|---|
| P9-32-1. საგადასახადო ადმინისტრაციის ფინანსური და საოპერაციო საქმიანობის გასაჯაროების ხარისხი და მათი დროული გამოცემა.  | M2                      | D            | D |
| P9-32-2. საგადასახადო ადმინისტრაციის მომავალი მიმართულებებისა და გეგმების გასაჯაროების ხარისხი და მათი დროული გამოცემა. |                         | D            |   |

**მუშაობის შედეგების წლიური ანგარიში დროულად ქვეყნდება, თუმცა არ იძლევა ინფორმაციას ფინანსური და ოპერაციული მაჩვენებლების შესახებ.** 2019 წლის იანვრიდან დეკემბრამდე პერიოდის შესახებ ანგარიში 2020 წლის 5 მარტს გამოქვეყნდა. მასში აღწერილია საქართველოს შემოსავლების სამსახურის ისეთი ოპერაციული ასპექტები, როგორცაა რეგისტრაცია, დროული დეკლარირება, აუდიტი და საბაჟო, ასევე უზრუნველყოფს ინფორმაციას ისეთ სფეროებზე, როგორცაა ადამიანური რესურსებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროებზე. თუმცა, არ მოიცავს ინფორმაციას გადასახადების ადმინისტრირების ძირითად პროცესებზე

<sup>42</sup> აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი „მმართველობა განვითარებისთვის“ (G4G): საგადასახადო სისტემისადმი დამოუკიდებულების კვლევა საქართველოში, 10 მაისი 2016წ.

მაგალითად, ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია რეგისტრაციასთან, გადასახადების გადახდასთან, ამოღებასთან და დავების განხილვასთან. გარდა ამისა, წლიურ ანგარიშში ფინანსური ინფორმაცია მთლიანი საგადასახადო შემოსავლებით შემოიფარგლება და არ უზრუნველყოფს შემოსავლების მაჩვენებლებს თითოეული სახის გადასახადის მიხედვით.

**საქართველოს შემოსავლების სამსახურმა გამოაქვეყნა სტრატეგიული გეგმა (მომავალი მიმართულებები), თუმცა არა დროულად. 2017-2020 წლების სტრატეგიული გეგმა 2020 წლის 9 იანვრამდე არ გამოქვეყნებულა, მის მიერ მოცული პერიოდის დასაწყისიდან კარგა ხნის შემდეგ. ოპერაციული გეგმები არ ქვეყნდება.**

# დანართი I. საგადასახადო სისტემის დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტის ჩარჩოს სტრუქტურა

## შეფასების სფეროები

საგადასახადო სისტემის დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტი ქვეყნის საგადასახადო ადმინისტრაციის სისტემის საქმიანობის ცხრა სფეროს აფასებს:

- რეგისტრირებულ გადამხდელთა ბაზის უტყუარობა:** გადასახადების გადამხდელთა დარეგისტრირება და მათი სრული და ზუსტი მონაცემთა ბაზის შენარჩუნება ეფექტიანი საგადასახადო ადმინისტრირების საფუძველს წარმოადგენს.
- რისკების ეფექტიანი მართვა:** საქმიანობის ეფექტიანობა უმჯობესდება, შემოსავლისა და საგადასახადო ადმინისტრაციის საოპერაციო რისკების გამოვლენის და მათი სისტემატური მართვის დროს.
- კანონთან ნებაყოფლობითი შესაბამისობის მხარდაჭერა:** ზოგადად, გადამხდელები საკუთარ საგადასახადო ვალდებულებებს ასრულებენ თუ მათ უზრუნველყოფენ კანონთან ნებაყოფლობითი შესაბამისობისთვის საჭირო ინფორმაციით და მხარდაჭერით.
- დროული დეკლარირება:** დეკლარაციების დროულ წარდგენას არსებითი მნიშვნელობა რადგან საგადასახადო დეკლარაციის წარდგენა არის ძირითადი საშუალება, რომლითაც დგინდება გადამხდელთა საგადასახადო ვალდებულება და გადახდის ვადები.
- გადასახადების დროული გადახდა:** გადასახადების არ გადახდამ ან გადახდის დაგვიანებამ შესაძლებელია მავნე ზეგავლენა იქონიოს სახელმწიფო ბიუჯეტსა და ნაღდი ფულის მართვაზე. საგადასახადო დავალიანებების ამოღება ძვირი ჯდება და დიდ დროს მოითხოვს.
- საგადასახადო დეკლარაციებში მითითებული ინფორმაციის სიზუსტე:** საგადასახადო სისტემა მნიშვნელოვან წილად დამოკიდებულია გადამხდელების მიერ დეკლარაციებში ინფორმაციის სრულყოფილ და ზუსტ ასახვაზე. აუდიტი და გადამოწმების სხვა ღონისძიებები და აგრეთვე გადამხდელთა დასახმარებლად პროაქტიული ინიციატივები, ხელს უწყობს ზუსტ ანგარიშგებას და ამცირებს გადასახადებთან დაკავშირებულ თაღლითობას.



აქვს,

7. **საგადასახადო დაგების ეფექტიანი გადაწყვეტა:** დამოუკიდებელი, ხელმისაწვდომი და ქმედითუნარიანი განხილვის მექანიზმები იცავს გადამხდელის უფლებას გააპროტესტოს შეფასებული საგადასახადო და მიეცეს დროული სასამართლო განხილვის შესაძლებლობა.
8. **შემოსავლების ქმედითი მართვა:** მობილიზებული საგადასახადო შემოსავლები მთლიანად უნდა აღირიცხოს, განხორციელდეს მასზე მონიტორინგი მოსალოდნელი ბიუჯეტის ბაზასთან შედარების მიზნით და გაანალიზდეს, სახელმწიფო შემოსავლების პროგნოზირების პროცესის ინფორმირების მიზნით. დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გადახდილი საგადასახადო გადამხდელი ფიზიკური პირების და საწარმოების ლეგიტიმურად მოთხოვნილი ზედმეტად გადახდილი საგადასახადო თანხები.
9. **ანგარიშვალდებულება და გამჭირვალობა:** როგორც საჯარო დაწესებულება, საგადასახადო ადმინისტრაცია, პასუხს აგებს საზოგადოებრივი რესურსების გამოყენებასა და საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებაზე. მინისტრის, კანონმდებლობისა და ფართო საზოგადოების წინაშე არსებული ვალდებულებების ჩარჩოებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ ქმედებებზე ღია ანგარიშვალდებულების დანერგვის პრაქტიკა აძლიერებს საზოგადოებრივ რწმენასა და ნდობას.

### **კრიტერიუმები და დაკავშირებული შეფასების სფეროები**

საგადასახადო ადმინისტრაციის საქმიანობის ეფექტიანობისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე 32 მაღალი დონის კრიტერიუმი, შეფასების სფეროებთან არის დაკავშირებული. სწორედ ამ კრიტერიუმებზე ხდება ქულების მინიჭება და ანგარიშგება. კრიტერიუმების ქულების გამოსაყვანად ყველა 55 შეფასების სფერო მიიღება მხედველობაში. თითოეულ კრიტერიუმს ერთიდან ხუთამდე შეფასების სფერო აქვს.

განმეორებითი შეფასებები უზრუნველყოფს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ უმჯობესდება ქვეყნის საგადასახადო ადმინისტრაცია.

### **ქულებით შეფასების მეთოდოლოგია**

ამ კრიტერიუმების შესაფასებლად იგივე მიდგომა გამოიყენება, რომელსაც სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA) დიაგნოსტიკური ინსტრუმენტისთვის იყენებენ, ორივე ინსტრუმენტის გამოყენების შემთხვევაში შედარების ხელშეწყობის მიზნით.

საგადასახადო სისტემის დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტის თითოეული 55 შეფასების სფერო ცალ-ცალკე ვასდება. თითოეული კრიტერიუმისთვის მინიჭებული მთლიანი ქულა კრიტერიუმის ინდივიდუალური სფეროების შეფასებას ეფუძნება. სფეროების ქულების კრიტერიუმის მთლიან ქულად შესაკრებად ორიდან ერთ-ერთი მეთოდი გამოიყენება: მეთოდი 1 (M1) ან მეთოდი 2 (M2). თითოეული სფეროს და

კრიტერიუმის შესაფასებლად ორივე M1 და M2 მეთოდი ABCD ოთხქულიან სისტემას იყენებს.

**მეთოდი M1** გამოიყენება ყველა ერთგანზომილებიანი კრიტერიუმისა და მრავალგანზომილებიანი კრიტერიუმისთვის, სადაც კრიტერიუმის ერთი სფეროს დაბალმა ქულამ (ე.ი. კრიტერიუმის დაკავშირებული სფეროების ყველაზე სუსტმა რგოლმა) შესაძლებელია შეამციროს იმავე კრიტერიუმის სხვა სფეროების კარგი ქულების გავლენა.

**მეთოდი M2** ეფუძნება საშუალო არითმეტიკული ქულის გამოყვანას კრიტერიუმის თითოეული სფეროსთვის. იგი გამოიყენება შერჩეული მრავალგანზომილებიანი კრიტერიუმებისთვის, სადაც კრიტერიუმის ერთი სფეროს დაბალმა ქულამ აუცილებელი არაა შეამციროს იმავე კრიტერიუმის სხვა სფეროების მაღალი ქულების გავლენა.

**დანართი II. საქართველო: ქვეყნის მოკლე მიმოხილვა**

|  |  |
|--|--|
| <p><b>გეოგრაფია</b></p>                                      | <p>საქართველო მდებარეობს ევრაზიის კონტინენტზე, სამხრეთ კავკასიის მაღალმთიან რეგიონში, დასავლეთ აზიასა და აღმოსავლეთ ევროპის მოსაზღვრედ, შავი ზღვისა და კასპიის ზღვას შორის. საქართველოს ჩრდილოეთის საზღვარი რუსეთთან, დაახლოებით დიდი კავკასიონის ქედის გასწვრივ გადის - ეს არის ევროპასა და აზიას შორის ზოგადად მიჩნეული საზღვარი. საქართველოს სიახლოვე ევროპის ძირითად ნაწილთან, სხვადასხვა კულტურულ და პოლიტიკურ ფაქტორებთან ერთად, მზარდად ხელს უწყობს საქართველოს ევროპის შემადგენლობაში შესვლას. საქართველოს კლიმატზე გავლენას ახდენს სუბტროპიკული ჰავა დასავლეთიდან და კონტინენტური კლიმატი აღმოსავლეთიდან. დიდი კავკასიონის ქედი ადგილობრივ კლიმატს არბილებს, ქმნის რა ბუნებრივ ბარიერს ჩრდილოეთის ცივი კლიმატისგან დასაცავად.</p> |
| <p><b>მოსახლეობა</b></p>                                     | <p>3.7 მილიონი (2020 წ.)<br/>(წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური)</p>   |
| <p><b>ზრდასრულ მოსახლეობაში წერა-კითხვის ცოდნის დონე</b></p> | <p>15 წლის ასაკს გადაცილებული მოსახლეობის 99.4 პროცენტი წერა-კითხვის მცოდნეა 99.4 (2017 წ.)<br/>(წყარო: Knomea)</p>  |
| <p><b>მთლიანი შიდა პროდუქტი</b></p>                          | <p>2019 წლის ნომინალური მშპ: 50 მილიარდი ლარი<br/>(წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო)</p>   |
| <p><b>მშპ ერთ სულ მოსახლეზე</b></p>                          | <p>4,764 აშშ დოლარი<br/>(წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური)</p>  |
| <p><b>მრეწველობის ძირითადი სფეროები</b></p>                  | <p>ფოლადის, სამანქანო დანადგარების, ელექტრო-მოწყობილობების, მადნების (მანგანუმი, სპილენძი, ოქრო), ქიმიური პრეპარატების, ხე-ტყის, ღვინის წარმოება</p>   |
| <p><b>ბუნებრივი რესურსები</b></p>                            | <p>ხე-ტყე, ჰიდროენერჯია, მანგანუმის საბადოები, რკინის მადნის, სპილენძის, ქვანახშირისა და ნავთობის მცირე საბადოები; ზღვისპირა კლიმატი და ნიადაგი ჩაის და ციტრუსების მნიშვნელოვანი მოცულობის წარმოების საშუალებას იძლევა</p>   |
| <p><b>კომუნიკაციები</b></p>                                  | <p>ინტერნეტის მოხმარება ყოველ 100 ადამიანზე: 68.9 (2019 წ.)<br/>მობილური ტელეფონის აბონენტი ყოველ 100 ადამიანზე: 134.7 (2019 წ.)</p>   |

|  |  |
|--|--|
|  | <i>(წყარო: მსოფლიო ბანკი)</i>  |
| <b>ძირითადი გადასახადები</b>                         | დღგ (45.9 პროცენტი); წყაროსთან დაკავებული საშემოსავლო გადასახადი (27.5 პროცენტი); აქციზის გადასახადი იმპორტულ საქონელზე (11.პროცენტი); მოგების გადასახადი (7.6 პროცენტი) (2019 წ.)<br><i>(წყარო: წინასწარი შეფასების კითხვარი)</i> |
| <b>გადასახადები მშპ-სთან წილობრივად</b>              | 22.8 პროცენტი (2019 წ.) საბაჟო მოსაკრებლების ჩათვლით<br><i>(წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი)</i>  |
| <b>გადასახადების გადამხდელთა რიცხვი</b>              | წყაროსთან დაკავებული საშემოსავლო გადასახადი 173,989; ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადი 163,641; მოგების გადასახადი 94,954; დღგ 71,669; და აქციზის გადასახადი 2,012 (2019) <i>(წყარო: წინასწარი შეფასების კითხვარი)</i>         |
| <b>შემოსავლების მობილიზებაზე უფლებამოსილი უწყება</b> | საქართველოს შემოსავლების სამსახური, რომელიც მოიცავს: საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტებს   |
| <b>უწყების თანამშრომლების რაოდენობა</b>              | 3,719 (2019 წ.)<br><i>(წყარო: საქართველოს შემოსავლების სამსახურის ყოველწლიური ანგარიში – 2019 წ.)</i>  |
| <b>ფინანსური წელი</b>                                | 1 იანვარი - 31 დეკემბერი   |

დანართი III. მონაცემთა ცხრილები

A. საგადასახადო შემოსავლების მობილიზება

| ცხრილი 1. საგადასახადო შემოსავლების მობილიზება, 2017-2019 წწ <sup>1</sup>          |        |        |        |
|--|--------|--------|--------|
|  | 2017   | 2018   | 2019   |
| <b>მილიონი ლარი</b>  |        |        |        |
| <b>ბიუჯეტით განსაზღვრული საგადასახადო შემოსავლის სამიზნე ორიენტირი<sup>2</sup></b> | 9,740  | 10,500 | 11,310 |
| <b>მთლიანი საგადასახადო შემოსავლის მობილიზებები</b>                                | 9,779  | 10,506 | 11,418 |
| მოგების გადასახადი   | 757    | 737    | 866    |
| საშემოსავლო გადასახადი   | 329    | 353    | 348    |
| დამსაქმებლების მიერ წყაროსთან დაკავებული საშემოსავლო გადასახადი                    | 2,589  | 2,894  | 3,134  |
| დღგ - სუფთა 43   | 4,123  | 4,427  | 5,239  |
| - დღგ - მთლიანი შიდა მობილიზებები  | 1,232  | 1,077  | 1,516  |
| - დღგ - იმპორტზე განხორციელებული მობილიზებები                                      | 2,890  | 3,350  | 3,723  |
| - დღგ - დაბრუნებული თანხები  | (218)  | (509)  | (609)  |
| აქციზები შიდა ტრანზაქციებზე  | 197    | 176    | 143    |
| აქციზები იმპორტზე  | 1,253  | 1,290  | 1,364  |
| სოციალური გადასახადები   | 0      | 0      | 0      |
| სხვა შიდა გადასახადები <sup>3</sup>  | 458    | 557    | 244    |
| სხვა გადასახადები იმპორტზე   | 72     | 73     | 79     |
| <b>მთლიანი საშემოსავლო მობილიზებები პროცენტულად</b>                                |        |        |        |
| <b>მთლიანი საგადასახადო შემოსავლის მობილიზება</b>                                  | 100.0  | 100.0  | 100.0  |
| მოგების გადასახადი   | 7.7    | 7.0    | 7.6    |
| საშემოსავლო გადასახადი   | 3.4    | 3.4    | 3.1    |
| დამსაქმებლების მიერ წყაროსთან დაკავებული საშემოსავლო გადასახადი                    | 26.5   | 27.5   | 27.5   |
| დღგ - სუფთა  | 42.2   | 42.1   | 45.9   |
| - დღგ - მთლიანი შიდა მობილიზებები  | 12.6   | 10.2   | 13.3   |
| - დღგ - იმპორტზე განხორციელებული მობილიზებები                                      | 29.6   | 31.9   | 32.6   |
| - დღგ - დაბრუნებული თანხები  | (2.2)  | (4.8)  | (5.3)  |
| აქციზები შიდა ტრანზაქციებზე  | 2.0    | 1.7    | 1.3    |
| აქციზები იმპორტზე  | 12.8   | 12.3   | 11.9   |
| სოციალური გადასახადები   | 0.0    | 0.0    | 0.0    |
| სხვა შიდა გადასახადები   | 4.7    | 5.3    | 2.1    |
| სხვა გადასახადები იმპორტზე   | 0.7    | 0.7    | 0.7    |
| <b>მშპ-ს პროცენტულად</b>   |        |        |        |
| <b>მთლიანი საგადასახადო შემოსავლის მობილიზება</b>                                  | 24.0   | 23.6   | 22.8   |
| მოგების გადასახადი   | 1.9    | 1.7    | 1.7    |
| საშემოსავლო გადასახადი   | 0.8    | 0.8    | 0.7    |
| დამსაქმებლების მიერ წყაროსთან დაკავებული საშემოსავლო გადასახადი                    | 6.4    | 6.5    | 6.3    |
| დღგ - სუფთა  | 10.1   | 9.9    | 10.5   |
| - დღგ - მთლიანი შიდა მობილიზებები  | 3.0    | 2.4    | 3.0    |
| - დღგ - იმპორტზე განხორციელებული მობილიზებები                                      | 7.1    | 7.5    | 7.4    |
| - დღგ - დაბრუნებული თანხები  | (0.5)  | (1.1)  | (1.2)  |
| აქციზები შიდა ტრანზაქციებზე  | 0.5    | 0.4    | 0.3    |
| აქციზები იმპორტზე  | 3.1    | 2.9    | 2.7    |
| სოციალური გადასახადები   | 0.0    | 0.0    | 0.0    |
| სხვა შიდა გადასახადები   | 1.1    | 1.2    | 0.5    |
| სხვა გადასახადები იმპორტზე   | 0.2    | 0.2    | 0.2    |
| ნომინალური მშპ ადგილობრივ ვალუტაში   | 40,762 | 44,599 | 50,002 |

<sup>43</sup> დღგ = (მთლიანი შიდა მობილიზებული დღგ + იმპორტიდან მობილიზებული დღგ) – დაბრუნებული დღგ ზედმეტობები.



**განმარტებითი შენიშვნები:**

<sup>1</sup> ამ ცხრილში თავმოყრილია საგადასახადო ადმინისტრაციის მიერ სამი ფისკალური წლის (მაგ. 2016 - 18 წწ.) მობილიზებული მთლიანი შიდა გადასახადების მონაცემები, პლუს საბაჟოს და/ან სხვა სააგენტოს მიერ იმპორტზე მობილიზებული დღგ და აქციზი.

<sup>2</sup> მოცემული სამიზნე ორიენტირი ჩვეულებრივ დგინდება ფინანსთა მინისტრის (ან მისი ექვივალენტის) მიერ და ამ ცხრილის შემთხვევაში მან უნდა მოიცვას მხოლოდ ცხრილში ჩამოთვლილი გადასახადები. გამოყენებული უნდა იქნეს წლის შუა რიცხვებში ჩატარებული განხილვის პროცესის შედეგად შეცვლილი, ბიუჯეტით განსაზღვრული საბოლოო სამიზნე ორიენტირი.

<sup>3</sup> ცენტრალურ დონეზე საგადასახადო ადმინისტრაციის მიერ მობილიზებულ სხვა შიდა გადასახადებში შედის, მაგალითად, ქონების გადასახადები, ფინანსური ტრანსაქციების გადასახადები და გარემოს დაცვის გადასახადები.

## B. ცვლილებები გადამხდელთა რეესტრში

### ცხრილი 2. ცვლილებები გადამხდელთა რეესტრში, 2017 – 2019

(POA1)

|   | რეგისტრირებული გადამხდელები <sup>1</sup><br>[A] | გადამხდელები, რომლებსაც არ აქვთ დეკლარირების ვალდებულება <sup>2</sup><br>[B] | გადამხდელები, რომლებსაც სავარაუდოდ დეკლარაცია უნდა წარადგინონ<br>[C] = [(A) - (B)] <sup>3</sup> | მემორანდუმის პუნქტები <sup>4</sup><br>[D] |  |
|---|---|--|---|---|--|
|   |   |  |   | ახლად რეგისტრირებული გადამხდელები [D1]    | წლის განმავლობაში რეგისტრირებული გადამხდელები [D2] |
| <b>2017</b>   |   |  |   |   |  |
| მოგების გადასახადი  | 241,008   | 137,809  | 103,199   | 27,038                                    | 575  |
| საშემოსავლო გადასახადი  | 1,791,856                                       | 1,636,413  | 155,443   | 54,067                                    | 1,757  |
| წყაროსთან დაკავებული საშემოსავლო გადასახადი (დამსაქმებელთა რაოდენობა) | 586,754   | 425,477  | 161,277   | 34,270                                    | 1,583  |
| დამატებული ღირებულების გადასახადი                                     | 107,274   | 40,957   | 66,317  | 13,079                                    | 1,583  |
| ადგილობრივი აქციზის გადასახადი  | 747   | 2  | 745   | 102                                       | 2  |
| <b>2018</b>   |   |  |   |   |  |
| მოგების გადასახადი  | 266,799   | 160,909  | 105,890   | 25,791                                    | 387  |
| საშემოსავლო გადასახადი  | 1,887,127                                       | 1,730,606  | 156,521   | 95,271                                    | 1,268  |
| წყაროსთან დაკავებული საშემოსავლო გადასახადი (დამსაქმებელთა რაოდენობა) | 619,383   | 459,267  | 160,116   | 32,629                                    | 788  |
| დამატებული ღირებულების გადასახადი                                     | 120,502   | 4,893  | 70,609  | 14,810                                    | 1,668  |
| ადგილობრივი აქციზის გადასახადი  | 842   | 7  | 835   | 95  | 3  |
| <b>2019</b>   |   |  |   |   |  |
| მოგების გადასახადი  | 290,021   | 195,067  | 94,954  | 23,222                                    | 415  |
| საშემოსავლო გადასახადი  | 2,197,727                                       | 2,034,086  | 163,641   | 310,600                                   | 1,089  |
| წყაროსთან დაკავებული საშემოსავლო გადასახადი (დამსაქმებელთა რაოდენობა) | 743,853   | 569,955  | 173,898   | 36,408                                    | 828  |
| დამატებული ღირებულების გადასახადი                                     | 134,138   | 62,469   | 71,669  | 15,330                                    | 2,029  |
| ადგილობრივი აქციზის გადასახადი <sup>5</sup>                           | 443   | 102  | 341   | 79  | 0  |

**განმარტებითი შენიშვნები:**

<sup>1</sup> რეგისტრირებული გადამხდელი, რომელიც არის საგადასახადო ადმინისტრაციის მონაცემთა ბაზაში.

<sup>2</sup> „გადასახადის გადამხდელში რომლებსაც არ მოეთხოვებათ დეკლარაციების შევსება“ იგულისხმება გადასახადის გადამხდელები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან, მაგრამ ამჟამად კანონით არ რეგულაციით არ მოეთხოვებათ წარადგინონ დეკლარაცია და აღნიშნულნი არიან დროებით საგადასახადო ადმინისტრაციის სისტემაში.

<sup>3</sup> მოსალოდნელი დეკლარირების გაანგარიშებები, რომელიც გამოიყენება P4-12 ინდიკატორში.

<sup>4</sup> გადასახადის გადამხდელთა რეესტრში მოცემული ინფორმაცია აქტივობის შესახებ.

<sup>5</sup> TADAT შევსების მიზნებისათვის, ყურადღების ცენტრშია ისეთი საქონლისა და მომსახურების მიწოდებელი რეგისტრირებული ადგილობრივი გადამხდელები, რომელთა წვლილი აქციზის მთლიან შიდა შემოსავალში 70 პროცენტია (ღირებულების მიხედვით).

საქართველოს შემოსავლების სამსახურის განმარტებითი შენიშვნა: C მწკრივის მონაცემები მოიცავს გადასახადის გადამხდელთა ჯამურ რაოდენობას, რომლებსაც დეკლარაციის ჩაბარება მოუწიათ წლის გარკვეულ მომენტში.

### C. სატელეფონო საცნობარო ზარები

(POA 3)

| ცხრილი 3. სატელეფონო საცნობარო ზარების ლოდინის დრო<br>(უახლოეს 12 თვიან პერიოდში) |   |   |                                     |
|---|---|---|-------------------------------------|
| თვე   | მიღებული სატელეფონო საცნობარო ზარების მთლიანი რაოდენობა | ექვსი წუთის განმავლობაში გაცემული პასუხები სატელეფონო საცნობარო ზარებზე |                                     |
|   |   | რაოდენობა   | ზარების მთლიანი რაოდენობის პროცენტი |
| აპრილი 2019   | 29,925  | 26,715  | 89.3                                |
| მაისი 2019  | 31,035  | 27,678  | 89.2                                |
| ივნისი 2019   | 26,405  | 24,974  | 94.6                                |
| ივლისი 2019   | 30,865  | 28,129  | 91.1                                |
| აგვისტო 2019  | 24,081  | 22,637  | 94.0                                |
| სექტემბერი 2019   | 29,587  | 23,426  | 79.2                                |
| ოქტომბერი 2019  | 32,814  | 30,053  | 91.6                                |
| ნოემბერი 2019   | 25,332  | 20,959  | 82.7                                |
| დეკემბერი 2019  | 26,338  | 23,938  | 90.9                                |
| იანვარი 2020  | 23,319  | 21,195  | 90.9                                |
| თებერვალი 2020  | 28,553  | 26,511  | 92.8                                |
| მარტი 2020  | 27,761  | 18,084  | 65.1                                |
| სულ 12 თვეში  | 308,254   | 294,299   | 95.5                                |

## D. დეკლარირება

(POA 4)

| ცხრილი 4. 2019 წელს წყაროსთან დაკავებული საშემოსავლო გადასახადის დროულად წარდგენილი დეკლარაციები <sup>1</sup> |   |  |   |
|---|---|--|---|
|   | დროულად წარდგენილი დეკლარაციების რაოდენობა <sup>2</sup> | დეკლარაციების მოსალოდნელი რაოდენობა <sup>3</sup> | დროული დეკლარირების წილი <sup>4</sup> (პროცენტულად) |
| მოგების გადასახადის ყველა გადამხდელი  | 703,423   | 1,031,800  | 68.2  |
| მხოლოდ მსხვილი გადამხდელები   | 2,506   | 2,798  | 89.6  |

**განმარტებითი შენიშვნები:**

<sup>1</sup> ეს ცხრილი შეიცავს მხოლოდ წყაროსთან დაკავებული საშემოსავლო გადასახადის (DPCT) დეკლარაციებს. ტრადიციული საშემოსავლო გადასახადის დეკლარირების მაჩვენებელია 91.8 პროცენტი ყველა გადამხდელისთვის, ხოლო მოსალოდნელი დეკლარაციების რაოდენობაა 7,641.

<sup>2</sup> „დროულად წარდგენილი დეკლარაციების რაოდენობა“ ნიშნავს ტრადიციული საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციების წარდგენას ნორმატიულად განსაზღვრული დროის ვადებში (პლუს ნებისმიერი 'საშელავათო პერიოდი,' რომელიც გამოიყენება საგადასახადო ადმინისტრაციის მიერ როგორც ადმინისტრაციული პოლიტიკის საკითხი).

<sup>3</sup> „დეკლარაციების სავარაუდოდ მოსალოდნელი რაოდენობა“ ნიშნავს წყაროსთან დაკავებული საშემოსავლო გადასახადის (DPCT) დეკლარაციების მთლიან რაოდენობას, რომლის მიღებასაც მოელის საგადასახადო ადმინისტრაცია კანონის საფუძველზე ამ ვალდებულების მქონე DPCT გადამხდელისგან.

<sup>4</sup> „დროული დეკლარირების წილი“ ნიშნავს ნორმატიულად განსაზღვრული დროის ვადებში წარდგენილი დეკლარაციების პროცენტულ რაოდენობას რეგისტრირებული გადამხდელისგან მოსალოდნელი დეკლარაციების მთლიან რაოდენობაში, რაც გამოიხატება შემდეგი ფორმულით:

$$\frac{\text{დროულად წარდგენილი DPCT დეკლარაციების რაოდენობა}}{\text{აქტიური DPCT გადამხდელისგან მოსალოდნელი დეკლარაციების რაოდენობა}} \times 100$$

**ცხრილი 5. ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის დროული წარდგენა 2019 წ.**

| დროულად წარდგენილი დეკლარაციების რაოდენობა <sup>1</sup> | დეკლარაციების მოსალოდნელი რაოდენობა <sup>2</sup> | დროული დეკლარირების წილი <sup>3</sup><br>(პროცენტულად) |
|---|--|--|
| 78,680 <sup>4</sup>                                     | 117,106  | 67.2   |

**განმარტებითი შენიშვნები:**

<sup>1</sup> „დროულად წარდგენილი დეკლარაციების რაოდენობა“ ნიშნავს დეკლარაციების წარდგენას ნორმატიულად განსაზღვრული დროის ვადებში (პლუს ნებისმიერი 'საშეღავათო პერიოდი, რომელიც გამოიყენება საგადასახადო ადმინისტრაციის მიერ როგორც ადმინისტრაციული პოლიტიკის საკითხი).

<sup>2</sup> „დეკლარაციების სავარაუდოდ მოსალოდნელი რაოდენობა“ ნიშნავს ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის (PIT) დეკლარაციების მთლიან რაოდენობას, რომლის მიღებასაც მოელის საგადასახადო ადმინისტრაცია კანონის საფუძველზე ამ ვალდებულების მქონე PIT გადამხდელებისგან.

<sup>3</sup> „დროული დეკლარირების წილი“ არის ნორმატიულად განსაზღვრული დროის ვადებში წარდგენილი დეკლარაციების პროცენტულ რაოდენობას რეგისტრირებული გადამხდელებისგან მოსალოდნელი დეკლარაციების მთლიან რაოდენობაში, რაც გამოიხატება შემდეგი ფორმულით::

$$\frac{\text{დროულად წარდგენილი PIT დეკლარაციების რაოდენობა}}{\text{PIT – ის აქტიური გადამხდელებისგან მოსალოდნელი დეკლარაციების რაოდენობა}} \times 100$$

<sup>4</sup> ფიზიკურ პირთა ტრადიციული საშემოსავლო გადასახადის რეჟიმის მონაცემები. 2019 წლის დეკემბრის ბოლოს მცირე ბიზნესის რეჟიმში მომუშავე გადამხდელთა რაოდენობა იყო 45,871. ამჯგუფის მიერ საშუალო თვიური დეკლარირება არის 87.6 პროცენტი.

**ცხრილი 6. დღგ დეკლარაციების დროული წარდგენა — ყველა კატეგორიის გადამხდელები**  
(უკანასკნელი 12 თვის მანძილზე)

| თვე                 | დროულად წარდგენილი დეკლარაციების რაოდენობა <sup>1</sup> | დეკლარაციების მოსალოდნელი რაოდენობა <sup>2</sup> | დროული დეკლარირების წილი <sup>3</sup> (პროცენტულად) |
|---------------------|---|--|---|
| აპრილი 2019         | 58,375  | 64,896   | 90.0  |
| მაისი 2019          | 59,275  | 65,679   | 90.2  |
| ივნისი 2019         | 59,700  | 66,090   | 90.3  |
| ივლისი 2019         | 58,672  | 65,974   | 88.9  |
| აგვისტო 2019        | 59,552  | 66,910   | 89.0  |
| სექტემბერი 2019     | 59,782  | 66,674   | 89.7  |
| ოქტომბერი 2019      | 60,230  | 67,585   | 89.1  |
| ნოემბერი 2019       | 60,788  | 64,826   | 93.8  |
| დეკემბერი 2019      | 61,253  | 65,427   | 93.6  |
| იანვარი 2020        | 61,551  | 65,983   | 93.3  |
| თებერვალი 2020      | 60,436  | 65,628   | 92.1  |
| მარტი 2020          | 59,522  | 64,632   | 92.1  |
| <b>სულ 12 თვეში</b> | <b>719,136</b>  | <b>790,304</b>                                   | <b>91.0</b>   |

**განმარტებითი შენიშვნები:**

<sup>1</sup> „დროულად წარდგენილი დეკლარაციების რაოდენობა“ ნიშნავს დეკლარაციების წარდგენას ნორმატიულად განსაზღვრული დროის ვადებში (პლუს ნებისმიერი 'საშედავათო პერიოდი,' რომელიც გამოიყენება საგადასახადო ადმინისტრაციის მიერ როგორც ადმინისტრაციული პოლიტიკის საკითხი).

<sup>2</sup> „დეკლარაციების სავარაუდოდ მოსალოდნელი რაოდენობა“ ნიშნავს დღგ-ს დეკლარაციების მთლიან რაოდენობას, რომლის მიღებასაც მოელის საგადასახადო ადმინისტრაცია კანონის საფუძველზე ამ ვალდებულების მქონე დღგ-ს რეგისტრირებული გადამხდელებისგან.

<sup>3</sup> „დროული დეკლარირების წილი“ არის ნორმატიულად განსაზღვრული დროის ვადებში წარდგენილი დღგ დეკლარაციების პროცენტულ რაოდენობას რეგისტრირებული გადამხდელებისგან მოსალოდნელი დეკლარაციების მთლიან რაოდენობაში, რაც გამოიხატება შემდეგი ფორმულით:

$$\frac{\text{დროულად წარდგენილი დღგ დეკლარაციების რაოდენობა}}{\text{დღგ - ს აქტიური გადამხდელებისგან მოსალოდნელი დეკლარაციების რაოდენობა}} \times 100$$

**ცხრილი 7. დღგ დეკლარაციების დროული წარდგენა — მხოლოდ მსხვილი გადამხდელები**  
(უკანასკნელი 12 თვის მანძილზე)

| თვე                | დროულად წარდგენილი დეკლარაციების რაოდენობა <sup>1</sup> | დეკლარაციების მოსალოდნელი რაოდენობა <sup>2</sup> | დროული დეკლარირების წილი <sup>3</sup> (პროცენტულად) |
|--------------------|---|--|---|
| აპრილი 2019        | 258   | 261  | 98.9  |
| მაისი 2019         | 253   | 260  | 97.3  |
| ივნისი 2019        | 253   | 259  | 97.7  |
| ივლისი 2019        | 251   | 258  | 97.3  |
| აგვისტო 2019       | 252   | 254  | 99.2  |
| სექტემბერი 2019    | 249   | 253  | 98.4  |
| ოქტომბერი 2019     | 250   | 253  | 98.8  |
| ნოემბერი 2019      | 249   | 250  | 99.6  |
| დეკემბერი 2019     | 248   | 249  | 99.6  |
| იანვარი 2020       | 207   | 207  | 100.0   |
| თებერვალი 2020     | 207   | 207  | 100.0   |
| მარტი 2020         | 207   | 207  | 100.0   |
| <b>სულ 12 თვის</b> | <b>2,884</b>  | <b>2,918</b>                                     | <b>98.8</b>   |

**განმარტებითი შენიშვნები:**

<sup>1</sup> „დროულად წარდგენილი დეკლარაციების რაოდენობა“ ნიშნავს დეკლარაციების წარდგენას ნორმატიულად განსაზღვრული დროის ვადებში (პლუს ნებისმიერი 'საშეღავათო პერიოდი,' რომელიც გამოიყენება საგადასახადო ადმინისტრაციის მიერ როგორც ადმინისტრაციული პოლიტიკის საკითხი).

<sup>2</sup> „დეკლარაციების სავარაუდოდ მოსალოდნელი რაოდენობა“ ნიშნავს დღგ-ს დეკლარაციების მთლიან რაოდენობას, რომლის მიღებასაც მოელის საგადასახადო ადმინისტრაცია კანონის საფუძველზე ამ ვალდებულების მქონე მსხვილი გადამხდელებისგან.

<sup>3</sup> „დროული დეკლარირების წილი“ არის მსხვილი გადამხდელების მიერ ნორმატიულად განსაზღვრული დროის ვადებში წარდგენილი დღგ დეკლარაციების პროცენტული რაოდენობა რეგისტრირებული გადამხდელებისგან მოსალოდნელი დეკლარაციების მთლიან რაოდენობაში, რაც გამოიხატება შემდეგი ფორმულით:

$$\frac{\text{მსხვილ გადამხდელთა მიერ დროულად წარდგენილი დღგ დეკლარაციების რაოდენობა}}{\text{აქტიური მსხვილი გადამხდელებისგან მოსალოდნელი დღგ დეკლარაციების რაოდენობა}} \times 100$$

**ცხრილი 8. ადგილობრივი აქციზის გადასახადის დროული დეკლარირება**  
(მხოლოდ იმ გადამხდელთა მიერ, რომელთა წილი ადგილობრივი აქციზიდან მიღებულ შემოსავლებში 70 პროცენტია (უკანასკნელი 12 თვის მანძილზე))

| თვე                 | დროულად წარდგენილი დეკლარაციების რაოდენობა <sup>1</sup> | დეკლარაციების მოსალოდნელი რაოდენობა <sup>2</sup> | დროული დეკლარირების წილი <sup>3</sup> (პროცენტულად) |
|---------------------|---|--|---|
| აპრილი 2019         | 193   | 267  | 72.3  |
| მაისი 2019          | 194   | 273  | 71.1  |
| ივნისი 2019         | 196   | 284  | 69.0  |
| ივლისი 2019         | 201   | 288  | 69.8  |
| აგვისტო 2019        | 203   | 294  | 69.0  |
| სექტემბერი 2019     | 202   | 300  | 67.3  |
| ოქტომბერი 2019      | 198   | 304  | 65.1  |
| ნოემბერი 2019       | 212   | 303  | 70.0  |
| დეკემბერი 2019      | 223   | 306  | 72.9  |
| იანვარი 2020        | 226   | 326  | 69.3  |
| თებერვალი 2020      | 239   | 329  | 72.6  |
| მარტი 2020          | 249   | 353  | 70.5  |
| <b>სულ 12 თვეში</b> | <b>2,536</b>  | <b>3,627</b>                                     | <b>69.9</b>   |

**განმარტებითი შენიშვნები:**

<sup>1</sup> „დროულად წარდგენილი დეკლარაციების რაოდენობა“ ნიშნავს დეკლარაციების წარდგენას ნორმატიულად განსაზღვრული დროის ვადებში (პლუს ნებისმიერი 'საშეღავათო პერიოდი, რომელიც გამოიყენება საგადასახადო ადმინისტრაციის მიერ როგორც ადმინისტრაციული პოლიტიკის საკითხი) ადგილობრივი აქციზის გადასახადის რეგისტრირებულ გადამხდელთა მიერ, რომელთა წილი ადგილობრივი აქციზიდან მიღებულ შემოსავლებში 70 პროცენტია.

<sup>2</sup> „დეკლარაციების სავარაუდოდ მოსალოდნელი რაოდენობა“ ნიშნავს იმ დეკლარაციების მთლიან რაოდენობას, რომლის მიღებასაც ვარაუდობს საგადასახადო ადმინისტრაცია ადგილობრივი აქციზის გადასახადის რეგისტრირებულ გადამხდელთაგან რომელთა წილი ადგილობრივი აქციზიდან მიღებულ შემოსავლებში 70 პროცენტია.

<sup>3</sup> „დროული დეკლარირების წილი“ არის გადამხდელის მიერ ნორმატიულად განსაზღვრულ ვადებში წარდგენილი აქციზის გადასახადის პროცენტული რაოდენობა იმ დეკლარაციების მთლიან რაოდენობაში, რომელიც სავარაუდოდ უნდა მიიღოს ადმინისტრაციამ ადგილობრივი აქციზის გადასახადის რეგისტრირებული იმ გადამხდელისგან, რომელთა წილი ადგილობრივი აქციზიდან მიღებულ შემოსავლებში 70 პროცენტია, რაც გამოიხატება შემდეგი ფორმულით:

$$\frac{\text{დროულად წარდგენილი ადგილობრივი აქციზის დეკლარაციების რაოდენობა}}{\text{ადგილობრივი აქციზის აქტიური გადამხდელისგან მოსალოდნელი დეკლარაციების რაოდენობა}} \times 100$$



**ცხრილი 9. ადგილობრივი აქციზის გადასახადის დროული დეკლარირება — მხოლოდ მსხვილი  
გადამხდელები  
(უკანასკნელი 12 თვის მანძილზე)**

| თვე                 | დროულად წარდგენილი დეკლარაციების რაოდენობა <sup>1</sup> | დეკლარაციების მოსალოდნელი რაოდენობა <sup>2</sup> | დროული დეკლარირების წილი <sup>3</sup> (პროცენტულად) |
|---------------------|---|--|---|
| აგვისტო 2019        | 21  | 21   | 100.0   |
| სექტემბერი 2019     | 21  | 21   | 100.0   |
| ოქტომბერი 2019      | 21  | 21   | 100.0   |
| ნოემბერი 2019       | 21  | 21   | 100.0   |
| დეკემბერი 2019      | 21  | 21   | 100.0   |
| იანვარი 2020        | 21  | 21   | 100.0   |
| თებერვალი 2020      | 21  | 21   | 100.0   |
| მარტი 2020          | 22  | 22   | 100.0   |
| აპრილი 20           | 22  | 23   | 95.7  |
| მაისი 20            | 22  | 25   | 88.0  |
| ივნისი 20           | 22  | 25   | 88.0  |
| ივლისი 20           | 21  | 25   | 84.0  |
| <b>სულ 12 თვეში</b> | <b>256</b>  | <b>267</b>                                       | <b>95.8</b>   |

**განმარტებითი შენიშვნები:**

<sup>1</sup> „დროულად წარდგენილი დეკლარაციების რაოდენობა“ ნიშნავს დეკლარაციების წარდგენას ნორმატიულად განსაზღვრული დროის ვადებში (პლუს ნებისმიერი 'საშეღავათო პერიოდი, რომელიც გამოიყენება საგადასახადო ადმინისტრაციის მიერ როგორც ადმინისტრაციული პოლიტიკის საკითხი) მსხვილ გადამხდელთა მიერ, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ადგილობრივი აქციზის გადამხდელებად.

<sup>2</sup> „დეკლარაციების სავარაუდოდ მოსალოდნელი რაოდენობა“ ნიშნავს ადგილობრივი აქციზის გადასახადის დეკლარაციების მთლიან რაოდენობას, რომლის მიღებასაც მოელის საგადასახადო ადმინისტრაცია ყველა მსხვილი გადამხდელისგან, რომლებიც ადგილობრივი აქციზის გადამხდელებად არიან რეგისტრირებულნი და რომლებსაც კანონის საფუძველზე ასეთი ვალდებულება აქვთ.

<sup>3</sup> „დროული დეკლარირების წილი“ არის ნორმატიულად განსაზღვრული დროის ვადებში მსხვილი გადამხდელის მიერ წარდგენილი დღგ დეკლარაციების პროცენტული რაოდენობა რეგისტრირებული გადამხდელისგან მოსალოდნელი დეკლარაციების მთლიან რაოდენობაში, რაც გამოიხატება შემდეგი ფორმულით:

$$\frac{\text{მსხვილ გადამხდელთა მიერ დროულად წარდგენილი ადგილობრივი აქციზის დეკლარაციების რაოდენობა}}{\text{მსხვილი გადამხდელისგან ადგილობრივი აქციზის მოსალოდნელი დეკლარაციების რაოდენობა}} \times 100$$

**ცხრილი 10. წყაროსთან დაკავებული საშემოსავლო გადასახადის დროული დეკლარირება  
(დამსაქმებლების მიერ)  
(უკანასკნელი 12 თვის მანძილზე)**

| თვე                 | დროულად წარდგენილი დეკლარაციების რაოდენობა <sup>1</sup> | დეკლარაციების მოსალოდნელი რაოდენობა <sup>2</sup> | დროული დეკლარირების წილი <sup>3</sup> (პროცენტულად) |
|---------------------|---|--|---|
| აპრილი 2019         | 94,323  | 156,244  | 60.4  |
| მაისი 2019          | 95,674  | 157,651  | 60.7  |
| ივნისი 2019         | 94,561  | 153,183  | 61.7  |
| ივლისი 2019         | 87,280  | 139,724  | 62.5  |
| აგვისტო 2019        | 88,806  | 145,234  | 61.1  |
| სექტემბერი 2019     | 94,606  | 159,680  | 59.2  |
| ოქტომბერი 2019      | 95,317  | 171,637  | 55.5  |
| ნოემბერი 2019       | 96,190  | 164,959  | 58.3  |
| დეკემბერი 2019      | 97,138  | 166,205  | 58.4  |
| იანვარი 2020        | 93,428  | 166,897  | 56.0  |
| თებერვალი 2020      | 92,207  | 164,780  | 56.0  |
| მარტი 2020          | 89,937  | 160,857  | 55.9  |
| <b>სულ 12 თვეში</b> | <b>1,119,467</b>  | <b>1,907,051</b>                                 | <b>58.7</b>   |

**განმარტებითი შენიშვნები:**

<sup>1</sup> „დროულად წარდგენილი დეკლარაციების რაოდენობა“ ნიშნავს დეკლარაციების წარდგენას ნორმატიულად განსაზღვრული დროის ვადებში (პლუს ნებისმიერი 'საშეღვათო პერიოდი, რომელიც გამოიყენება საგადასახადო ადმინისტრაციის მიერ როგორც ადმინისტრაციული პოლიტიკის საკითხი).

